745ა 16992

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №2 (2038) 8.06.2010 • ფასი 30 თეთრი

## საქართველოს კონსტიტუციური შემოქმედების უფლება აქვს

საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე რამდენიმე ჯგუფი მუშაობს, მათ შორის – ოფიციალური სახელმწიფო კომისიაც. განურჩევლად იმისა, რა მიიღება ან არ მიიღება არასანდო და არაკვალიფიციური პარლამენტის მიერ, კონსტიტუციის იდეალური ან იდეალურთან მიახლოებული ერთი ან რამდენიმე პროექტი მაინც შედგება და გამოქვეყნდება. ეს ადექვატური პროექტი (პროექტები) შედგება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს რაგვარობისა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულების ყველაზე ძირითად მახასიათებელთა ფორმულირება, რომლებიც, შემდგენელთა აზრით, აუცილებელნი არიან და საკმარისნი არიან (თუმცა მათი ჩამონათვალის შევსება ყოველთვის შესაძლებელია), რათა საქართველომ მთელი განჭვრეტადი მომავლის მანძილზე თავი დაიცვას და სრულფასოვანი სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს, როგორც

ა) – დამოუკიდებელმა სახელმწიფომ

ბ) – გაეროს მიერ 1992 წელს აღიარებულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფომ

გ) – ქართულმა სახელმწიფომ ანუ ისეთმა სახელმწიფომ, რომელიც თავის მოქალაქეს ელაპარაკება სალიტერატურო ქართული ენით

დ) – დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ანუ იმგვარმა სახელმწიფომ, რომელიც დამყარებულია

– ხელისუფლების წარმომადგენლობითობაზე,

– მოქალაქეთა თანასწორობაზე კანონის წინაშე, სასამართლო ძალაუფლების დამოუკიდებლობაზე,

– აზრისა და პოზიციის გამოხატვის თავისუფლებაზე, რომელიც ვერ შეიზღუდება ვერაფრით გარდა კანონისა, და

– მოქალაქეთათვის, აგრეთვე უცხოელთათვის საქართველოს ტერიტორიაზე, ადამიანის პირად ინტერესთა სავალდებულო დაცვაზე იმ მინიმალურ ფარგლებში მაინც, რასაც „ადამიანის ადამიანურ უფლებათა“ სათაურით კოდიფიცირებული ნორმები გულისხმობენ.

ე) – მოქალაქეთა სოციალური ინტერესების რეალიზებაზე შეუვალად და უყოყმანოდ ორიენტირებულმა სახელმწიფომ, ანუ ისეთმა, რომელიც პირველი რანგის მიზნად ისახავს მოქალაქეთა დემოგრაფიული, ნივთიერი, ბიოლოგიური, განათლებითი, პროფესიული და ფსიქიკური კეთილდღეობის ზრდას იმ ამბიციით, რომ ამ პარამეტრებში იყოს მსოფლიოში მოწინავეე მოწინავეთა შორის.

საქართველოს კონსტიტუციის ხსენებული მიზანთსახვა განპირობებულია საქართველოს დღევანდელი უაღრესად საშიში საერთაშორისო მდგომარეობით, გეოსტრატეგიული მდგომარეობით და შინაგანი (პირველ ყოვლისა - ეკონომიკური და სოციალური, შემდეგ – ფსიქიკური და მენტალური) კატასტროფული მდგომარეობით. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია უკანასკნელი ორი საუკუნის, განსაკუთრებით – 1921 წლიდან დღემდე არსებული მდგომარეობით და მუდმივ მოქმედი, ანუ როგორც დღეს, ისე განჭვრეტად მომავალში მოქმედი ფაქტორებით, რაც კანონმდებლობისგან მოითხოვს ქმედით ინიციატივებს და მრავალასპექტიანი გათვლით მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის იმგვარსაც, რომლებიც არ ემთხვევა დღეს მსოფლიოში ყველაზე გონივრულად ორგანიზებული სახელმწიფოებისა და საზოგადოებების პრაქტიკას. ჩვენთვის უდავოა, რომ კაცობრიობის დღევანდელი დღეც და განჭვრეტადი მომავალიც მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდთა კონკურენციას (მეტოქობას), კომპანიებისას, სახელმწიფოებისას, ცივილიზაციებისა და კონტინენტებისას, არამედ აგრეთვე და პირველ ყოვლისა - სახელმწიფოებრიობის თვით მოდელებისასაც. (გ. ნათაძე გაზ. „საქართველო“, 2008 წ. №2). საქართველოს კონსტიტუციის ყველა სავარაუდო პროექტიც ხელმძღვანელობს იმ ამბიციით, რომ შექმნას საქართველოს სახელმწიფოს დღეისათვის და განჭვრეტადი მომავლისათვის მოსალოდნელი პირობებისადმი (გამოწვევებისადმი და შესაძლებლობებისადმი) მაქსიმალურად ადექვატური მოდელი

ამ პირობათა, გამოწვევათა და შესაძლებლობათა შორის ყველაზე არსებითად გვესახება შემდეგი:

1. ქართველ ერს თავისი გვიან – შუასაუკუნებრივი და XVII-XVIII საუკუნეების ისტორიის მანძილზე ტრადიციულად მოსდევს აგრესიული და ძალით მრავალჯერადად აღმატებული მუსლიმანური სახელმწიფოებისაგან ფიზიკური განადგურების საშიშროება. რუსეთი, რომელიც XVIII-XIX ს-ებში კავკასიაში მოქმედებდა თავისი კერძო ლოკალური ინტერესების შესაბამისად, როგორც ამ ძალთა საპირწონე (მაგრამ, თავის მხრივ, დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიულ დაკავებაში და დექართველიზაციაში) 1921 წლის თებერვლიდან არის ხსენებულ მუსულმანთა მოკავშირე საქართველოს წინააღმდეგ. დღეს რუსეთის ერთერთი (მისი თვალსაზრისით, ოპტიმალური) სცენარი კავკასიის რეგიონის გეოსტრატეგიული ევოლუციისა არის:

„Америка отказывается от Кавказа. Ответственность за Кавказ берут на себя Россия, Иран и Турция“ (იხ. Кочетков, Мартинов, Пискорский. Южная Осетия. М. 2009 გვ. 94)

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს და მისი კანონმდებლობის გამჭოლი მიზანი მის საშინაო პოლიტიკაში არის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შექმნა და დასტაბილება ერთ, ორ ან სამ ფრონტზე ომისათვის, მათივე გამჭოლი მიზანი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში არის მყარი და ქმედითი სათავდაცვო კავშირის შექმნა და სტაბილურად შენახვა, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოსათვის გამარჯვებას ზემოხსენებულ ომებში.

ეს გარემოება ავალებს საქართველოს, სრული სათავდაცვო ორგანიზებისათვის მაქსიმალურად ელასტიური და ქმედითი სახელმწიფოებრივი ფორმა ჰქონდეს (როგორც სათავდაცვო პოტენციალის შექმნისათვის მშვიდობიან პირობებში, ისე მისი მობილიზაციისათვის ექსტრემალურ ვითარებაში)

2. საქართველომ და ქართველმა ერმა 68 წელიწადი (1921-1989) გაატარეს ხელოვნური მენტალური და მორალური დეგრადირების გზაზე: საქართველოში, ტოტალური დიქტატურის პირობებში, მოქმედებდა, ერთის მხრივ, ასევე ტოტალური სოციალური მობილობის მექანიზმი (მთელი მოსახლეობა იმყოფებოდა საკუთარი სოციალური სტატუსის დაქვეითების, დასტაბილების ან ამაღლების მუდმივ პროცესში). მეორეს მხრივ, მოქმედებდა ამ მობილობის უმკაცრესი პოლიტიკური და იდეოლოგიური რეგულირების სისტემა (სახელდობრ, სტატუსის ამაღლებისათვის სავალდებულო მოთხოვნა იყო

ა) დიქტატურის მხარდაჭერა და

ბ) საქართველოს ეროვნული ინტერესების გაწირვისთვის მზაობა.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს და მისი კანონმდებლობის გამჭოლი მიზანი საშინაო პოლიტიკაში მოიცავს

– ხალხის ფართო მასის ხარისხობრივი გაზრდის სტიმულირებას დემოკრატიული სულისკვეთებისა და მენტალიტეტის გამომუშავების მიმართულებით (და არა, უბრალოდ, ამ მასისათვის სტანდარტული დემოკრატიული ფორმების შექმნასა და ჩუქებას სხვადასხვა ჩაუხედავი ორგანიზაციების უპასუხისმგებლო კონსულტაციებისა და „ტრენინგების“ ფონზე). მაგალითად: დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას სოფლის ადგილობრივი არჩევითი ადმინისტრატორის „მამასახლისის“ ინსტიტუტი ფართო უფლებებითა და იმპერატიული მანდატით, რაც დემოკრატიის დაწყებითი სკოლაა.

– ხალხის ფართო მასის ხარისხობრივი გაზრდის სტიმულირებას პატრიოტული სულისკვეთების აღზრდისათვის (რისთვისაც სრულებით აუცილებელია ბავშვებში, მასობრივად, იმ განცდის შექმნა, რომ მათ წინაშეა თავისუფალი სივრცე თამაშისათვის, სეირნობისათვის, ნადირობისათვის, მთამსვლელობისათვის, მარწყვის მოკრეფვისთვის და ა.შ., რომლითაც იგი სარგებლობს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეს სივრცე საქართველოსია, თვით იგი კი საქართველოს მოქალაქეა. (სავარგულების ტოტალური პრივატიზაცია, რა თქმა უნდა, ამ პროგრამასთან შეუთავსებადია).

3. საქართველომ და მისმა მოსახლეობამ 1921-1941 წლების მანძილზე განიცადა სოციალიზმისათვისაც კი უპრეცენდენტო რეპრესია სტალინის ინსტრუქციის თანახმად „Вспахать и перепахать дворянскую Грузию“ (სადაც „дворянскую“ ეპითეტია და არა განსაზღვრება): დახვრეტილია არსებული მონაცემებით 72000 კაცი და ქალი (თითქმის ყველა ქართველი ანუ ქართველი ერის 3%-ზე მეტი) და გასახლებულია, დაუბრუნებლად, სულ ცოტა სამი ამდენი. 1941-1945 წლების ომში საქართველომ დაკარგა 350 ათასამდე კაცი ფრონტზე (ბრეჟნევის სიტყვებით, რომლებიც არასანდოა – 200 ათასი). 1945 წლიდან 1980-იანი წლების დამლევამდე საქართველოში ტარდებოდა, პატიმართა მასობრივი დეპორტაციის ფორმით, მოსახლეობის ნელი დექართველიზაციის პოლიტიკა.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოსა და მისი კანონმდებლის გამჭოლი მიზანი საშინაო და კერძოდ ეკონომიკურ პოლიტიკაში ვერ შემოიფარგლება ეფექტიანი წარმოებისა და გასაღების ამოცანებით. მისთვის ფუნდამენტური მიზანი და მოვალეობაა საქართველოს შესაძლებლობათა გამოყენება ერის რაციონალური დასაქმებისათვის, მასობრივი ხარისხოვანი გამოკვებისათვის, დემოგრაფიული და პედაგოგიური სტიმულირებისათვის, რათა შეავსოს თაობათა მანძილზე ერისათვის მიზანმიმართულად მიყენებული ზემოხსენებული ზიანი.

4. რამდენადაც საქართველოს ემუქრება სისტემატური აგრესია (აგრესიები),მას ემუქრება სასურსათო ბლოკადაც. საქართველოს საშინაო პოლიტიკა და კანონმდებლობა უფლებამოსილია და ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს შინაგანი რესურსებით მისი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

5. საქართველო ისტორიულად (საუკუნეთა მანძილზე) განათლებისაკენ განსაკუთრებული ენერგიით მოსწრაფე ქვეყანაა. ქართველ ერს ურყევად სწამს თავისი შესაძლებლობებისა განათლების, მეცნიერებისა და მხატვრული შემოქმედების სფეროში და მან თავისი ამ რწმენის დამადასტურებელი მრავალი ფაქტიც იცის. მას აქვს მყარი ნება, რომ ეს თავისი შესაძლებლობები გაანამდვილოს და თავისი განათლების სისტემა მსოფლიოში უკეთესთა რიგში ჩააყენოს. საქართველოსა და მისი კანონმდებლობის უფლებაა და მოვალეობაა, პატივი სცეს და პრაქტიკული რეალიზაციის ასპარეზი შეუქმნას ამ ზოგად-ეროვნულ მისწრაფებას. ამიტომ საქართველოსათვის მიზანშეწონილია პროპორციულად უპრეცედენტო ხარჯების გაღება საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლებისათვის და მეცნიერული კვლევის ორგანიზებისათვის, აგრეთვე - უპრეცედენტოდ მკაცრი კანონმდებლობა კორუფციისათვის განათლების საქმეში (მექრთამეობა საკონკურსო გამოცდებზე და ა.შ).

დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა განათლების ხარისხობრივი დაქვეითებისა და რაოდენობრივი კვეცისა, ფუნდამენტალური მეცნიერების დანგრევისა და ერისათვის წაბიძგებისა მომსახურე პროფესიებისაკენ ქართველ ხალხს გადაჭრით და უყოყმანოდ შერჩვენებული აქვს, როგორც ქვეყნის შეგნებული მტრობა და ერის წინააღმდეგ მიმართული დივერსია. ნაცვლად ამ „რესტორნის მიმტანის იდეოლოგიისა“ სახელმწიფომ მოზარდ თობებს, კანონმდებლობის ჩართვით, უნდა შესთავაზოს იდეოლოგია „ვიყოთ ყველაზე განათლებულნი და ყველაზე წარმატებულნი მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, მრეწველობაში, პირველ ყოვლისა კი - სახელმწიფოსა და საზოგადოების მშენებლობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მორალური დისციპლინის აღზრდის ხელოვნებაში!“. დღეს ქართველი ერი, პრაქტიკულად და მასობრივად, დამსახურებულ ეროვნულ შეურაცხყოფად ღებულობს ხოლმე იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოქალაქეები, ჭიდაობის რაგინდარა სახისა მსოფლიოსა და ოლიმპიურ ტურნირებში გუნდურ პირველობას ვერ იღებენ. სავსებით რეალისტური მიზანია იმის მიღწევა, რომ ქართველ ერს ისტორიულად უმოკლეს ვადაში ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდეს ეროვნული მიღწევებისადმი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროშიც, უკეთეს შემთხვევაში – მაღალტექნოლოგიური წარმოების სფეროშიც.

6. იგივე ზემოხსენებული გარემოება - რომ საქართველო მუდმივი აგრესიის (აგრესიების) მოლოდინში მაცხოვრებელი ქვეყანაა და ასეთად დარჩება მთელს განჭვრეტად მომავალშიც - ავალდებულებს სახელმწიფოსაც და მის კანონმდებლობასაც, შექმნას ადექვატური ორგანიზაციული ფორმა და იდეოლოგიური ფონი ერის მხედრული სულისკვეთების განვითარებისათვის და მასთან განუყრელი ეროვნული სიამაყის ღრმა და გონივრული ჩამოყალიბებისათვის ადამიანთა სულში სრულებით დამოუკიდებლად იმისაგან, რამდენად ეთანადება საქართველოს სათანადო ღონისძიებები საქართველოსთან შედარებით განუზომლად უფრო უსაფრთხო სახელმწიფოების იდეოლოგიასა და პრაქტიკას. ამ გამჭოლი მიზნის მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯებია

– სამხედრო საქმის სწავლება (და, პრაქტიკულად, მებრძოლის ინდივიდუალური მომზადების ძირითადი კურსის დამთავრება) საშუალო სკოლაში.

– სამოქალაქო თავდაცვის რეალური ქმედითი სისტემის შექმნა (რათა შემოხეტიალებული მაროდიორების მცირე ბანდას არ შეეძლოს სოფლის გაუპატიურება, როგორც ეს ვნახეთ 2008 წლის აგვისტოში).

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

1-ლი გვერდიდან

— რეზერვისტთა სამსახურის ქმედითი სისტემის შექმნა

— სამხედრო ბეგარისა და პროფესიული შეიარაღებული ძალების შეთავსება

— სავალდებულო (გაწვევითი) სამხედრო სამსახურის საყოველთაობის შემოღება და განხორციელება (რეალურისა ჯანმრთელობის შემთხვევაში და სიმბოლურისა - ჯანმრთელობის ნაკლის შემთხვევაში)

— სავალდებულო სამსახურის გავლის სავალდებულოობა პროფესიულ შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში სამსახურის დაწყებამდე.

— სათავდაცვო კვლევითი აზრისა და სათავდაცვო მრეწველობის ადექვატური (საქართველოსათვის არსებული რეალური საშიშროებისადმი შესაბამისი) ორგანიზება და მისთვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნა.

7. საქართველოს სახელმწიფო და მისი კანონმდებელი ვალდებულნი არიან და უფლებამოსილნი არიან კორუფციას ებრძოლონ, სულ ცოტა, მისი მასშტაბის მრავალჯერადად შემცირებამდე - როგორც მეტნაკლებად ტიპობრივი (ანუ მსოფლიო პრაქტიკაში ფართო პრეცედენტის მქონე), ისე არატიპობრივი საშუალებებით. მაგალითად, მათ შეუძლიათ რადიკალურად გააფართოვონ იმ პირთა და თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც უფლება აქვთ კორუფციული დანაშაულის სამართლებრივი დევნის ინიციატივისა იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დანაშაული იმ ზომისაა, რომ დაზარალებულია საზოგადოება მთლიანად. ასეთ პირთა რიცხვი შეიძლება ვრცელდებოდეს რიგით მოქალაქეებზედაც (კომპეტენტური იურიდიული დახმარების შემთხვევაში).

8. საქართველოს სახელმწიფო და მისი კანომდებელი უფლებამოსილნი არიან საქართველოს ტერიტორიული და ადმინისტრაციული მოწყობის განსაზღვრა, ორგანიზება და დარეგულირება მოახდინონ და წარმართონ ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ აგრეთვე ისტორიულმასშტაბიანი ინტერესების შესაბამისად, სამართლიანობის პრინციპთა შესაბამისად და საქართველოს რეალობის შესაბამისად. ამ ამოცანისადმი მიდგომაში შესაძლებელია გარკვეული (ჩვენის აზრით, მოჩვენებითი და ზედაპირული) წინააღმდეგობის დაფიქსირება საქართველოს ვითარებიდან გამომდინარესა და მსოფლიო პრაქტიკაში დღეს შედარებით პოპულარულ მიდგომებს შორის, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია, მიდგომის მეცნიერული სიღრმით დაძლიოს ეს ილუზია და, მასზევე დაყრდნობით, შესთავაზოს მსოფლიო საზოგადოების აზრს დღეს ხმარებაში მყოფი ნორმების გაღრმავება და სრულყოფა. სახელდობრ, ანთროპოცენტრისტული პრინციპით მიდგომა სახელმწიფოთა საშიანაო პოლიტიკის რეგულირებისადმი, თუ ამ პრინციპის უნივერსალიზაცია ხდება, ქმნის აბსურდში გადაჭრის საფრთხეს, რამდენაც ანთროპოსი, ადამიანი ცოცხლობს და სულდგმულობს თავისი არა მხოლოდ იმ მოთხოვნილებებისა და საჭიროებების რეალიზაციით, რომელიც მას აქვს, როგორც მომხმარებელს (საკვებისას, კულტურისას, პირადი დაცულობის სისტემისას და ა.შ), არამედ იმ ე.წ. მაღალი მოთხოვნილებების რეალიზაციითაც, რომელიც მას აქვს, როგორც სამყაროს მართვის მონაწილეს (ანუ, როგორც შექმნილს „სახედ და ხატად ღმრთისა"). სამყაროს მართვაში მასობრივი ადამიანი მონაწილეობს, — ანუ თავის სიტყვას ამბობს მსოფლიოს დღევანდელი სისტემის კონტექსტში და ისტორიის კონტექსტში - მხოლოდ როგორც თავისი ბუნებითი, კულტურული, ისტორიული და მორალური კოლექტივის — თავისი ერის წევრი. ამიტომ ადამიანის ადამიანურ უფლებათა რიცხვში, რომლებიც დაცვას ექვემდებარებიან, შედის მისი ეროვნული უფლებაც, ანუ მისი უფლება, როგორც ერის წევრისა, რომ თავისი ერისთვის გარანტირებულად ეგულებოდეს ისტორიული გადარჩენა და თვითრეალიზაციის საშუალების ქონა. ყოველივე მცდელობა, რომ ადამიანი აიძულონ ბედნიერი იყოს ისეთ პირობებში, როცა მისი ერის ხსენებული პერსპექტივა დარტყმის ქვეშაა (მისი ტერიტორიის ჩათვლით), ანუ ყოველივე მცდელობა ადამიანებში ეროვნული თვითიდენტიფიკაციის, როგორც პირველისა და ყველაზე ქმედითის, ნიველირებისა, არის უპერსპექტივო აბსურდი, ისევე როგორც აბსურდია ადამიანისათვის კვების აკრძალვა იმ საფუძველზე, რომ საკვები ბაზისათვის ომები ხდება, ან სახლის ქონის აკრძალვა იმ საფუძველზე, რომ სტრატეგიულ პოზიციათა მოპოვებისათვის ომები ხდება. ორივე შემთხვევაში და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში კაცობრიობას არჩეული აქვს არა ადამიანთა ადამიანური მოთხოვნილების აღკვეთის გზა, არამედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებათა (საკვები, ბინა, სამოსახლო. . .) სამართლიანი განაწილების გზა, რომელიც უაღრესად რთულია, მაგრამ ერთადერთი მისაღებია. ამით ცხადი ხდება, რომ ერს აქვს ისტორიული მეხსიერების და მიმდინარე პოლიტიკაში ისტორიის არგუმენტად გამოყენების უფლება.

საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის საკითხისათვის აქედან გამომდინარეობს შემდეგი პოზიციის აუცილებლობა:

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართველი ერი ავტოხთონურია

2. არ არსებობს თარიღი, როცა ამ ტერიტორიის რომელიმე ნაწილი ქართული (ქართველური) სახელმწიფოს ნაწილი გახდა. მთელი ამ ტერიტორიის ისტორია ქართველურ პოლიტიკურსა და იურიდიულ სისტემაში მიმდინარე ისტორიაა. ამ ტერიტორიაზე ოსებისა და აფსუა ხალხის („აფხაზების") მოსვლას კი თავისი თარიღი აქვს: „აფხაზებისათვის" ეს არის XVII საუკუნე, ოსებისათვის - ძირითადად XIX და XX საუკუნეები, ანუ რუსეთის განუყოფელი ბატონობის ხანა

3. ოსების და „აფხაზების" შემოსვლა და დასახლება საქართველოს ტერიტორიაზე (თურქეთთან და ირანთან წარმოებული უმძიმესი ომების ვითარებაში) ყოველთვის მშვიდობიანი არ იყო, მაგრამ შემოსულებს თავისი საბრძოლო წარმატებები ისტორიის არც ერთ მომენტში არ მიუყვანიათ ამ ნიშნულამდე, რომ ტერიტორია იურიდიულად მოეწყვიტათ ქართული სახელმწიფოსაგან.

4. „სამხრეთ ოსეთი" საქართველოს ტერიტორიაზე რუსული კოლონიური ადმინისტრაციის გამოგონებაა და წითელი რუსეთის კრეატურაა. მისი არსებობა უსაფუძვლოა და სახელმწიფოსათვის ფეთქბადსაშიშია იმის გამო, რომ ნამდვილი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაშია და მას პროვოკაციული სახელი - „ჩრდილო ოსეთი" - ჰქვია. საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" აღდგენა დაუშვებელია. ტერიტორიას უნდა ეწოდებოდეს „ცხინვალის რეგიონი" (ან მისი შემადგენელი ოთხი რაიონის სახელები ცალ-ცალკე), ხოლო ოსი მოსახლეობის სპეციფიკური ეროვნული ინტერესების დაცვის ამოცანას სავსებით გაწვდება დემოკრატიული თვითმმართველობის რეალური განვითარება, ერთის მხრივ, და ფუნქციური ავტონომია, ანუ საერთო-ოსური ორგანიზაციის (ორგანიზაციების) ფუნქციონირება მთლიანად საქართველოს მასშტაბით, მეორეს მხრივ. ფუნქციურ ავტონომიას ის უპირატესობა აქვს ტერიტორიულთან შედარებით, რომ იგი მოიცავს საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ოსს (160 ათასი 1989 წლის აღწერით), და არა მხოლოდ კომპაქტურად მაცხოვრებლს, 30 ათას ადგილობრივ ქართველთან ერთად, ცხინვალის რეგიონში (60 ათასს 1989 წლის აღწერით).

5. აფსუა მოსახლეობამ საქართველოში შემოსახლების შემდეგ შეიმუშავა საკუთარი ეროვნული თვითცნობიერება, რომელსაც სახელმწიფომ და კანონმდებელმა პატივი უნდა სცეს. ამ ერს დედამიწაზე სხვა სამშობლო აღარ აქვს. ამიტომ მას ეკუთვნის

— საკუთარი ეროვნული სახის სამარადისოდ შენარჩუნების უფლება (როგორც ყველა ეროვნულსა და ეთნიკურ ჯგუფს) და

— იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს, განსხვავებული საკუთარი საზოგადოების შენების უფლება თავისი ბუნებითი მონაცემების, ტრადიციის, გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად

მაგრამ მას არ ეკუთვნის ერთპიროვნული გადაწყვეტილების უფლება საკითხებში, რომლებიც ეხება აფხაზეთს მთლიანად. მას არ ეკუთვნის ამ საკითხებში უპირატესი უფლებამოსილება ქართველ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით. თქმულიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის, რაგვარობის განსაზღვრა გულისხმობს უფლებამოსილებათა სწორსა და სამართლიან განაწილებას არა მხოლოდ თბილისსა და სოხუმს შორის, არამედ სოხუმსა და აფხაზეთისავე რეგიონებს შორისაც.

9. საქართველოს არც სახელმწიფოს, არც კანონმდებელს არა აქვს იმის უფლება, რომ ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც ქართველი ერის რელიგიაა, მიეკუთვნოს ახალი განსაზღვრება ზედსართავი სახელის სახით და მას „სახელმწიფო რელიგია" ეწოდეს. (ასეთი მოქმედება საერო პირთა უფლებებში, ალბათ, არ შედის). მაგრამ მათ აქვთ უფლება განსაზღვრონ, რომელ რელიგიას თვლის სახელმწიფო თავის რელიგიად ანუ იმ რელიგიად, რომლის გზითაც და რომლის წინაშეც ხორციელდება სახელმწიფოებრივი აქტები ფიცის დადებისა, ევენტუალურად — მეფის კურთხევისა და სხვა. უდავოა, რომ საქართველოს სახელმწიფოს რელიგია არის ქრისტიანობა, რომელსაც ასახიერებს საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია — ერთადერთი რელიგიური აღმსარებლობა და რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი უმაღლესი იერარქი საქართველოში ჰყავს და უმაღლესი ტაძარი (ტახტი) საქართველოში აქვს. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს საპატრიარქო და ეკლესია, რომელსაც იგი სათავეში უდგას, არის ის ერთადერთი, ვის წინაშეც საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთ ფიცის მიღების უფლება აქვთ.

იმ უდავო ფაქტიდან, რომ ადამიანს რელიგიუყრი აღმსარებლობისა და კულტის აღსრულების თავისუფლება ეკუთვნის, იმ დასკვნის გამოტანა, რომ

- პროზოლიტიზმის (ამ რიცხვში - ფულით მართული პროზოლიტიზმის) სახელმწიფოებრივი რეგულირება არადემოკრატიულია და

- საქართველოს ტერიტორიაზე სხვა რელიგიათა საკულტო ნაგებობების მშენებლობის შეზღუდვა არადემოკრატიულია,

უმეცრებისა და ლოგიკური აზროვნების დეფიციტის გამოვლენაა.

საქართველოს ტერიტორიაზე ფერადოვანი მეჩეთების მასობრივი მშენებლობა, რომელიც ხორციელდება წამლეკავი ფინანსური უპირატესობის პირობებში, ცვლის საქართველოს კულტურულსა და პოლიტიკურ ხედს - საქართველოს მუსლიმანური ქვეყნის იერ-სახეს აძლევს და ამით აზარალებს ქვეყანას ფსიქოლოგიურადაც და თავდაცვისუნარიანობის მხრივაც. ამიტომ საჭიროა კანონით განისაზღვროს, რა მანძილზე უნდა ჰქონდეს მორწმუნეს სალოცავი ადგილი, რათა მისი უფლება სვინდისის თავისუფლებისა არ შეილახოს, და რამდენ მორწმუნეს უნდა ესაჭიროებოდეს ამ მიზნისათვის ახალი საკულტო შენობის აგება, რათა ამისათვის ნებართვა მიეცეს. რელიგიური შემოტევის დაფინანსება გარედან, რა თქმა უნდა, ორსავე შემთხვევაში (პროზოლიტიზმთან დაკავშირებითაც და მშენებლობასთან დაკავშირებითაც) უნდა აიკრძალოს კანონის მიერ.

და ბოლოს, საქართველოს კანონმდებლობა, თვით კონსტიტუციის ჩათვლით, ვერ გაექცევა იმ ფუნდამენტური ისტორიულმასშტაბიანი ამოცანის სამართლებრივი გადაჭრის ამოცანას, რომ

— არ დატოვოს დაუსჯელად საქართველოსა და ქართველი ერის მიმდინარე და ისტორიაზე გადამწვდომი ინტერესების მასობრივი ცნობიერი ღალატი, რომელიც 1921 წლიდან 1989 წლამდე მასობრივად იქნა ჩადენილი საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის - ეროვნულად ქართველების დიდი რაოდენობის მიერ.

— არ დატოვოს დაუსჯელად ამავე წლებში ჩადენილი დანაშაულები ადამიანობის წინააღმდეგ

— არ დატოვოს დაუსჯელად ამავე წლებში არაკანონიერი, სახელდობრ, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივებით ჩადენილი დანაშაულები თვით იმ დროს მოქმედი კანონის წინააღმდეგ

— შექმნას იურიდიული საფუძველი ხსენებული სამი სახის დანაშაულთა აღკვეთისათვის მომავალში.

ამ ამოცანის გადაჭრისათვის, ჩვენის აზრით, უნდა გამოყენებული იქნას სამი (ურთიერთშემავსებელი) მიმართულების არგუმენტაცია.

პირველი. ნორმა, რომლის გადაცდომაც კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული, არის საზოგადოების (ან: კაცობრიობის უდიდესი და უფრო განვითარებული ნაწილის) ცნობიერებაში ამ დროს არსებული მეტაიურიდიული შეხედულებები ადამიანთა ურთიერთობის შეუვალად სავალდებულო წესების შესახებ.

ასეთია, მაგალითად, მოთხოვნა, რომ კაცი ტყუილად არ მოკლა, დანაშაული ტყუილად არ დააბრალო და სხვა. უფრო მაღალი დონის (და უფრო განვითარებული საზოგადოების) წესი, რომ გაუსამართლებლად არ მოკლა, კიდევ უფრო მაღალისა - რომ სასამართლოში უდანაშაულობის პრეზუმპცია დაიცვა, და ა.შ. ასეთია უზოგადესი იდეებიც, რომლებიც ეხება საზოგადოების (სახელმწიფოს ჩათვლით) და მისი წევრის (მოქალაქის ჩათვლით) ურთიერთობას, რომელიც, მაგალითად, კრძალავს, რომ თანამოქალაქეთა ერთობლივი ინტერესები დააზარალო უცხოთა ერთობლივი ინტერესების სასარგებლოდ საზღაურის ფასად (იმის დასაბუთება, რომ მოცემული ერი თავისი ქვეყნითურთ იმგვარი ფორმაა ადამიანთა კავშირისა, რომლის წინაშეც მოქალაქეს მოვალეობები აქვს, საერთოა კაცობრიობისათვის თითქმის მთლიანად და კამათის საგანი [illegible] ბა).

მეორე. ყველა შემთხვევაში დანაშაულია საზოგადოების მიერ ადამიანისათვის ზიანის მიყენება იმგვარი წესით, რომელიც კანონით გათვალიწინებული არ არის, მაგალითად, იდეოლოგიური მოტივით ან პოლიტიკური მითითებით.

მესამე. ნორმის წყაროდ და საფუძვლად უნდა გამოყენებულ იქნას ის ფაქტი, რომ საქართველო 1918 წლის 26 მაისიდან არის სახელმწიფო, რამდენადაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს საქართველოს დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ ვერ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებიობა, არმედ იგი, იურიდიულად, მხოლოდ გაასაბჭოვა და რუსეთს მხოლოდ მოკავშირეობითი წესით მიაბა და დაუმორჩილა. სახელმწიფოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ფაქტობრივად დაპყრობილია, აქვს თავისი განუყოფელი ინტერესები, მათ შორის სასიცოცხლოც, რაც დაკონკრეტებადია და ჩამოთვლადია. ერსაც, როგორც ერს, აქვს სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც განუყოფელია, ჩამოთვლადია და დასაბუთებადია. კონსტიტუციური ნორმიდან, რომლითაც საქართველო იყო სახელმწიფო, სახელდობრ მოკავშირე რესპუბლიკა, როგორც ნებაყოფლობითი კავშირის თავისუფალი წევრი, იურიდიულად გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოსა (საქართველოს რესპუბლიკის) და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება არის (და იყო 1921-1989 წლებში) დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მას არ კრძალავდა საბჭოთა რეჟიმის მიერ შემოღებული კონკრეტული კოდექსები. მაგალითად, ადამიანის დაბეზღება ქართულ ნაციონალიზმში, შემდეგ მისი გასამართლება საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით, შემდეგ კი დახვრეტა ან გაციმბირება, რაც წარმოადგენს ერისა და საზოგადოების დემოგრაფიულ და ზნეობრივ დასუსტებას, სახელმწიფო დანაშაულია ამ პროცესის ყველა მონაწილის მხრიდან. სხვადასხვა სახით - ანუ საქართველოს მიმდინარე და ისტორიულმასშტაბიანი სასიცოცხლო ინეტერესების შეგნებული დაზარალების სახით სხვადასხვა კონკრეტულ პარამეტრებში - სახელმწიფოს წინაშე დამნაშავეა ყველა ის პირი, რომელიც შეგნებულად მოქმედებადა რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიური ათვისებისათვის მოწოდებულ ყველა კონკრეტულ პროგრამაში.

თქმულიდან გამომდინარეობს ორი რამ:

პირველი: საქართველოს სამართალდამცავმა სისტემამ უნდა განახორციელოს როგორც 1921-1989 წლებში პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სასამართლო დევნა და დასჯა (თუნდ დამნაშავის სიკვდილის შემდეგ), რასაც მოითხოვს ერისა და მოსახლეობის სამომავლო ზნეობრივი ჯანმრთელობის ინტერესი, ისე ერისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიც.

მეორე. საქართველოს კონსტიტუციაში უნდა შევიდეს დაცული მუხლები, ანუ მუხლები, რომლებიც შეცვლას არ ექვემდებარება, რომლებიც დააფიქსირებენ, საქართველოს სახელმწიფოს რომელი და რომელი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებები არის დანაშაული განურჩევლად იმისა, რა კანონი მოქმედებს საქართველოში, შესაძლო დაპყრობის შემთხვევაში მოქმედი კანონის ჩათვლით.

**რედკოლეგია**

# კონტურები მკვეთრდება. შესაბამისად უნდა მოვიქცეთ

რამდენჯერმე შემხვდა საყვედური ჩემიანებისგან (მოწინააღმდეგეებისგან შემოტევაზე აქ აღარ ვლაპარაკობ) იმის გამო, რომ თავს უფლება მივეცი და მოვალეობადაც ჩავუთვალე საჯაროდ განმეცხადებინა ჩემი აზრი, რომ ესა და ეს პიროვნება, ჩემი თანამემამულე და თანამოქალაქე, ჩვენი ქვეყნის მტრის სამსახურში დგას. არც ერთხელ არ მითქვამს ეს ჩემი ამ ეჭვის საფუძვლის დაუსახელებლად (შევნიშნავ ფრჩხილებში, რომ ჩემი ეს გაცხადებული არგუმენტები, როგორც წესი, მხოლოდ ნაწილი იყო ხოლმე მუდამ იმ არგუმენტებისა, რომელიც მქონდა, რადგან სხვისგან გაგონილის ციტირების უფლებას, რაც უნდა დამაჯერებელი იყოს ეს ჩემთვის სუბიექტურად, თავს არ ვაძლევ). თავს არც იმის უფლებას ვაძლევ, რომ პრაქტიკული ამოცანის გარეშე, ანუ იმ შემთხვევაში, როცა არ მზადდება ამგვარი შენიღბული მტრის ხელით რაღაცა სახიფათო ქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ანუ თვითმიზნურად, მოვინდომო ვიღაცის მხილება, განურჩევლად იმისა, ის ვიღაცა შედარებით უჩინარი წევრია საზოგადოებისა თუ სახელოვანზე სახელოვანი. ლუსტრაციის კანონის მომხრე, რა თქმა უნდა, ვარ (და სადაც აზრის გამოთქმის საშუალება მაქვს, ამას ვამბობ), მაგრამ ეს კანონი კოსმეტიკად მიმაჩნია. **რეალურ ნაბიჯად ქართულ საზოგადოებაში ტოტალური და დაუსჯელი ღალატის ტრადიციის მოსპობისკენ მე მიმაჩნია საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაადგენს, რა და რა ქმედებები, სსრკ-ს არსებობის პირობებში განხორციელებული, არის დანაშაული საქართველოს სახელმწიფოსა და ერის წინაშე.** დანაშაულის ფაქტი ასეთი კანონის მოქმედების საფუძველზე უნდა დგინდებოდეს სასამართლოს მიერ ჩვეულებრივი წესით, რომელიც მოიცავს დაზარალებულებისა და მათი ოჯახების ჩვენებათა გათვალისწინებასაც, მოწმეების დაკითხვასაც, ექსპერტების დასკვნებსაც იმაზე, თუ რომელი ქმედება რის მომტანი იყო და არის სახელმწიფოსთვის, და ყოველივე დანარჩენსაც, რასაც სასამართლო პროცედურა გულისხმობს.

პრინციპული განსაზღვრებები, თუ როგორ უნდა მოექცეს ქართველი საზოგადოების ჯანმრთელი ნაწილი ამგვარ ღალატში ეჭვნიტანილ პირებს დღეს, რათა არც უნაყოფო „კუდიანებზე ნადირობაში" გადაიჭრას, არც „ლიდერად" გაეპაროს მტრის პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგენტი, უთუოდ უნდა იყოს დადგენილი ზემოხსენებული კანონის არარსებობის პირობებშივე, დღესვე. ვგულისხმობ, რომ **დადგენილი უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ძირითად საკითხებში შეთანხმებულობის სახით.** წინამდებარე წერილის მიზანია, საზოგადოებას შესთავაზოს გარკვეული ძირითადი ხაზები ამ პრინციპებისა და იმისა, თუ რა და რა მიმართულებით უნდა ველოდეთ საშიშროებას ზემოხსენებული შემოტყუებული პიროვნებების მხრიდან დღეს, ხვალ ან ახლო მომავალში. მირჩევნია, ჯერ კონკრეტულ შემთხვევებზე ვიმსჯელო, რომლებიც ჩემთვის ცნობილია, ხოლო განზოგადება ამის შემდეგ ვცადო.

**შევარდნაძის ცეკა-ს მდივნობის** დროს მე ვფიქრობდი და ჩემთვის სანდო ადამიანებში ვამბობდი, რომ იგი საქართველოს პირდაპირი მოღალატეა — შეუდარებლად უფრო აქტიური და უფრო ავი ამ მხრივ, ვიდრე მისი წინამორბედნი (ცეკას წინა მდივნები) იყვნენ. საბუთები, რომლებიც მქონდა და მომყავდა, იყო კონკრეტული (ზოგადი მსჯელობა, რომ მმართველი პარტია საქართველოს მტერია, ამ კონტექსტში არასოდეს გამომიყენებია): ეს საბუთები იყო

— როკის გვირაბის გამოყვანა, რისი წინააღმდეგობა ან შეფერხება მაინც მას შეეძლო

— საინგილოსათვის და მისი ქართული სკოლებისათვის დახმარების შეწყვეტა (რაც გაგრძელდა 2 წელიწადს) (მისმა გამოსვლამ ამ თემაზე პარტაქტივის წინაშე თვით ამ პარტაქტივისტებსაც კი თავზარი დასცა).

— ქვემო ქართლში მძიმე მრეწველობის დიდი საწარმოს ჩადგმის ჩაშლა

— იქვე თბილისის მოსახლეობისათვის საავარაკო ნაკვეთების მასობრივი დარიგების ჩაშლა.

შევარდნაძის იმდროინდელი გმობის ყველაზე პოპულარული მოტივები — მის მიერ ციხეების გავსება საქმოსნობის გამო დაჭერილი ქართველებით და ბრძოლა საქართველოში „მარცხენა წარმოების" წინააღმდეგ, რომელიც სრულებითაც არ იყო ეროვნულად უარყოფითი მოვლენა (პირიქით, საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ერთ-ერთი სფერო იყო), — მე ამ კონტექსტში არასოდეს დამიმოწმებია, რადგან არ მქონდა ხელთ საკმარისი მასალა სავსებით ცალსახა აზრის შემუშავებისთვის. არ დამიმოწმებია არც მის მიერ „თვითმფრინავის ბიჭების" მომავალი დახვრეტისკენ მიმართული პათოლოგიურად ავი და ავანტიურისტული ოპერაცია („ავანტიურიზმში" იმას ვგულისხმობ, რომ შევარდნაძემ უკვე დამჯდარი თვითმფრინავისთვის ცეცხლის გახსნა ბრძანა) და ასევე პათოლოგიის ზღვარზე მდგომი პრაქტიკა მამაკაცი პატიმრების გაუპატიურებისა (რისი მასალებიც გამოაქვეყნა ზ. გამსახურდიამ დაპატიმრებამდე), რადგან ეს დანაშაულები ეროვნული ღალატის მუხლს არ ეკუთვნის.

**შევარდნაძის, როგორც „სახელმწიფოს მეთაურის"** და შემდეგ პრეზიდენტის, მიმართ სახელმწიფო და ეროვნული ღალატის ბრალდებას რომ ვაყენებდი ზეპირად და პრესაში, მაშინაც ვიმოწმებდი მხოლოდ კონკრეტულ ქმედებებს, მაგრამ მხოლოდ იმას, რომელთა ბუნება და მოტივაცია მთლიანად ვიცოდი. სახელდობრ

— აფხაზეთში ომის დაწყებას არძინბასთან ტანდემში და რუსეთის ბრძანებით

— ამ ომის ხელოვნურ წაგებას, მოღალატური „შეთანხმებების" ჩათვლით (მათ შორის — მძიმე ტექნიკის გამოყვანის შესახებ)

— დაგომისის კაბალური ხელშეკრულების დადებას და ამით ცხინვალის დათმობას

— „ესენგეში" საქართველოს ჩათრევას, რასაც არანაირი აუცილებლობა არ მოითხოვდა

— რუსებისთვის ობიექტების მასობრივ მიყიდვას

— საქართველოს ნგრევის ინტენსიური პოლიტიკის გატარებას უდავოდ რუსული ბრძანებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების" სახელით.

ღალატის სხვა ეპიზოდებს, რაგინდარა მკვეთრს, ამ კონტექსტში არ ვიმოწმებ, ვინაიდან მათში შევარდნაძის როლის ამომწურავი სურათი არ მაქვს ხელთ, მათ შორის არც იმის, რა იყო მისი როლი (ჩემი სუბიექტური აზრით — უდიდესი როლი) 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებაში.

აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მე ვერ დავგმობ დროის ამ მონაკვეთში შევარდნაძეს რუსებთან მჭიდრო ურთიერთობისათვის **საერთოდ**, ვინაიდან არ მაქვს სრული სურათი იმისა, თუ როგორ იყენებდა იგი ამ ურთიერთობებს. მათი დადებითად გამოყენების ფაქტს დავასახელებ. ცხინვალის მიდამოებში ბრძოლების დროს (1992) ქართველმა გვარდიელებმა მითხრეს, რომ ტყვია-წამალი სულ არა აქვთ და მოწინააღმდეგის წამოსვლის შემთხვევაში უმწეონი არიან. წამოვედი მაშინვე თბილისში და შევარდნაძე ვნახე ოპერის თეატრში რაღაცა ღონისძიებაზე. ვუთხარი ეს. გამოვიდა ხუთ წუთში და ზომა მიიღო (ცხადია, რუსებს დაურეკა და გაჩერა). ამგვარად, დანაშაულის შემადგენლობას განსაზღვრავს არა მტერთან ურთიერთობის ფაქტი, არამედ ამ ურთიერთობის ეპიზოდთა კანონიერების საკითხი (ჯერ ერთი), მეორე — ამ ურთიერთობათა **ჯამური ეფექტი** — როგორც რეალურად განხორციელებული, ისე განზრახული.

**სააკაშვილის** მიმართ ამავე ბრალდების გამოთქმაში (ზეპირად, ეკრანზე და პრესაში) მე ვიმოწმებ არა ყველაფერს მის მოქმედებაში, რაც ამ მხრივ სიმპტომატურად მიმაჩნია სუბიექტურად, არამედ მხოლოდ იმას, რაც, ჩემის ხედვით, თვალსაჩინოა და ცალსახა. მაგალითად

— იგი აგრძელებს შევარდნაძისეულ სახელმწიფო ნგრევის პოლიტიკას რუსული ბრძანებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებებისადმი" აპელაციით, ემიგრაციის სტიმულირებას, იმიგრაციისთვის ფართო გზის გახსნას, საქართველოს მოქალაქობის მიღების პროცედურის ანეკდოტურ გამსუბუქებას

— იგი აცხადებს მზაობას საქართველოში შექმნას „სამხრეთ ოსეთი" ანუ საქართველოს მიწაწყლის ერთი ნაწილი, სადაც ოსური დიასპორა უმრავლესობას შეადგენს (რუსული, ხოლო შემდეგ საბჭოთა დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად), აცხადებს მეზობელი ქვეყნის (ოსეთის, ალანიის) ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად

— მან დამალა კოდორის ხეობის ერთადერთი დამცველი — ბატალიონი „მონადირე"

— მან, შევარდნაძის გზაზე მავალმა, დაუტოვა რუსებს „სამშვიდობო" მანდატები და არ განუცხადა მსოფლიოს **ოფიციალურად**, რომ რუსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ, 2003 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე

— მან რუსების ბრძანებით **ისიმულანტა** აგვისტოს ომის დაწყება: გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა (სახელდობრ, მაშინ, როცა რუსეთს უკვე ჰქონდა ომი დაწყებული და მოგებული მანევრის საშუალებით, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე საკვანძო პოზიციების დაკავებისა და მათზე ძალების კონცენტრაციის საშუალებით. (ეს იყო 7 აგვისტოს 23 ს. 35 წთ), გაისროლა იმ ტიპის ჭურვი, რომელიც რუსმა უბრძანა (რუსული პროპაგანდის ინტერესებიდან გამომდინარე) და იმ მიმართულებით, რომელიც რუსმა უბრძანა (მოსახლეობისაგან ორგანიზებული წინასწარი ევაკუაციის გზით დაცლილი ქ. ცხინვალისკენ).

სააკაშვილის პოლიტიკის სხვა აქტებს, რომელიც, ჩემი ღრმა დარწმუნებულობით, რუსეთის ნაბრძანებია და უეჭველად დივერსიულია, სახელდობრ, საქართველოს სასოფლიო-სამეურნეო მიწის გატანას ღია ბაზარზე, სადაც დღეს საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ არის, და განათლებისა და მეცნიერების მიზანმიმართულ დანგრევას — ამ კონტექსტში მე არ ვიმოწმებ.

**კიდევ ერთ პირს სააკაშვილის უშუალო თანამოსაქმეთა სიიდან** და დაახლოებით მის თანასწორად აქტიურს, რომელსაც ამავე ბრალდებას ვუყენებდი პრესაში, აქ არ ვახსენებ, რადგან ცოცხალი აღარ არის.

**დღეს მოქმედ პოლიტიკოსებში თუ „პოლიტიკოსებში"** რუსების სამსახურში დგომის ბრალდება მე პორველად გამოვთქვი გუბაზ სანიკიძის მიმართ. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩემს თვალსაწიერში თავი მოიყარა ორმა გარემოებამ. პირველი ის გახლავთ, რომ მე ჩავთვალე, რომ ამ ბრალდებისთვის საკმარისი საფუძველი არსებობს. ერთი საფუძველი ის იყო, რომ ჩემი საკუთარი თვალით და საკუთარი ყურით მოწმე გავხდი მისი ძალიან მონდომებული „მუშაობისა": ქუთაისში ძალიან კარგი ეროვნული ინიციატივის ჩასაშლელად, რაც მე სხვაგვარად ვერ ავხსენი, თუ არ რუსული სამსახურების და მათსავე სამსახურში მდგომი ქართული ხელისუფლების დავალებით (მის სათავეში იმ დროს შევარდნაძე იდგა). ეს ინიციატივა, რომელიც ჩაშალეს, იმაში მდგომარეობდა, რომ ქუთაისელმა სხვადასხვა ეროვნულ პარტიათა წევრებმა მოინდომეს ქმედითი გაერთიანება ადგილზევე, ქუთაისში, და თბილისში თავთავის ლიდერებთან შეთვლა „თქვენც კეთილინებეთ და გაერთიანდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ერთად ფეხებზე დაგიკიდებთო". მეორე საბუთად ის მქონდა და მაქვს, რომ გ. სანიკიძე აქტიურად ქადაგებდა საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკურ კურსზე დადგომას, ანუ საქართველოს განიარაღებას რუსეთის პირისპირ. როცა ამას უსწავლელი დიასახლისი ამბობს, ეს შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, მაგრამ როცა იგივე სიტყვა უმაღლესდამთავრებული კაცისაგან მოდის, მაშინ ეს, ჩემის აზრით, საკმარისი საბუთია მისი რუსეთის დაქვემდებარებაში დგომისა. გ. სანიკიძეს რომ თავისი აზრის დასაბუთება ეცადა, ანუ წარმოედგინა რაღაცა თუნდ, მაპატიეთ, ფურთხით შეწებებული კონცეფცია, თუ რით შეუძლია საქართველოს თავის დაცვა რუსული სამხედრო დარტყმებისაგან დასავლეთთან სათავდაცვო ალიანსის გარდა (თუნდაც ისეთი მარტოოდენ ემოციური ლოგიკით, როგორითაც ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი ეკამათება მცხოვან გენერალს აფხაზს („აფხაზი" აქ გვარია), მაშინ ვიტყოდი, რომ იგი ცდება. მაგრამ გ. სანიკიძე ამას არ იქმს. მისი მოწოდების საფუძველია მხოლოდ პათეტური მიმართვა ტელემაყურებელი დიასახლისებისადმი „როგორ გგონიათ, ამერიკა იომებს საქართველოსთვის?" (რაც, სხვათა შორის, სრულ გეოსტრატეგიულ არაინფორმირებულობას შობს. დასავლეთს საქართველოში **თავისი** სასიცოცხლო ინტერესი აქვს: ესაა მეგობრულად განწყობილი ღია გზა მესამე მსოფლიო ომის ძირითადი თეატრისკენ — შუა აზისკენ). ორივე ეს არგუმენტი წარვუდგინე მკითხველს და ისიც მივუთითე ხაზგასმით, რომ სხვა არგუმენტი **არ მაქვს**, რათა მკითხველისთვის საკუთარი ჭკუით განსჯის საშუალება დამეტოვებინა. არაასპროცენტიანი არგუმენტი — ის, რომ ვიღაცამ ოდესღაც მითხრა, გ. სანიკიძემ, რამდენიმე წლის წინათ სამი წელი სირიაში რუსეთის ერთერთი ემისრის სახლში იცხოვრაო, თუნდაც ასჯერ დარწმუნებული ვიყო, რომ იგი სწორია — ასეთ სერიოზულ კონტექსტში არ მოვიშველიე.

ეს, რომ, ჩემის აზრით, არგუმენტები მაქვს, ჩემ მიერ ამ ბრალდების გამოთქმის მხოლოდ ერთი მოტივია. მეორე და მთავარი ის არის, რომ ხსენებულ პიროვნებას, გ. სანიკიძეს, ჩემი გათვლით, ჩვენი მტერი რაღაცა სერიოზული ამოცანისთვის ამზადებს, რის გამოც — და არაფერი სხვის გამო — თავი ვალდებულად ჩავთვალე (და ახლაც ასე მიმაჩნია), ჩემი ეს დასკვნა საზოგადოებისთვის გადამეცა. ფრიად საეჭვო (და მეტიც), ჩემის აზრით, არის ისიც, რომ გ. სანიკიძეს, როგორც ორატორს და „პატრიოტს", დიდის მონდომებით „ასუქებს" და „აპიარებს" ტელეარხი „კავკასია", რომლის პატრონის (დ. აქუბარდია) ვინაობა და რაობა (ჩემის აზრით) ცალსახად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ იგი ტელეეკრანზე ეთუდარება „საქართველოს მრავალჯერ გადამრჩენს" ე. შევარდნაძეს (ჩემი აზრი მის შესახებ უკვე მოგახსენეთ) „ბატონო ედუარდ, იქნებ თქვენი ავტორიტეტი გამოიყენოთ კიდევ ერთხელ და გააჟღეროთ კონფედერაციის იდეაო", ანუ საქართველოსთვის ცალსახად სასიკვდილო ის იდეა, რომ დამოუკიდებელი საქართველოსაგან, „დამოუკიდებელი" (და ასეთად საქართველოს მიერ ცნობილი) აფხაზეთისგან და „დამოუკიდებელი" (ანუ საქართველოს მიერ ასეთად ცნობილი) „სამხრეთ ოსეთისგან" შეიქმნას „სახელშეკრულებო სახელმწიფო", ანუ ისეთი სახელმწიფო, რომელიც, არსებული იურიდიული ნორმებით, იშლება მაშინათვე, როგორც კი ერთერთი მონაწილე ასეთ სურვილს გამოთქვამს. დ. აქუბარდიას მიმართ, რომელიც ამ რუსეთის მიერ ჩაფიქრებული ტრაგიკომედიის ერთ-ერთი პერსონაჟია, მე რუსეთის სამსახურის ბრალდება არ გამომითქვამს, მაგრამ მკითხველი, მე მგონი, ხედავს, რომ საამისოდ საკმარისი ლოგიკური საფუძველი მაქვს. რატომ არ გამოთქვამს? იმიტომ, რომ რაც უნდა ამოცნობადი იყოს მისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური სახე და რაც უნდა დიდი იყოს ტელევიზიის ძალა, მე არ მაქვს იმის პროგნოზი, რომ მას, ანუ აქუბარდიას, ჩვენი მტერი რაღაცა დიდი სახელმწიფო ფუნქციისთვის ამზადებდეს.

შ. ნათელაშვილის შემთხვევაში, რომელსაც მე აგრეთვე ვახსენებ, როგორც „რუსეთის კაცს" ანუ რუსეთისთვის შეგნებულად მომუშავე პირს, საქმე პირიქით არის: მის მიმართ ამ აზრის გამოთქმას მე იმიტომ ვრაცხ საჭიროდ, რომ მას ვინც ამზადებს (ხოლო თუ არავინ ამზადებს, იგი თვითონ ემზადება), ამზადებს **უმაღლესი სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად**, რაც, მისი ხსენებული განწყობილების პირობებში და მისი პოპულისტური წარმატების პირობებში, ერისა და სახელმწიფოსთვის საშიშად მიმაჩნია. მისი არგუმენტაცია, რამდენადაც ვიცი, ემყარება ერთადერთ არგუმენტს: „რუსეთი თუ არ ვარგა, ამერიკა ვარგა?", რაც, ლოგიკურად, მანკიერი არგუმენტია: თუ ერთი სუბიექტი ცუდია, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე სუბიექტი კარგია ან პირუკუ. მისი პოზიციის და, აქედან გამომდინარე, მისი ვინაობისა და რაობის ობიექტური შეფასებისათვის, აგრეთვე ამ უკანასკნელის ხარისხის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ მას, როგორც „ნეიტრალიტეტის" მქადაგებელს, აზრად არ მოსდის, წარმოადგინოს თავისი კონცეფცია იმაზე, თუ **რით უნდა დაიცვას თავი საქართველომ რუსეთის განმეორებითი დარტყმისაგან** (მით უფრო, რომ სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის კაბალური შეთანხმების სახით რუსეთს უკვე აქვს მოპოვებული იურიდიული საფუძველი, რომ საქართველოს პატარა შარი მოსდოს და ოფიციალურად დაარტყას, ანუ რუსეთის არდარტყმა საქართველოზე ამ შეთანხმებით უკვე **პირობადებულია და არა უპირობო!**). ასევე გაურკვევლად აქვს ნათელაშვილს დატოვებული ის, თუ რას ემყარება მისი იმედი (იმედი, ლოგიკურად, უნდა ჰქონდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სახელმწიფოს ღია მტერია), რომ რუსეთი საქართველოს არ დაარტყამს, ან, პირიქით, მისი მხრიდან ვერმიხვედრა იმისა, რომ რუსეთი, თუ დასავლეთთან სათავდაცვო კავშირი არ შედგა, საქართველოს დაარტყამს!

ამ ორი უპასუხოდ დარჩენილი კითხვის წყალობით ნათელაშვილის პოზიცია არასერიოზულია, მაგრამ, ამ თვისებასთან ერთად, იგი მორალური თვალსაზრისითაც, ანუ ქვეყნის ერთგულების თვალსაზრისითაც, საეჭვოა. საეჭვოა იმიტომ, რომ ნათელაშვილი ერთი იმათგანია, ვინც ხმა მისცა შევარდნაძის მიერ საქართველოს შეთრევას ესენგეში (ესენი სულ 126 სული იყვნენ), მაშასადამე, მარტო გალის რაიონში ომის დამთავრების შემდეგ დახოცილ ქართველ მოსახლეთა სახით ხელზე დაახლოებით 15 კაცისა და ქალის სისხლი სცხია და ხელი ურევია იმაშიც, რომ „ესენგესთვის" გაეროს მიცემული „სამშვიდობო" მანდატის წყალობით რუსებმა აფხაზეთში გაბატონება შეძლეს. რატომ ვამბობ „საეჭვო" და არა პირდაპირ „რუსეთის აგენტი საქართველოში"? მხოლოდ იმიტომ, რომ ნათელაშვილის აღნიშნულ დანაშაულებრივ მოქმედებაში თეორიულად ვერ გამოვრიცხავ „შეცდომას" ბოროტი ნების ნაცვლად: მან ერთხელ თქვა: „ვიცოდი, რომ „ესენგე" არასიცოცხლისუნარიანი იყოო". ამგვარად, ჩემს დაინტერესებას ნათელაშ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

ვილის ვინაობითა და რაობით მხოლოდ ამ სამი ფაქტორის კომბინაცია ხსნის: პირველი: იგი ქადაგებს საქართველოსთვის სასიკვდილო, რუსეთისთვის კი სასურველ კურსს. მეორე: იგი უმიზნებს (და რუსები მის თავს „უმიზნებენ") საქართველოში მნიშვნელოვანი ფუნქციების აღებას. მესამე: იგი მორალურად ეჭვმიტანილია, სახელდობრ, არის საფუძველი აზრისთვის, რომ მას, „ესენგესთვის" ხმის მიმცემს, ანტიეროვნულმა ბოროტმა ნებამ უხელმძღვანელა და არა მოუსაზრებლობამ („ესენგეში" საქართველოს შესვლის გადამწყვეტი საპარლამენტო სხდომის ოქმიც გამოქვეყნებულია და სახელობითი ხმის მიცემის სიაც). აღნიშნული გარემოებები, ჩემის აზრით, კმარა ცალსახა პასუხისათვის კითხვაზე, არის თუ არა, სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, დასაშვები, რომ შ. ნათელაშვილს სახელმწიფო საჭეზე ხელი ედოს. მე მგონი, ამ კითხვის პასუხი მხოლოდ „არა" შეიძლება იყოს.

ხელისუფლების მიერ მართული ტელეარხები და პრესა სხვა გზით მიდიან ამ თემასთან. რამდენჯერმე მოკრული მაქვს თვალი ეკრანზე ნათელაშვილის ამა თუ იმ ტექსტთა თუ ნაბიჯთა გამოფენისათვის, რომლებიც მის რუსულ მიმართულებაზე მეტყველებენ. მათი სანდოობისა და საკმარისობის ხარისხზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არც დეტალები, არც ზოგადად საქმის ვითარება არ ვიცი. ჩემი თეზისი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ზემოთ ნახსენები „არას" საფუძვლად ამ ეკრანზე გამოტანილი მასალების ნდობა აუცილებელი არ არის: **„არას" აუცილებლობა თვით ზემოთ ნახსენები სამი გარემოების კომბინაციიდანაც ჩანს.**

ერთი შეხედვით უფრო ნათელი (და ცალსახა) ჩანს **ნოღაიდელის** თემა, მაგრამ მე იგი როგორც დახასიათების (იურიდიული კვალიფიკაციის), ისე დასაბუთების საკითხში რთული მგონია. ნოღაიდელისადმი უნდობლობა ეროვნული ერთგულების თვალსაზისით მე ადრიდან მომყვება. „ესენგესთვის" ხმის მიმცემი ისიც არის. ეს, თავისთავადვე, დანაშაულია. შევარდნაძის დროინდელ პარლამენტში იგი ჟვანიას გუნდის წევრი იყო, ასევე – 2003 წლის ხელისუფლებაშიც, რაც თავისთავად მეტყველი ფაქტია. პირადად ჩემი აზრი მის შესახებ განსაზღვრა მისმა პოზიციამ ერთ შეხვედრაში, რომელიც მე წიგნში „რაც ვიცი" (2002) ასე მაქვს მოთხრობილი:

*„პარლამენტის ვიცესპიკერის ოთახში შეხვედრა გვქონდა ეუთოს ერთ-ერთ ხელმძღვანელ მოღვაწესთან, ახალგაზრდა მზარდ გერმანელ პარლამენტართან და პოლიტიკოსთან. ვუთხარი, ეუთოს პოზიცია ოსების ტერიტორიული ავტონომიის საკითხში (ანუ რეკომენდაცია „სამხრეთ ოსეთი" კიდევ ერთხელ შევქმნათ) უსაფუძვლო, თანმიმდევრობას მოკლებული და არარეალისტურია მეთქი (ამ პოზიციის შინაარსი და არგუმენტები წელან ვახსენე ცოტა ზემოთ. მათ შორის ასეთი: ქვეყნების ავტონომიებად დაჭრა-დათარგვა იმისდა მიხედვით, თუ რა სისწრაფით მიმდინარეობს მათში დემოგრაფიული პროცესები (გამრავლება იქნება ეს თუ იმიგრაცია), განაპირობებს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა მოშურნეობას ერთმანეთის დემოგრაფიული კეთილდღეობის მიმართ არა მარტო ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში, არამედ მსოფლიოში, და ამით ქმნის ეთნიკური წმენდისა და მისი ძირითადი იარაღის – გენოციდის გადაულახავ წანამძღვრებს) მსოფლიოში, და არგუმენტების ომი – თამამად შემიძლია ვთქვა – მშრალი ანგარიშით მოვუგე. ვინაიდან ევროპელი ადამიანი არაა მიჩვეული, ცხად ჭეშმარიტებას შეუნიღბავად დაუპირისპირდეს და შავს თეთრი უწოდოს, ჩემი მოკამათე მზად იყო დაეთმო და, მაშასადამე, ეუთოს პოზიციის გადასინჯვის საჭიროება აღეარებინა. მაგრამ უცებ საუბარში ჩაერია ახალგაზრდა დეპუტატი, ზ.ნოღაიდელი და თქვა: „ჩვენ, მწვანეები, ეუთოს პოზიციას მართებულად ვთვლითო". კამათის შინაარსი ამ დეპუტატისთვის მხოლოდ მიახლოებით იყო ცნობილი, რადგან საუბარი გერმანულად მიდიოდა და ინგლისურენოვანი თარჯიმანი მას მხოლოდ აქა-იქ თარგმნიდა. მაგრამ ეუთოს მოღვაწის პოზიციის გადასარჩენად ამან იკმარა. „აი, ხომ ხედავთ, ზოგი პარტია არ გვეთანხმება, ზოგი კი გვეთანხმებაო" (რაშიც იგი, რა თქმა უნდა, სავსებით მართალი იყო. ხოლო იმისთვის, რომ ერთი პარტია არგუმენტირებულად არ ეთანხმებოდა, მეორე კი მხოლოდ ლიტონი სიტყვით ეთანხმებოდა, მას სრული უფლება ჰქონდა ყურადღება არ მიექცია). შემდეგ საუბარში ჩაერია დეპუტატი ლანა ღოღობერიძე, რომელსაც, ჩემი პირადი აზრით, ეროვნული პოლიტიკის ამოცანებისა იმდენივე ესმის, რამდენიც ბაყაყს – საპილოებზე ნადირობისა: „შენ მართალი ხარ, ნოდარ, მაგრამ..." – და მოაყოლა რაღაც გაურკვეველი აბდა-უბდა, რომლიდანაც მხოლოდ იმ აზრის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ნახევრად მე მემხრობოდა და ნახევრად – ეუთოს. ამგვარად, გერმანელის გულის გასახარად, მატჩი ერთნახევრით ერთნახევარზე ანგარიშით დამთავრდა და ეუთოს პოზიცია ხელუხლებელი დარჩა."*

ამ ეპიზოდში ნოღაიდელის როლს პირადად მე ეროვნულ ღალატად – **უკვე** ჩადენილ ღალატად – ვთვლი. მაგრამ ამჯერად ჩემთვისაც და საქმისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია მისთვის **ამიერიდან** განკუთვნილი როლი. ამ უკანასკნელის შესახებ, ცხადია, მსჯელობა მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია, მაგრამ ძალიან დიდი ალბათობის მქონე ვარაუდით. სასტუმრო „სიმპათიაში" გამართულ შეკრებაზე ამ ორიოდე თვის წინ დაუპატიჟებლად მისულმა (იგი თურმე ნოღაიდელის მიერ ყოფილა მოწვეული. მე ეს არ ვიცოდი) იყო გამოთქმული „აზრი" (ნოღაიდელისა და გ. ხუციშვილის მიერ), რომ „დროა შევეშვათ სტერეოტიპებს" (იგულისხმება საქართველოს მოსახლეობის დღეს ცალსახად გავრცელებული დამოკიდებულება საქართველოს უფლებისა და მოვალეობისადმი, რომ თავისი ტერიტორია დაიბრუნოს). იურიდიული თვალსაზრისით ეს არ არის სახელმწიფოს ღალატი, რადგან თავისიანებთან მოლაპარაკების, ანუ **თათბირის** დროს ორატორის უფლება და მოვალეობაა ის თქვას, რასაც ფიქრობს. ეს არის მხოლოდ იმის მოსწავება, დიდი ალბათობით, რომ ხსენებული ორი ორატორი აპირებს თავის უახლოეს პოლიტიკურ საქმიანობაში საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულების გატარებას. იმის მიხედვით, რა არის **მოსალოდნელი** ამა თუ იმ პირისაგან, ვერ გააკეთებთ დასკვნას იმაზე, თუ რას აპირებს იგი (თუმცა საფუძველს მისი წინასწარი დაკავებისათვის ეჭვის გამო, რომ იგი კანონდარღვევას აპირებს, ეს პროგნოზი მაინც იძლევა). იურიდიული ფაქტი, ანუ ნოღაიდელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნისათვის საფუძვლის შემქმნელი ან ვერ შემქმნელი ფაქტი, არის, ერთი, ის, თუ რა თქვა ან არ თქვა მან უცხო სუბიექტთან ურთიერთობაში (და არა შინაურებთან თათბირში), მეორეც, ის, თუ რა შესაძლებელი შედეგები მისი ამ ნათქვამისა იყო მოსალოდნელი და მთქმელისთვის ცნობილი – რა თქმა უნდა, ამ შესაძლო შედეგთა იმ ამოცანებთან მიმართების ჩათვლით, რომელიც დღეს საკუთარ სახელმწიფოს აქვს. ნოღაიდელის მიმართ დღეს საზოგადოებაში არსებული ბრალდება, – რომ მან ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი, იმით, რომ შეხვდა პუტინს, და იმით, რა შინაარსის ლაპარაკი ჰქონდა მასთან – მართალია ან ტყუილია. იმის მიხედვით, თუ

– რა შესაძლო შედეგი ჰქონდა და აქვს შეხვედრის ფაქტს და

– რა შინაარსისა იყო ნოღაიდელის და პუტინის საუბარი.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნოღაიდელს პუტინთან „მოლაპარაკების" ფაქტიც და მისი შინაარსის თაობაზე უკვე გაცხადებული ინფორმაციაც შეიცავს სახელმწიფო ღალატის დანაშაულის შემადგენლობას.

იმისათვის, რომ საქმის იურიდიულ მხარეში და, მასთან ერთად, მორალურ მხარეში გავერკვეთ, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს საქართველოს ახლო წარსულიდან.

1. საქართველოს „ეროვნული გვარდია – შინაგანი ჯარი" შეიქმნა 1991 წლის გაზაფხულზე. მის სათავეში დაყენებულ იქნა ნულოვანი სამხედრო მომზადების მქონე კიტოვანი. დანიშვნის მოტივები, ჩემის აზრით, არასაპატიო იყო. მათი დახასიათებისთვის დავიმოწმებ ჩემს წიგნს „რაც ვიცი", გვ. 215. *„კიტოვანის პიროვნებაზე ბარემ ახლავე უნდა ვთქვა. მისი დანიშვნა გვარდიის სარდლად – თავიდან ბოლომდე ან ძირითადად მაინც – ზ. გამსახურდიას საქმე იყო. იგი დანიშნა იმიტომ (ჩემის აზრით – მხოლოდ იმიტომ), რომ მასში ძლიერი პიროვნება დაინახეს, ძლიერი პიროვნება კი მასში დაინახეს მხოლოდ იმიტომ, რომ ციხეში ნამყოფი იყო (პროფესიით იგი მხატვარია) და მუხრანში თავისი შეიარაღებული, რბილად რომ ვთქვათ, ჯგუფი ჰყავდა. მის მოღვაწეობაზე იარაღის შეძენის საქმეში ზემოთ უკვე მქონდა ლაპარაკი."*

იმის გაგებისათვის, თუ როგორი იყო ამ დროს საქართველოს ძალის შეიარაღების გზა და პერსპექტივები, დავიმოწმებ ამავე წიგნს „რაც ვიცი": *„თითო-თითოდ საშოვარი იყო ძველი „კალაშნიკოვები", მათ შორის – სასწავლო (ე.ი. ლულაგახვრეტილი და შემდეგ დადუღებული) ეგზემპლარებიც, რომელიც საბრძოლო იარაღი არ არის. შიდა ქართლში მიდიოდა ის ნამცეც-ნამცეცი იარაღი, რომელიც ქვემო ქართლში იყო შეზიდული იქაური კონფლიქტის დაწყების შემდეგ. იარაღი, რომელიც ეროვნული მოძრაობის ხელთ არსებული კაპიკებით შეიძინებოდა, თითქმის მთლიანად აზერბაიჯანიდან მოდიოდა: რუსი, რომელიც ფულის ეშხით არ ერიდებოდა იარაღის მიყიდვას აზერბაიჯანელისათვის ან სომხისათვის, არანაირი ანგარებით არ თანხმდებოდა მის მიყიდვაზე ქართველისათვის (თუ იგი მისი აგენტი არ იყო). შემდეგში, როცა ჩეჩნებთან ომს აგებდა, იგი იარაღს ჩეჩნებზეც კი ყიდდა. მაგრამ ამ წლების მანძილზე არ ვიცი თითქმის შემთხვევა, რომ ჩვენი იარაღი უშუალოდ რუსებისაგან შეძენილიყოს, და ისიც, რაც ვიცი, უფრო მოგვიანო დროს – შევარდნაძის მმართველობის დროს ეკუთვნის. ის, რომ დღეს ან ხვალ შესაძლებელი იყო იგივე იარაღი ათჯერ და ოცდაათჯერ უფრო დიდი რაოდენობით აფხაზეთში, ან სამხრეთ საზღვარზე, ან თუნდაც იმავე ქვემო ქართლში დაგვჭირვებოდა, საიდანაც იგი ახლა გამოგვქონდა, ყველასათვის იყო ცნობილი. მაგრამ იმის იმედი, რომ მას ვინმე მოგვცემდა, რაგინდ განსაცდელში ვყოფილიყავით, ან რომ მის საშოვრად სხვა, უფრო უხვ წყაროს ვნახავდით, ვიდრე თითო ცალობით მოვაჭრე აზერბაიჯანელი „ბარიგა", უტოპიის უტოპია იყო."*

კიტოვანი შევიდა პირად კონტაქტში რუსეთის საქართველოში მყოფ სარდლობასთან და ყიდულობდა მისგან იარაღს. ამის უფლება მას ჰქონდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოსთვის მისაწვდომი სხვა მასშტაბური წყარო იარაღისა არ არსებობდა, არამედ იმის წყალობითაც, რომ რუსეთთან საქართველოს, ფორმალურად, სავსებით ნორმალიზებული ურთიერთობა ჰქონდა (ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელების „გარდამავალი პერიოდი"). იგი ყიდულობდა იარაღს სახელმწიფოსთვის და სახელმწიფო ფულით. ანალოგიურადვე ჰქონდათ იგივე მორალური უფლება სახელმწიფოებრივი სტატუსის არმქონე ორგანიზაციებს და პირებს, რადგან საქართველო მძიმე შეიარაღებული დარტყმის ქვეშ იმყოფებოდა, რომლის მოგერიებასაც არც კიტოვანის უნარი, არც მის მიერ შეძენილი იარაღი არ ჰყოფნიდა. ამიტომ სახელმწიფო არ დევნიდა იარაღის შეძენას არც სამართლებრივად, არც ფაქტობრივად. იარაღს, გარდა სახელმწიფოსი, იძენდნენ, როგორც ვთქვი, „მხედრიონი", „კოსტავას საზოგადოება", სხვადასხვა საძმოები, თავდაცვის მაძიებელი კერძო პირები, რა თქმა უნდა, კრიმინალებიც. ვცდილობდით შეძენას ჩვენც (სახალხო ფრონტი), მაგრამ მნიშვნელოვან მასშტაბებამდე მისვლის გზა ჩვენთვის დაკეტილი დარჩა. დავიმოწმებ კვლავ აღგილს ხსენებული წიგნიდან:

*„საყიდელი იარაღის გამწარებულ ძებნაში (ამ პრობლემაზე ცხინვალის ზონასთან დაკავშირებით უკვე გვქონდა ლაპარაკი) გზა ენახე ორი სამხედრო მოსამსახურისკენ: ერთი ებრაელისკენ, რომელთანაც ერთ ჩემ მეგობარს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც მისი შვილი მის ნაწილში მსახურობდა, და მეორე ძალიან მაღალი წოდებისა და თანამდებობის მუსლიმანისკენ, რომელსაც ჩვენი წინადადება მისი ნათესავი ქალის მეშვეობით გადავეცი და ცივი უარი მივიღე (ამით ჩანს, სხვათა შორის, რამდენად გულუბრყვილოა აზრი, თითქოს მეორე მუსლიმანი თანამდებობის პირი – გენერალი ბეპაევი – ქართველებს იარაღს მხოლოდ ფულის ეშხით აძლევდა, ან თითქოს უმაღლესმა გენერალიტეტმა თავისი იარაღი ამიერკავკასიის სხვა ძალებს მხოლოდ ფულადი დაინტერესების გამო გადასცა). ის ებრაელი კაცი მოვინახულეთ მის ნაწილში და სათხოვარი ვთხოვეთ. დაგვიბარა რამდენიმე დღის მერე და, რომ მივედით, ჩვენი საწადელის მაგიერ (მისი საკითხის გარკვევა ზრდილობიანად გადაგვიდო შემდეგისათვის) რუსი გენერალი სკორი დაგვახვედრა. ის გენერალი, რომ ძალიან მოწადინებულად გვიქადაგებდა, შევარდნაძისთანა კაცს ხელიდან როგორ უშვებთო და უმაღლეს თანამდებობაზე არ იყენებთო, ეს არ გვეკვირვებოდა, მაგრამ გვეკვირვებოდა, მასპინძლის რუსმა მეუღლემ რომ მთელის გულახდილობითა და ალალობით გვითხრა, „შევარდნაძე აქ გვაკითხავს ხოლმე ხანდახან და გუშინწინაც აქ იყოო". რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ ცნობას რაიმე სერიოზული ან, მით უმეტეს, ცალსახად გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭო, მაგრამ არც მისი პირწმინდად უგულებელყოფის საფუძველს ვხედავ.*

*(იმ გენერალ სკორის, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, მანამდისაც ვიყავი შეხვედრი და შესაძლოა მისი დაინტერესება ჩვენი სტუმრობით ნაწილობრივ ამანაც განაპირობა. ეს იყო მაშინ, 9 აპრილის ჟლეტის შემდეგ რომ რუსებს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ასეულის მიყვანა უნდოდათ და განზრახვაზე ხელი ავაღებინეთ. ჩემი ლაპარაკი რუსების სარდალ პატრიკეევთან მაშინ მკვეთრი იყო, მაგრამ კორექტული. სკორი კი, მასზე ერთი თავით უფრო პატარა, ავი ფინიასავით გამოხტებოდა ხოლმე დროდადრო თავისი პატრონის ზურგს უკან და ცდილობდა ჩვენთვის უკვე დროგადასული იმპერიის არსენალიდან აღებული რომელიმე უხეში ფრაზით ეკბინა."*

ამ თხრობას ფაქტად უნდა დავძინო შემდეგი: ამ გენერლის დაინტერესება ჩვენით რომ დიდიც იყო და თავის უფროსობასთან მოსახსენებელიც, იქიდან ჩანდა, რომ გამოსვლის შემდეგ უცებ ძმაკაცივით გადახვევა-გადაკოცნა დაგვიწყო ღია და ფარული კამერების წინ და პირობების ჩამორთმევა, „პურ-მარილს ნუ დავაძველებთო" (ჩვენი პურ-მარილი ჩატანილი გვქონდა იმ ებრაელ ოფიცერთან, მაიორთან, მაგრამ გენერლის მონაწილეობის გამო იქ ბევრად ამაღლებული ხორაგი დაგვახვედრეს. ეს იყო „ზაკვოს" ერთერთი გულის-გული რუსული ბაზა მცხეთაში, სადაც II მსოფლიო ომის დროს ამ სამხედრო ოლქის შტაბი იყო განლაგებული, თბილისში მყოფის პარალელურად). კომენტარის სახით კი იმას დავძენ, რომ, ჩვენი შთაბეჭდილებით (სამნი ვიყავით), ამ მაღალი თანამდებობის გენერალს და მის უფროსობას აინტერესებდა, თუ როგორ ხედავდა საქართველოს პატრიოტულად განწყობილი საზოგადოებრიობა – ამ შემთხვევაში, ჩვენი სახით – ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ურთიერთობას ახლო მომავლის მანძილზე. ჩვენ ვცდილობდით შთაბეჭდილების შექმნას, რომ ორგანულად დაინტერესებული ვართ მათი კვალიფიკაციის და მათ მიერ უკვე შექმნილი ობიექტების გამოყენებაში ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გასამაგრებლად, კონკრეტულად – იარაღის მიღებით, წვრთნაში დახმარებითა და „უკრეპრაიონების" – თავდაცვის უკვე შექმნილი ხაზების (პირველ ყოვლისა – ჯავახეთის ზეგანზე) არმოშლით. მე მიმაჩნია, რომ იმ დროს (1991) ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის რუს სამხედრო კასტასთან ურთიერთობის ყველაზე კარგი კუთხე ეს იყო (სხვა კურსი არც არსებობდა) და ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ არ იქნებოდა მიღწეული რადიკალური წინსვლა დასავლეთთან ურთიერთობაში, რომელიც ძალიან შორს იყო მაშინ ჩვენი არა თუ ოფიციალური ცნობისაგან (სსრკ ჯერ არსებობდა), არამედ ჩვენდამი გამორჩეული ინტერესის მოპყრობისგანაც. სამწუხაროდ, იმავე წლის დამლევისათვის, როცა აშშ პრეზიდენტი ბუში უფროსი უკრაინის 1991 1/XII რეფერენდუმთან დაკავშირებით სსრკ-ს დაშლის თავის ისტორიულ ოპერაციას ატარებდა (იხ. Tallbot, Beshloss. At the highest Levels") ჩვენი ამოცანა წინ კი არ იყო წასული, არამედ უკან. მთავრობის შენობის წინ „კარვის ქალების" გამოტანილი პლაკატი „ძირს ჯ. ბუში" იყო წამოშვერილი. (შევნიშნავ ფრჩხილებში, რომ „ხუნტისა" და შემდეგ შევარდნაძის მმართველობაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ქართველების არაოფიციალური ურთიერთობა იარაღის შეძენის მიმართულებით ზუსტად იგივე დარჩა, რაც იყო. შეცდომა თუ დანაშაული საქართველოს ხელისუფლების თუ კერძოების მხრიდან, როცა იგი იყო, მდგომარეობდა არა შეძენის ფაქტში, არამედ შეძენილის მოხმარების რაგვარობაში. მაგალითად, ოფიციალურ დონეზე შევარდნაძის მიერ მათს გულითად ლიქნას საქართველოს შეიარაღების დონე მილიმეტრითაც არ აუმაღლებია: რუსეთი მას აძლევდა იმდენ იარაღს, რამდენიც სჭირდება ომის დაწყებას (ასე დაიწყო ომი არძინბასთან ერთად რუსული სცენარით), მაგრამ არა იმდენს, რამდენიც სჭირდება მის მოგებას. შევარდნაძე ამას ვერ მიხვდა ან არ მიხვდა).

სამხედრო სფეროს გარეთ მდებარე კერძო ურთიერთობებს რაც შეეხება, აქ, მიუხედავად რუსეთის დაუძინებელი და თავისი ჩანაფიქრით დაუნდობელი მტრობისა საქართველოსადმი, ისეთი სიტუაცია, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით დაუშვებელს გახდიდა საქართველოს პოლიტიკურად მოტივირებული მოქალაქის საქმიან შეხვედრას რუსეთის სახელმწიფოს ლიდერებთან, არ არსებობდა. ასეთი ქართველის ერთგულება-ორგულობა **განიზომებოდა მხოლოდ წარმოებული მოლაპარაკების შინაარსით, და არა თვით ფაქტით.** დღეს სხვა სიტუაციაა. დღეს საქართველო გამოკიდულია, როგორც მხნელ ბაგირზე, მსოფლიოს პოზიციაზე რუსული ანტიქართული აგრესიის მიმართ. **ამიტომ დღეს საქართველოს ერთადერთი მომგებიანი პოზიცია რუსეთის მიმართ არის „მე და შენს შორის მოციქულია მხოლოდ ტყვია და ასე იქნება მანამდე, სანამ რუსეთის შეიარაღებული ძალა არ გავა საქართველოდან და რუსეთი არ გააუქმებს თავის მიერ ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე ორი კანონსაწინააღმდეგო „სახელმწიფოს" ცნობას".** ნოღაიდელი, რომელიც პუტინს ჰხვდება „პოლიტიკოსის" როლში და საქართველოში ერთერთ „ძალად" ყოფნას სიმულანტობს, ამით ხელყოფს საქართველოს ხსენებულ სტრატეგიას მსოფლიო აზრის წინაშე. **ამიტომ ამ ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ღალატისა, ჩემის აზრით, ცალსახაა.**

ამავე ბრალდების წაყენება ნოღაიდელისათვის პუტინთან შეხვედრის გამო, ჩემის აზრით, შეიძლება იმ არგუმენტითაც, რომ პუტინი არის პირი, რომელმაც, ჯერ ერთი, საქართველოს ტერი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

*მე-4 გვერდიდან*

ტორია, ქონება და ადამიანთა სიცოცხლე ხელყო, მეორეც, **ლიად მიუზურპატორა საქართველოს გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე „დასჯის“ უფლება (ეს მისი საკუთარი გამოთქმაა), რაც თავისთავად კრიმინალური ქმედებაა მისი მხრიდან.** მასთან საუბრის გამართვა საქართველოს დღეს არსებულ შიდა საკითხებზე ამ კრიმინალურ ქმედებაში არაპირდაპირ მონაწილეობას ნიშნავს.

მეორე პარამეტრი ნოღაიდელის იურიდიული პასუხისმგებლობისა, როგორც ზემოთ ვთქვი, არის პუტინთან მისი საუბრის **შინაარსი**, რომელზეც, გამოქვეყნებული ტექსტის ხელთ არქონის გამო, მხოლოდ არაპირდაპირი ინფორმაცია მოგვეპოვება. ის, თუ რისი თქმის უფლება აქვს საქართველოს პოლიტიკაში ჩაბმულ პირს აგრესიის პოზიციაში მდგომი რუსეთისადმი და რის თქმა ჰმართებს, ხუმტურის საგანი არაა. ეს მყარი, – თვით სამართლებრივი და მორალური კანონებიდან გამომდინარე ფორმულირებაა, რომელიც, სიტუაციისდა მიხედვით, ევოლუციას განიცდის. პირადად ჩემთვის ეს ევოლუცია ამგვარია (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე):

**პირველი ეტაპი, როცა საქართველო მსოფლიოს მიერ ცნობილი არ არის და საქართველოში რუსის ჯარი დგას:** ზოგადი განსაზღვრების ფონზე „ჩვენ დღეს დამოუკიდებლობის აღდგენისკენ გარდამავალი ეტაპი გვაქვს“ რუსეთთან დიალოგში ყველაზე არსებითის არხსენება, რაშიც (ბავშვმაც კი იცის) ჩვენ რეალურად შეურიგებელნი ვართ; დიალოგის წარმართვა სტილში „ახლა ხომ ერთად ვართ დროებით: მოდით, ამ დროის მანძილზე ერთმანეთს ვნება არ მივაყენოთ და სარგებლობა მოვუტანოთ“ (საქართველოს პოზიცია 1991 წლის მანძილზე, ძირითადად, სწორედ ასე ფორმულირდებოდა).

**მეორე ეტაპი, როცა საქართველო მსოფლიოს მიერ აღიარებულია,** „ჩარჩო ხელშეკრულების“ დადება, თითქოს, დღის წესრიგშია და ოფიციალურად ითვლება, რომ რუსეთი არ გვერჩის, სინამდვილეში კი გვეომება. ამ ეტაპის შესაფერისია მხოლოდ პოზიცია, რომლითაც მე ვუპასუხე ჩემთან მოსულ პირველ რუს ელჩს საქართველოში ზემლიანსკის და მის მხლებელ ჯგუფს, როცა მკითხეს, როგორ წარმომიდგენია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განჭვრეტად მომავალში. მე ვუპასუხე: „აქ შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონია, დაწყებული არა სავსებით თანასწორი თანამშრომლობით და დამთავრებული ღია მტრობით, როცა ჩვენ ვცდილობთ თქვენს განდევნას არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სამხრეთ ზოლიდანაც. ჩვენ გვირჩევნია პირველი.“ ზუსტად იმავე სიტყვებით ვუპასუხე ზუსტად ამავე შეკითხვას რუსეთის დუმის თავდაცვის კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, სადაც, წინდახედულად, მივიყვანე არა მხოლოდ მოსკოვში იმ დროს მყოფი ქართველი პარლამენტარები, არამედ იქაური ქართველებიც (ივერი ფრანგიშვილი, სევერიანე ცაგარეიშვილი და სხვანი).

იმავე ეტაპის მეორე ნაწილი, **როცა საქართველოს უკვე გამოცხადებული აქვს დასავლეთზე ორიენტაცია, თავდაცვითის ჩათვლით.** აქ გონივრული ფორმულირება ასეთია: „ჩვენ ავირჩიეთ დასავლური კურსი და იგი ძალაშია მთელი განჭვრეტადი მომავლისთვის. თქვენგან მხოლოდ ის გვინდა, რომ ჯარი გაიყვანოთ, ჩვენ შინაგან საქმეებში ჩარევა შეწყვიტოთ და გონივრული ჩარჩო-ხელშეკრულება დაგვიდოთ. ასე ჯობია თვენთვისაც, ჩვენთვისაც და დასავლეთისთვისაც“.

მესამე ეტაპი, 2008 წლის აგრესიის შემდეგ. **აქ ფორმულირება ერთია. „წადი ჩემი მიწიდან და გააბათილე შენ მიერ ჩემი ტერიტორიების „დამოუკიდებლობის“ ცნობის აქტი. მანამდე ჩვენს შორის მოციქული მხოლოდ ტყვიაა.** სამწუხაროდ, ჩვენი ტერიტორიის აღდგენის გზა, როგორც ირკვევა, თქვენს დამარცხებაზე გადის. რა ვქნათ, ამ სამწუხარო ფაქტს უნდა შევურიგდეთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ბუნებრივ მოკავშირესთან – დემოკრატიულ დასავლეთთან – ერთად ამ გზის გავლას და გამარჯვებას ადრე თუ გვიან შევძლებთ“.

ნოღაიდელის და მასთან ერთად მყოფი რამდენიმე პარტიის გაცხადებული პოზიცია „ჩვენ გვინდა რუსეთთან მოლაპარაკება ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ“, ანუ სიმულაცია საქართველოში თითქოსდა ასეთი ნების – რუსეთის ჯარის საქართველოში დგომის და საქართველოს ტერიტორიათა ნაწილების „დამოუკიდებლობის“ ცნობის პირობებში რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე ნების – არსებობისა მნიშვნელოვანწილად აღუნებს მსოფლიო ნებას ჩვენი კანონიერი ინტერესის დაცვის საქმეში. ეს ქმედებაც, ისევე როგორც თვით ფაქტი პუტინთან შეხვედრისა, მე მგონი, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უდავო კვალიფიკაციას იმსახურებს. ნოღაიდელისა და მისი ამჟსონების პოზიცია და მისგან გამომდინარე ქმედება პირდაპირ და პრაქტიკულად ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების არა მხოლოდ იმ სტრატეგიას, რომელიც **უნდა იყოს**, არამედ იმასაც კი, რომელიც არის – როცა ხელისუფლება სიტყვით დასავლეთს ემეგობრება, საქმით კი ჩუმ-ჩუმად „ტეხავს“, რასაც კი შეუძლია, რუსეთის სასარგებლოდ.

* * *

ეს, რაც ითქვა, საქართველოს წინააღმდეგ დღეს მიმდინარე რუსულ-ქართულ ანტიქართულ შეთქმულებაში მონაწილე ქართველების მიერ უკვე ჩადენილი ღალატის **მხოლოდ იურიდიულად კვალიფიცირებადი ელემენტებია.** გეგმას აქვს თავისი **პოლიტიკური** სტრატეგიაც, რომელიც გაშიფვრადია, მაგრამ ჯერ მხოლოდ სავარაუდო განზრახვის სახე აქვს. მისი გაცხადება საზოგადოებისთვის, ჩემის აზრით, აუცილებელია. იგი წარმოდგენილი მაქვს შემდეგნაირად (და ჩემი ვარაუდი გამოქვეყნებული მაქვს გაზ. „საქართველოში“ ა.წ. პირველ ნომერში).

ნოღაიდელის და მასთან ალიანსში შესული პოლიტიკური ჯგუფების როლი იმაში მდგომარეობს, რომ **საქართველოში მოაწყონ შეძლებისდაგვარად მკვეთრი სამოქალაქო დაპირისპირება ან მისი სიმულაცია მაინც.** იმას, რომ ამ ჯგუფებს ძალა ეყოფათ ხელისუფლების ასაღებად, ოპერაციის მგეგმავი ანუ რუსეთი, სავარაუდოდ, არ ფიქრობს. ამ ფონზე, რომელიც რაც შეიძლება უფრო ტრაგიკულად და ჩიხურად უნდა გამოიყურებოდეს, ქართული საზოგადოებრიობის ერთმა ჯგუფმა, რუსეთის ანგარიშით, უნდა მოიწვიოს რუსეთი შეიარაღებული ჩარევისთვის „ქართველი ერის გადასარჩენად“ მსგავსად იმისა, როგორც „შულავერის მთავრობამ“ – სრულებით არალეგიტიმურმა და არანაირი „წარმომადგენლობითი“ მანდატის ქონის პრეტენზიის არც მქონემ – მოიწვია საბჭოთა რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალა საქართველოს „გასათავისუფლებლად“ მისივე ბურჟუაზიული ხელისუფლებისაგან. ამის შემდეგ – და მხოლოდ ამის შემდეგ – იწყება ოპერაციის მთავარი, რეალური ნაწილი ანუ რუსეთის შეიარაღებული დარტყმა (თუკი მსოფლიომ მოუშვა ან დროულად ვერ აღკვეთა ეს დარტყმა მისი ელვისებური ხასიათის გამო) და საქართველოს სათავეში ახალი რუსული მარიონეტული დიქტატორის რეალური, დღეს ჯერჯერობით საზოგადოებისთვის უცნობი პირის „დასმის“ პროცესი. სხვა აზრი ნოღაიდელისთანა უმნიშვნელო ფიგურით „თამაშისა“ და მასზე „ფსონის“ (stake, ставка) დადებისა (ამ ფსონს ჯერ „რუსთავი-2“, ხოლო შემდეგ მისი უწიგნური მიმბაძველები რატომღაც „ფსონს“ უწოდებენ, რაც სულ სხვას ნიშნავს), რუსეთის მხრიდან არ ჩანს.

ნოღაიდელის ეს მოსალოდნელი ქმედებაც და დღეს მისი სავარაუდოდ მიმდინარე მზადებაც სახელმწიფო დანაშაულია იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა. მის დადასტურებას, ჩემის აზრით, ძალიან დიდი ალბათობა აქვს. ამიტომ საფუძველი გვაქვს ეჭვისათვის, **რომ რუსული მარიონეტების დღევანდელი ქართული ხელისუფლებაც მონაწილეა მიმდინარე შეთქმულებისა.** ეს ვარაუდი ლოგიკურია იმიტომ, რომ სხვა გზით აუხსნელია ნოღაიდელის დაუკავებლობა მაშინ, როცა მისი ზემოხსენებული კანონგადაცდომები უკვე სახეზეა.

მხედველობაში მისაღებია ის, რომ, თუ გინდათ მატჩის მოწყობა, უნდა გყავდეთ **ორი** გუნდი. **ერთი** გუნდით მატჩი ვერ გაიმართება. ასევე, ვისაც საქართველოში სამოქალაქო ომის მოწყობა უნდა, სამოქმედოდ უნდა ჰყავდეს **ორი** მხარე. ამ სამწუხარო ჭეშმარიტების გათვალისწინება აუცილებელია, სხვათა შორის, იმ სამარცხვინო ტრაგედიის მექანიზმთა გასაგებადაც, რომელიც საქართველოს უახლოეს წარსულში დაატყდა.

აღნიშნულ გარემოებებს მივყავართ **საქართველოს შვილთა და მოქალაქეთა მიერ საქართველოს ღალატის კიდევ ერთ, უკანასკნელ, ჯერჯერობით მზადების პროცესში მყოფ ეპიზოდთან.** ვინ არიან ისინი, ვინც საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალა კიდევ ერთხელ, 89 წლის თავზე, უნდა „მოიწვიოს“? („მოიწვიოს“ პუტინის გეგმის თანახმად, რომელმაც პირდაპირ თქვა პრიმაკოვის დაბადების დღეზე უთავმოყვარეო ქართველების ერთი ჯგუფის დასწრებით, „ჩვენი ურთიერთობის დარეგულირებაზე „საზოგადოებრივმა ჯგუფებმა“ (Общественные группы) უნდა იმუშავონო“. მსურველს შეუძლია იხილოს ეს სიტყვები ინტერნეტში). ეს ჯგუფი უნდა შეიცავდეს პირველ ყოვლისა ე.წ. „ლამაზებს“, ანუ დიდებითად ცნობილ სახეებს, რათა ხალხის წინაშე ავტორიტეტი შექმნან. შესაძლებელია ისიც, რომ ამ „ლამაზთა“ ყოფნა ამ ჯგუფში გამიზნული იყოს „ოპერაციის“ ბოლომდე, შესაძლებელია, რომ მათ, თანდათან, სხვა, უფრო პირდაპირი და რუსეთისთვის უფრო გარანტირებული საიმედო სახეები ჩაუნაცვლონ. ასეთ ჯგუფს (თუნდ ჭადრაკის სასახლეში შეკრიბოს და თუნდ სადმე ღია ესტრადის წინ) უნდა ჰქონდეს ძალიან ლამაზი სახელიც, რომელიც შემდგარი იქნება პატრიოტულად და დემოკრატიულად მჟღერი სიტყვებისაგან („ეროვნული“, „მამულიშვილური“, „სამშობლო“, „დემოკრატია“, „ხსნა“, „გადარჩენა“ და ა.შ.). ასეთი ჯგუფი, რომელიც იასხება, პირადად მე უკვე ვიცი არა ერთი. მათი გაჩენა და განვითარება ლოგიკურია, თვით საქართველოს მდგომარეობიდან და საქართველოს ხსნის რეალური საჭიროებიდან გამომდინარე. ამიტომ ამ ჯგუფთა უმრავლესობა, ალბათ, გულმართალი და ალალი იქნება, მაგრამ არა ყველა! ამიტომ მათ მიმართ საზოგადოების სიფხიზლე მაინც აუცილებელია ე.წ. „მეთოდოლოგიური ეჭვის“ სახით. **მათ უნდა წაეყენებოდეთ საკონტროლო მოთხოვნები. პირველ ყოვლისა, მათ უნდა ჰქონდეთ ცალსახად და მყარად გაცხადებული პოზიცია: არავითარი მოლაპარაკება, შერიგება, დათბობა, დატკბობა, ტოლერანტობა თუ თანამშრომლობა რუსეთთან მანამდე, სანამ იგი**

**– არ გაიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს მიწაწყლიდან**

**– არ გააუქმებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“! ცნობას.**

ამ პოზიციის ღიად, მიუკიბავ-მოუკიბავად გაცხადება არის წონადი საბუთი იმისა, რომ ამგვარი ჯგუფი რუსეთის სამსახურში არაა, არამედ საქართველოს ეროვნულ ინტერესთა სამსახურშია (ისევე, როგორც საკუთარ სახლსა თუ კოშკზე მიკრული მტრის მარჯვენა ხევსურებისა და ქისტების ტრადიციაში იმის მოწმობაა, რომ ეს ოჯახი მოწინააღმდეგესთან სეპარატულ მოლაპარაკებაზე წამსვლელი არ არის, რაც თემის ერთობის აუცილებელი პირობაა). შემთხვევითი არაა და პოლიტიკურად უმნიშვნელო არაა ლავროვის ამასწინდელი ტრიუმფალური განცხადება, „ქართული ოპოზიცია“ (იგულისხმება: ნოღაიდელის პარტია და მის რუსულ ფულზე მიტმასნილი პოლიტიკური მეძავებისა და მოღალატეების ჯგუფი) ჩვენთან მოპარაკებაზე მოდის **წინასწარი პირობების გარეშეო“.**

არის ერთი შედარებით „ტექნიკური“, მაგრამ მნიშვნელოვანი საშუალებაც იმის დიაგნოსცირებისა, ესა თუ ის ჯგუფი რუსეთის ხსენებული შეთქმულების მონაწილეა თუ არა. ჯგუფი არ უნდა აცხადებდეს თავისთავს „წარმომადგენლობითად“ ანუ არ უნდა აცხადებდეს პრეტენზიას ლეგიტიმაციაზე. საზოგადოებას შევახსენებ (რადგან მისმა დიდმა ნაწილმა ეს არ იცის ან არ ახსოვს). ის, რომ საქართველო რუსეთმა 1921 წელს დაიპყრო „მოწვევით“ – სრულებით არალეგიტიმური „შულავერის ჯგუფის“ „მოწვევით“ – და რომ იგივე სცენარი განმეორდა უნგრეთში 1956 წლის ნოემბერში იანოშ კადარის პირით, ისტორიამ და პოლიტიკამ **იციან.** შესაბამისად, 1968 წლის აგვისტოში, როცა რუსები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ, დასავლურ რეაქციაში და გაშუქებაში უწყვეტად ტრიალებდა თემა, რომ, საქართველოსგან და უნგრეთისგან განსხვავებით, ჩეხეთში რუსებმა **მომწვევი ვერ იშოვეს**, და ამას მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქედან შეგვიძლია გავთვალოთ, რამდენად ულირთ რუსებს დღეს ის, რომ ხროვას, რომელიც მათ „მოიწვევს“ ნოღაიდელისთანების გაჩაღებულ ან სიმულირებულ სამოქალაქო ომში გამშველებლად, თავის სახელში სიტყვა „წარმომადგენლობითი“ ერიოს.

რუსეთის გეგმა დამყარებულია იმ იმედზე, რომ გაჭირვებისგან გამწარებული საშუალო ქართველი დათმობს საქართველოს ტერიტორიული აღდგენის ინტერესს, რათა თავისი დღევანდელი საბრალო მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუუარესდეს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის დაკარგვა საქართველოსთვის სიკვდილია და არა ზარალი. საქართველოს ამ მიწაწყლის დამთმობი თავის შთამომავლობას წირავს საცოდავი არსებობისთვის თავის ქვეყანაში და უპოვარი ბოგანოობისათვის დანარჩენ მსოფლიოში. სამწუხაროა (და საქართველოს მოღალატე ხელისუფლების ბრალია), მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მიწაწყლის დაბრუნების გზა რუსეთის დამარცხებაზე გადის (ეს ზემოთაც ვთქვი). საქმეში ჩაუხედავ კაცს ეს შეიძლება დაუჯერებლად ეჩვენოს, მაგრამ ჩახედულს – რუკის და სტატისტიკის კითხვის მცოდნესა და მსოფლიო პოლიტიკის თვალის მდევნელს – ეს არ უკვირს, რადგან მან იცის, რომ რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ოთხჯერ ნაკლებია შეერთებული შტატებისაზე და ოთხნახევარჯერ – ევროპისაზე, რომ ამერიკის სამხედრო პოტენციალი მრავალჯერადად აჭარბებს რუსეთისას და, რაც მთავარია, რომ რუსეთისაზე შეუდარებლად უფრო დიდია შავი ზღვითა და კავკასიით დასავლეთის (პირველ ყოვლისა – შეერთებული შტატების) **დაინტერესების ხარისხიც** (რადგან შავი ზღვა და შუა აზია ცენტრალური პოზიციაა III მსოფლიო ომის მოსაგებად, რომელიც უკვე მიმდინარეობს და მრავალ წელს გაგრძელდება ხან ცივი, ხან „ცხელი“ სახით). რუსეთი უკვე ჩაბმულია ამ ომში, რომელშიც მას გარდუვალი დამარცხება ელის. ამიტომაც იგი მზადაა ყველანაირ ავანტურაზე წავიდეს, რათა მოასწროს კავკასიის ყელის კიდევ ერთხელ დაპყრობა და შეუქცევადად დასაკუთრება იურიდიულად შეუქცევადი სახით. დღეს ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ვართ ჩვენი ქვეყნისა და ერის ისტორიული გადარჩენისათვის. ჩვენი პოზიცია ჩვენს მოკავშირეებთან ერთად გარდუვალად მოსაგებია. აქ ორი აზრი არ არის. ჩვენს პერსპექტივას მომავალ მსოფლიოში, პირიქით, არა თუ ორი, არამედ ასი სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი აქვს, განადგურებით დაწყებული და გამართულ ძლიერ სახელმწიფოდ დადგომით დამთავრებული. მაგრამ ამისთვის ჩვენც სიფხიზლე, სიმყარე და გონიერებასთან გამბედაობის (ან, პირუკუ: გამბედაობასთან გონიერების) ურყევი შეხამება გვმართებს.

* * *

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას.

სისხლის სამართლის კოდექსებში მუხლის „სახელმწიფო ღალატი“ დისპოზიციაში, ანუ იმ ქმედებათა ჩამონათვალში, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც სახელმწიფო ღალატი, დასახელებულია ხოლმე ის **კონკრეტული** ქმედებები, რომლებიც საზიანოა სახელმწიფოს თავდაცვის, ზოგადად – მისი სამხედრო ძლიერების **კონკრეტული** პარამეტრებისათვის. იგულისხმება – და შესაძლოა ზოგადი ფორმულირებაც იყოს მოცემული, – რომ ყველა ქმედება, რომელსაც ეს შედეგი მოსდევს, ექვემდებარება კვალიფიცირებას ამ მუხლით. მაშასადამე, თუ იცვლება სახელმწიფოს დაცვის ტექნოლოგიები, შესაბამისად იცვლება (და უნდა იცვლებოდეს) „სახელმწიფო ღალატის“ მუხლის დისპოზიციაში მოცემული ჩამონათვალიც. დღეს (წინა ეპოქისაგან განსხვავებით) სახელმწიფოს თავდაცვის ელემენტია მისი პოზიციების დაცვაც **საპროპაგანდო ომში**, აგრეთვე – რაკი მოსახლეობის ნება აღიარებულია, როგორც პროცესთა წარმართვის კანონიერი ფაქტორი, – მოსახლეობის ნების ზოგადი სურათის მსოფლიოსათვის ამ სახელმწიფოსთვის მომგებიანად (იგულისხმება: სწორად) წარმოდგენის ინტერესიც. თუ ეს სწორი სურათი ავლენს მოსახლეობის მიერ არსებული ხელისუფლების მიუღებლობას, მაშინ ამ სურათის გამხელა ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც ღალატი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ამას განსაზღვრავს დემოკრატიის ზოგადი და ყველასთვის დღეს უკვე სავალდებულოდ მიჩნეული პრინციპები (თუ ხალხს მთავრობა არ მოსწონს, მისი უფლებაა ამის საჯაროდ გაცხადება). მაგრამ თუ **ქმედება მდგომარეობს უცხო ქვეყნის სასარგებლოდ მოცემული ქვეყნის მოსახლეობის. განწყობილების წარმოდგენაში, როგორც მოწინააღმდეგე ქვეყნისადმი კეთილგანწყობილისა და, მით უმეტეს, მის წინაშე კაპიტულაციის მომხრისა, და თუ ამავე დროს მტკიცდება, რომ ეს სურათი ყალბია, მით უმეტეს, თუ მტკიცდება, რომ ეს ყალბი სურათი იხატება ანგარებიანი მიზნით (თუმცა ამ შემთხვევაში ეს არსებითი არ არის), მაშინ ამ ქმედების „ღალატად“ კვალიფიკაცია ეჭვს ვერ უნდა იწვევდეს. დღეს საქართველოში იმ შთაბეჭდილების შექმნისათვის, რომ მოსახლეობა მენტალურად მზადაა რუსეთის წინაშე კაპიტულაციისთვის (ნოღაიდელი და სხვანი), სახელმწიფო ღალატის მუხლის მიყენება იურიდიული თვალსაზრისით, ალბათ, ეჭვს არ იწვევს.**

საქართველოში დღეს ამ ვითარებას ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული პრობლემაც ებმის (თუმცა ფსიქოლოგიური უფრო, ვიდრე საკუთრივ სამართლებრივი ასპექტით). ეს გახლავთ საბჭოთა ეპოქისდროინდელი პრორუსული კომუნისტური კოლაბორაციონიზმის (საბჭოთა ხელისუფლების ანტიქართულ და ანტიდემოკრატიულ ქმედებებში მონაწილეობის) დასჯადობის საკითხი. ამ პრინციპულ საკითხს, ჩემის აზრით, შემდეგი პასუხი ეკუთვნის.

ამ ამოცანის გადაჭრისათვის, ჩვენის აზრით, უნდა გამოყენებული იქნას სამი (ურთიერთშემავსებელი) მიმართულების არგუმენტაცია.

**პირველი.** ნორმა, რომლის გადაცდომაც კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული, არის საზოგადოების (ან: კაცობრიობის უდიდესი და უფრო განვითარებული ნაწილის) ცნობიერებაში ამ დროს არსებული მეტაიურიდიული (მყარი, მაგრამ არაკოდიფიცირებული) შეხედულებები ადამიანთა ურთიერთობის შეუვალად სავალდებულო წესების შესახებ.

ასეთია, მაგალითად, მოთხოვნა, რომ კაცი ტყუილად არ მოკლა, დანაშაუ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

მე-5 გვერდიდან

ლი ტყუილად არ დააბრალო და სხვა. უფრო მაღალი დონის (და უფრო განვითარებული საზოგადოების) წესი, რომ კაცი გაუსამართლებლად არ მოკლა, კიდევ უფრო მაღალისა — რომ სასამართლოში უდანაშაულობის პრეზუმპცია დაიცვა, და ა.შ. ასეთია უზოგადესი იდეებიც, რომლებიც ეხება საზოგადოების (სახელმწიფოს ჩათვლით) და მისი წევრის (მოქალაქის ჩათვლით) ურთიერთობას, რომელიც, მაგალითად, კრძალავს, რომ თანამოქალაქეთა ერთობლივი ინტერესები დააზარალო უცხოთა ერთობლივი ინტერესების სასარგებლოდ საზღაურის ფასად (იმის დასაბუთება, რომ მოცემული ერი თავისი ქვეყნიურთ იმგვარი ფორმაა ადამიანთა კავშირისა, რომლის წინაშეც მოქალაქეს მოვალეობები აქვს, საერთოა კაცობრიობისათვის თითქმის მთლიანად და კამათის საგანი ვერ გახდება).

**მეორე.** ყველა შემთხვევაში დანაშაულია საზოგადოების მიერ ადამიანისათვის ზიანის მიყენება იმგვარი წესით, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, იდეოლოგიური მოტივით ან პოლიტიკური მითითებით.

**მესამე (და მთავარი).** ნორმის წყაროდ და საფუძვლად უნდა გამოყენებულ იქნას ის ფაქტი, რომ საქართველო 1918 წლის 26 მაისიდან **არის** სახელმწიფო, რამდენადაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს საქართველოს დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ ვერ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, არამედ იგი, იურიდიულად, მხოლოდ გაასაბჭოვა და რუსეთს მხოლოდ მოკავშირეობითი წესით მიაბა და დაუმორჩილა. სახელმწიფოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ფაქტობრივად დაპყრობილია, აქვს თავისი განუყოფელი ინტერესები, მათ შორის სასიცოცხლოც, რაც დაკონკრეტებადი და ჩამოთვლადია. ერსაც, როგორც ერს, აქვს სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც განუყოფელია, ჩამოთვლადია და დასაბუთებადია. **კონსტიტუციური ნორმიდან, რომლითაც საქართველო იყო სახელმწიფო, სახელდობრ მოკავშირე რესპუბლიკა, როგორც ნებაყოფლობითი კავშირის თავისუფალი წევრი, იურიდიულად გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოსა (საქართველოს რესპუბლიკის) და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება არის (და იყო 1921-1989 წლებში) დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მას არ კრძალავდა საბჭოთა რეჟიმის მიერ შემოღებული კონკრეტული კოდექსები.** მაგალითად, ადამიანის დაბეზღება ქართულ ნაციონალიზმში, შემდეგ მისი გასამართლება საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით, შემდეგ კი დახვრეტა ან გაციმბირება, რაც წარმოადგენს ერისა და საზოგადოების დემოგრაფიულ და ზნეობრივ დასუსტებას, სახელმწიფო დანაშაულია ამ პროცესის ყველა მონაწილის მხრიდან. სხვადასხვა სახით — ანუ საქართველოს მიმდინარე და ისტორიულმასშტაბიანი სასიცოცხლო ინტერესების შეგნებული დაზარალების სახით სხვადასხვა კონკრეტულ პარამეტრებში — სახელმწიფოს წინაშე დამნაშავეა ყველა ის პირი, რომელიც შეგნებულად მოქმედებდა რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიური ათვისებისათვის მოწყობილ ყველა კონკრეტულ პროგრამაში.

ნ. ნათაძე

# საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიის დაცვის არც გეგმა აქვს, არც სურვილი

საქართველოს ტერიტორიის დაცვა ხელისუფლების კონსტიტუციური მოვალეობაა. მაშასადამე, ხელისუფლება იძულებულია, უნდა ეს თუ არ უნდა, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლების გეგმა ჰქონდეს ან, თუ არა აქვს, მისი ქონა ისიმულანტოს. გეგმა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ამ ტერიტორიების განთავისუფლების შეუვალი უფლების დასაბუთებას ნებისმიერი საშუალებით (ეს ამოცანის იურიდიული და იდეოლოგიური მხარეა), შემდეგ — ამ ამოცანის გადაჭრის შესაძლო და სასურველი მეთოდების, აგრეთვე ამათ შორის ყველაზე უფრო სასურველების და შედარებით ნაკლებ სასურველების განსაზღვრას (ეს ამოცანის პოლიტიკური მხარეა), და ბოლოს — სათანადო ნაბიჯების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას (რისი პუბლიკაციაც, რა თქმა უნდა, ინფორმაციის დაცვის სათანადო მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა მოხდეს, მაგრამ უსათუოდ უნდა მოხდეს). ჯერჯერობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულია ერთადერთი ნაბიჯი — გაცხადებულია (და მსოფლიოს მიერ, რუსეთის გარდა, აღიარებულია), რომ აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს ნაწილია და რომ მათი ხელყოფა რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის პირდაპირი დარღვევაა.

ეს ნაბიჯი საქართველოს ტერიტორიული უფლების იურიდიული დაცვისათვის დღეს საკმარისი მინიმუმია — მაგრამ **მხოლოდ იურიდიულისთვის და მხოლოდ დღეს:** უახლოეს მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების გარდა ანალოგიურ სიტუაციებში განმსაზღვრელია (და, გარკვეულ შემთხვევებში, გადამწყვეტად განმსაზღვრელია!) ადამიანის ადამიანურ უფლებათა (Human Rights) სამართლის ფაქტორი, რომელსაც დღეს, მეტ-ნაკლებად, ჩვეულებითს სამართალთან მიახლოებული საერთაშორისო სტატუსი აქვს. იმას, რომ ეს ასეა, მოწმობს კოსოვოს პრეცედენტი, რომელშიც სერბიას მოცემული მომენტისათვის დაკარგული აქვს ტარიტორია იმ არგუმენტაციით, რომ სერბიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის დაცვა ეთნიკური წმენდისაგან. თქმულიდან გამომდინარე, თვით იურიდიული დაცვის ფარგლებშივე, აუცილებელია აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს შეუვალი უფლებების ნათელი დემონსტრირება (ილუსტრაცია და დასაბუთება) **ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლის თვალსაზრისითაც** (რაც, სხვათა შორის, მოითხოვს საქმის აღძვრას აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის გამო, რაც არც შევარდნაძის ხელისუფლებას, არც დღევანდელ ხელისუფლებას არ გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის შემთხვევაში გამოძიება ჩატარებულია და საბრალდებო დასკვნა არსებობს (ეს ხელისუფლების მხრიდან თავის კონსტიტუციურ მოვალეობათა უგულებელყოფისა და სახელმწიფოს ღალატის მკაფიო ნიმუშია).

საერთაშორისო-სამართლებრივისა და ადამიანის უფლება-სამართლებრივის გარდა ამოცანის იურიდიულ (და იდეოლოგიურ) ნაწილში შედის საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა **ე.წ. მეტაიურიდიულ სფეროსთან მიმართების თვალსაზრისითაც, ანუ ადამიანთა შორის მეტ-ნაკლებად არაოფიციალურად მიღებული იმ ზნეობრივი, მორალური, აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) შეხედულებების სისტემასთან მიმართების თვალსაზრისით, რომლებიც, რეალურად, ძალიან მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ კოდიფიცირებულ იურიდიულ ნორმებსაც და საზოგადოებრივ აზრსაც.** თქმულის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ერთ აბსურდულ ფორმულირებას, რომელსაც შეიცავს (მრავალ სხვასთან ერთად) ეუთოს საქართველოს მისიის მიერ 1992 წელს შემუშავებული „რეკომენდაციები“ ცხინვალის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე, სადაც აზრი, რომ საქართველოში უნდა კვლავ შეიქმნას „სამხრეთ ოსეთი“, რომელმაც იარსება 1922-1990 წლებში, ან ოლქის სტატუსით, როგორც 1990 წლამდე იყო, ან რესპუბლიკის სახელით, დასაბუთებულია ასე: „ჩვენთვის გადამწყვეტია ფაქტები, და არა მათი წარმოშობის ისტორია (იგულისხმება ოსი მოსახლეობის გვიანდელობა და რუსეთის როლი „სამხრეთ ოსეთის“ შექმნაში). ფაქტი ისაა, რომ საქართველოში უკვე 70 წელია არსებობს „სამხრეთ ოსეთი“ და ოსები შეჩვეულნი არიან მის არსებობას“. საპირისპირო ფაქტები — რომ „სამხრეთ ოსეთს“ არც ერთი საათი არ უარსებია მასში დამპყრობელი რუსეთის შეიარაღებული ძალის დგომის გარეშე, რომ იგი არაა ისტორიულად წარმოშობილი რეალობა, არამედ რუსული გამოგონება და კრეატურაა, რომ ქართველებიც, ადგილობრივების ჩათვლით, მრავალი ათასი წელია „შეჩვეულნი“ არიან, რომ ეს მიწა საქართველოა და არა „ოსეთი“, რომ ადამიანის ბუნებაშია ეროვნული ტერიტორიის ქონა და მისი ერთგული დაცვა და მის ამ ბუნებას ვერაფერი შეცვლის, საიდანაც გამომდინარეობს ერისა და მისი შემადგენელი ყოველი ინდივიდის უფლება, რომ ისტორიული მეხსიერება ჰქონდეს, რომ გუშინდელი ძალადობის შედეგთა პატიება და მათი ნაყოფის შერჩენა მოძალადისათვის აბსურდია, მით უმეტეს — არა მრავალი საუკუნის წინ ჩადენილისა, არამედ რამდენიმე ათეული წლის წინ, და ა.შ. — ეუთოს მისიის რეკომენდაციებში უგულებელყოფილია, ისევე, როგორც მისიის ყურადღების სივრცეში ვერ მოხვდა ცხადი პერსპექტივა, რომ ტერიტორიის სტატუსის შეცვლა მასზე მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების მიხედვით არის ეთნიკური წმენდის სტიმულირება მთელს მსოფლიოში. ამ მიმართულებით, ანუ მეტაიურიდიულ სფეროსთან დამოკიდებულების მიმართულებით, ქვეყნის ინტერესების დაცვაში მხარეთა მიერ თავისი პოზიციების არგუმენტირების როლი არანაკლებია, ვიდრე საერთაშორისო-სამართლებრივსა და უფლება-სამართლებრივში. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიული დაცვის საქმეში შეიარაღებაზე უნდა ჰქონდეს, სხვა არგუმენტთა შორის, შემდეგი შეუვალი არგუმენტებიც:

ა. მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობა არა თუ მკვიდრია, არამედ ავტოხთონურია, ანუ ეს ის მოსახლეობაა, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან გაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში, ხოლო აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობა იმიგრირებულია ჩრდილოეთიდან ძირითადად XVII საუკუნეში და მას ადგილობრივი პროვინციის „აფხაზეთის“ მკვიდრის სახელი „აფხაზი“ მხოლოდ იმიტომ ჰქვია, რომ ამ პროვინციაში დასახლდა. ამგვარად, აფხაზური სეპარატიზმის არგუმენტი, „ქართველები აფხაზეთში ბერიამ შემოასახლა“ და ლოზუნგი „გრუზინი — ვონ იზ აბხაზიი!“ უსაფუძვლოა. ასევე უსაფუძვლოა მისი მეტ-ნაკლებად ყრუდ ნაგულისხმევი არგუმენტი „ეს მიწა დავიპყარით, მაშასადამე, იგი ჩვენია“, რადგან აფსუა ტომებს, საქართველოში შემოსულებს (საქართველოს ციხეებში თურქების დგომის პირობებში) თავისი წარმატებები ვერასოდეს მიუყვანიათ იმ ნიშნულამდე, რომ ეს ტერიტორია საქართველოსთვის იურიდიულად მოეწყვიტათ (იგი იმერეთის მეფის ვასალიტეტში იმყოფებოდა ხან პირდაპირ, ხან მეფისავე ვასალის დადიანის ვასალობის ფორმით). თქმულიდან არ გამომდინარეობს, რა თქმა უნდა, რომ აფხაზებს საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთის ჩათვლით, რაიმე უფლება უნდა შევზღუდოთ, მაგრამ ცალსახად გამომდინარეობს ორი რამ: ერთი ის, რომ მათ არა აქვთ უფლება აფხაზეთში რაიმე უფლებრივი უპირატესობა მოითხოვონ მოსახლეობის ქართულ უმრავლესობასთან შედარებით იმ საფუძველზე, რომ მიწა მათია, ქართველებისა კი არა. მეორე: მათ არა აქვთ უფლება საკუთარი ერთპიროვნული ნებით გადაწყვიტონ, ქართველი მოსახლეობის უკითხავად და საქართველოს სახელმწიფოს უკითხავად, ტერიტორიის იურიდიული სტატუსის საკითხი ან საკითხები.

აფსუა მოსახლეობას, რომელსაც დღეს ქართულად და ქართულის მიხედვით სხვა ენებზეც „აფხაზი“ ჰქვია, რომ შეენარჩუნებინა ადიღეური მოდგმის სხვა ხალხებთან იდენტობის ცნობიერება, მაშინ იგი საქართველოში იქნებოდა ისეთივე დიასპორა, როგორიცაა სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, ბერძნული, რუსული მოსახლეობა. მაგრამ ამ ხალხმა დროთა მანძილზე შეიმუშავა სხვა ადიღე ხალხებისაგან განსხვავებული ეროვნული თვითცნობიერება მიუხედავად იმისა, რომ მის ენაზე მოლაპარაკე ხალხის ერთი ნაწილი, აბაზები, დღეს ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობენ. ეს ქმნის ყველა კერძო პირისა და ყველა სახელწიფოს მოვალეობას, მათ შორის საქართველოსასაც, რომ ხალხის ამ ისტორიულ არჩევანს პატივი სცენ და აღიარონ მისი უფლება, რომ მსოფლიოს ხალხთა შორის ცალკე ხალხად იყოს, აგრეთვე იმის უფლება, რომ იქ, სადაც იგი კომპაქტურად ცხოვრობს (სახელდობრ, აფხაზეთის გარკვეულ რეგიონებში), თავისი საზოგადოება აშენოს თავისი გენეტური, კულტურული და ტრადიციისმიერი მახასიათებლების შესაბამისად, მაგრამ არა უფლებას, რომ ეს მოახდინოს იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს ადგილობრივი ავტოხთონური ქართველი მოსახლეობა. რადგან აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის იგივე, რაც მისი მხოლოდ აფხაზი მოსახლეობის ნება, არამედ იგი ტოლქმედია

— აფხაზი ხალხის ნებისა, რომ განიხილოს აფხაზეთის ტერიტორია, როგორც თავისი ეროვნული თავდამკვიდრების ასპარეზი და სივრცე აწ და მარადის,

— ქართველი მოსახლეობის ნებისა, რომ განიხილოს აფხაზეთის ტერიტორია, როგორც თავისი ეროვნული თავდამკვიდრების ასპარეზი და სივრცე აწ და მარადის და

— ყველა მოსახლის ერთობლივი ნებისა, რომ იცხოვროს კეთილდღიანად, უსაფრთხოდ და დემოკრატიული წესით.

აფხაზეთის მიერ თავისი თავის მართვაც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისად, ვერ იქნება სხვაგვარი, თუ არ ამ ტოლქმედის მიმართულების მქონე, წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის ცნობილი შესაბამისი მექანიზმების მოქმედება.

აღწერილი ვითარება სწორედ იმგვარია, რომელიც, ლოგიკურად, მართვას მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოში ავტონომიური ერთეულის ფორმით. ამასთან, ბუნებრივია, რომ განსაზღვრული იყოს უფლებათა გამიჯვნა არა მხოლოდ სოხუმსა და თბილისს შორის, არამედ სოხუმსა და აფხაზეთის რეგიონებს შორისაც.

რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთს“, ამ სახელწოდების ერთეულის გამოყოფილობას საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისაგან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არანაირი იურიდიული საფუძველი — არც საერთაშორისო-სამართლებრივი, არც უფლებადაცვით-სამართლებრივი, არც ჩვეულებით-სამართლებრივი — არა აქვს. არა აქვს მას არც ისტორიული, არც ეკონომიკური და, შესაბამისად, არც მორალური საფუძველი. ოსი მოსახლეობის (და არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის, რომელიც საქართველოს მთელი ოსი მოსახლეობის უმცირესობაა) სპეციფიკურად ეროვნული და ეთნიკური ინტერესების დაცვას სავსებით გასწვდება ერთის მხრივ ფუნქციური ავტონომია (საერთო-ოსური ორგანიზაცია) რეალური ქმედითი მექანიზმებით და მეორე მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობა. მთლიან-ოსურ ფუნქციურ ავტონომიას (ისევე, როგორც ყველა სხვა ეთნოსისას ქართველების ჩათვლით) ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მოიცავს საქართველოში მაცხოვრებელ 160 ათას ოსს და არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონში მაცხოვრებელ 60 ათასს.

ბ. იურიდიული მხარის გარდა ტერიტორიის დაცვის საკითხში არსებითია კონცეფციის პოლიტიკური მხარეც. მიზანია არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ მოსახლეობის მაკროჯგუფთა შორის (ქართველები, აფხაზები, ოსები...) თანამოქალაქეობრივი ცნობიერებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ორგანული აღდგენაც. მარტივად — საჭიროა ამ მოსახლეობათა შერიგებაც. ოსებისა და ქართველების შემთხვევაში ამ მიზნის მიღწევისთვის ყველაზე მოკლე, ბუნებრივი და სამართლიანია შემდეგი იდეოლოგიური ბაზა: ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს საქართველოში. მათი წვლილი საქართველოს ცხოვრებაში არის ის, რომ ისინი ერთგულად ასრულებენ თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს წვლილი მათი ბედნიერებისა და კეთილდღეობის მიღწევასა და დაცვაში შედგება ორი ელემენტისაგან. პირველია ის, რომ მათ, ზუსტად ისევე, როგორც საქართველოს ყველა სხვა მოქალაქეებს, აქვთ სახელმწიფოსმიერი დაცვა, ზრუნვა, უფლება-მოვალეობები და პერსპექტივა აწ და მარადის. მეორე ელემენტია ის, რომ, პატივს სცემს რა მათ ეროვნულ გრძნობებსა და შეგნებას, საქართველოს სახელმწიფო ზრუნავს არა მხოლოდ მათ მიერ თავისი ეროვნული კულტურის, თვითცნობიერებისა და ეროვნული შეგნების შენახვასა და განვითარე-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

*მე-6 გვერდიდან*

ბაზე საქართველოს შიგნით (რაც თავისთავად იგულისხმება), არამედ ამავე დროს შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს მათ მორალურ მოთხოვნილებასაც, რომ საქართველო იცავდეს მათი ეროვნების ისტორიული სამშობლოს — ნამდვილი ოსეთის, კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარის, — ინტერესებს თავის საერთაშორისო პოლიტიკაში. ფუნქციური ავტონომიის სათანადო განვითარების შემთხვევაში საქართველოს ოსურ მოსახლეობას (იგულისხმება) აქვს იმის საშუალებაც, რომ თავისი სრულიად-საქართველოს ოსური ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მეშვეობით მოახდინოს საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების ლობირება ნამდვილი ოსეთის ინტერესების დაცვის მიმართულებით.

ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობის სფეროში ხსენებული ამოცანა შეუდარებლად უფრო რთულია, რადგან აფხაზი ხალხის ეროვნული თვითრეალიზაციის ერთადერთი სივრცე საქართველოა, თავის ისტორიულ სამშობლოსთან კი — ადიღე ხალხების განსახლების ადგილებთან ჩრდილოეთ კავკასიაში — მათ, როგორც ითქვა ზემოთ, თვითიდენტიფიკაციური ფსიქოლოგიური კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ასეთ ვითარებაში — იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მიმართ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სუვერენიტეტის უფლება არც ერთი ისტორიული პროცესის შედეგად ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ დარღვეულა (იხ. ზემოთ) და, შესაბამისად, კითხვის ქვეშ არ დგას — ხსენებული მიზნის მიღწევის ყველაზე გონივრული გზაა შეთანხმება, რომელიც ორიენტირებულია ამ ორი ხალხის დღევანდელსა და ისტორიულმასშტაბიან ინტერესებზე ერთის მხრივ და სამართლიანობის ზემოხსენებულ მეტაიურიდიულ პრინციპებზე მეორეს მხრივ. ასეთი შეთანხმების მიღწევის ორგანიზაციული მეთოდია ორმხრივი მოლაპარაკება სანდო წარმომადგენელთა შორის, ხოლო შინაარსობრივი პრინციპი — **მხარეთა ინტერესებისა და შიშების შეჯერება და კომპრომისის ძებნა.** საქართველოს ხელისუფლების გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს ის მწვავე თემებიც, რომლებზედაც საძებარია შეთანხმება, და ის პოზიტიური პრინციპებიც, რომლებსაც ქართული მხარე თავისთვის სახელმძღვანელოდ რაცხს.

ნიმუშად დავასახელებთ ერთ პარამეტრს. ქართული მხარის ყველაზე დიდი შიში აფხაზური მხარის შესაძლო მოქმედებათა თაობაზე არის ის, რომ ეს უკანასკნელი არ შეეცადოს აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ უცხო ძალების გამოყენებას და დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად არ მოისუროს ჩრდილო კავკასიიდან, რუსეთიდან და მუსლიმანური ქვეყნებიდან ახალი მოსახლეობის შემოყვანა. ქართული მხარის სურვილი კი ისაა, რომ აფხაზურმა მხარემ ეს არ ქნას. აფხაზური მხარის შიში ისაა, რომ არ მოხდეს ამავე სურათის შეცვლა, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით, აფხაზეთში საქართველოს სხვა რაიონებიდან მასობრივი იმიგრაციის შედეგად. ასეთ შემთხვევაში გონივრული გარანტია ორივე ამ შიშის დასაცხრობად იქნებოდა კანონმდებლობითი განსაზღვრა, რომ საქართველოს გარედან იმიგრაცია აფხაზეთში დაშვებულია მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტურის შემთხვევაში, ხოლო აფხაზეთის იმ რეგიონებში, რომლებშიც აფხაზური კომპაქტური მოსახლეობა არის და რომლებიც, შესაბამისად, მიჩნეულნი არიან აფხაზი ხალხის მარადიული ეროვნული ტერიტორიული თავდამკვიდრების და საკუთარი ცხოვრების წესის ანუ საკუთარი საზოგადოების აშენების ასპარეზად, იმიგრაცია საქართველოსავე ნებისმიერი სხვა წერტილიდან, თვით აფხაზეთის სხვა, არააფხაზური რეგიონების ჩათვლით, დაშვებული იყოს მხოლოდ ადგილობრივი, მაშასადამე — აფხაზური ხელისუფლების დასტურით ყველა ცალკეულ შემთხვევაში.

იგულისხმება, რასაკვირველია, რომ ქართულ-აფხაზური ორმხრივი მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს **მეცნიერული ცოდნის გათვალისწინებაზე ორიენტაციით** და შედეგები უნდა საზოგადოებას მიეწოდებოდეს მეცნიერულად დასაბუთებული პოზიციის სტატუსით. ეს ეხება არა მხოლოდ ისტორიულ მეცნიერებას, არამედ პოლიტიკურსაც, ეკონომიკურსაც, ფსიქოლოგიურსა და სოციოლოგიურსაც, ანუ იმის მეცნიერული პროგნოზირების მომხდენსაც, თუ როგორი შეიძლება და როგორი შეგვიძლია, რომ იყოს მცირე ერის (ქართველების სახით) და კიდევ უფრო მცირე ერის (აფხაზების სახით) მიერ თავისი თვითმყოფი სახისა და ვინაობის სამარადისო დაცვა და განვითარება დღევანდელი და განჭვრეტადი რთული გამოწვევების პირობებში.

* * *

ყოველივე ზემოთქმული, რაც მკითხველის ყურადღებას წარვუდგინეთ, სხვა არაფერი გახლავთ, თუ არ იმის ილუსტრაცია, რომ საქართველოს ტერიტორიული და მენტალური მთლიანობის აღდგენის ამოცანის გადაჭრა აზრის მუშაობას საჭიროებს და რომ ამ მუშაობის საჭირო მიმართულებები მითითებადია. საქართველოს ხელისუფლების დღევანდლამდელი მიღწევა და მისი აზრისა თუ პრაქტიკული შრომის პროდუქცია ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროში უდრის ნოლს. ამ მწუხარე კონსტატაციაში ვერაფერს ცვლის ის ფაქტი, რომ დღეს მაგიდაზე დევს კარიკატურული დოკუმენტი სახელწოდებით *„საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ჩართულობა თანამშრომლობის გზით“.*

ქართულ ტექსტში ჩახედვა ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ იგი თარგმნილია ინგლისურიდან და თარგმნილია არადამაკმაყოფილებლად (ილუსტრაციად კმარა ის, რომ ბუნდოვანია — უფრო სწორად კი, გაუგებარია — სიტყვის „ჩართულობა“ მნიშვნელობა, რომელიც, მიუხედავად ამ ბუნდოვანებისა, ტერმინთა განმარტებაში შეტანილი არ არის. რაა ეს: ვერთარგმნილი engagement თუ რამე სხვა?). მაგრამ ეს ფაქტი ვერ იძლევა იმის ვარაუდის უფლებას, რომ იგი რაღაცა კომპეტენტური დასავლური წყაროდან მოდის: დასავლური წარმოშობის არაერთი ხელმოცარვისათვის განწირული პროექტია ცნობილი. ხარისხით ხსენებული ტექსტი, ჩვენი შთაბეჭდილებით, იმგვართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა კრიტიკული განხილვა რამდენჯერმე მეტ ადგილს მოითხოვს, ვიდრე თვითონ ტექსტი, რადგან მას ესაჭიროება ავტორის ან ავტორების მსჯელობიდან აზრის გამოტანა, შემდეგ — მათი ფორმულირებების არაადექვატურობის ჩვენება და მხოლოდ ამ ოპერაციების შემდეგღა — იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად რეალისტური ან გონივრულია ის, რაც მათ, როგორც ჩანს, გუნებაში აქვთ. ამიტომ თავს უფლებას მივცემთ მათ მსჯელობას ტექსტუალურად მივყვეთ.

1. პრეამბულაში (გვ.1) ვკითხულობთ, რომ *„სახელმწიფოებრივი მიზანია ისეთი მომავლის უზრუნველყოფა, როდესაც ქვეყნის მოქალაქე ... იცხოვრებს ... მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში“.* თუ ამ ფორმულირებას სიტყვა-სიტყვით გავიგებთ, იგი ნიშნავს, რომ **სასურველია** მოქალაქემ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში იცხოვროს. ეს არარეალისტური მიდგომაა: მოქალაქემ უნდა უპრობლემოდ იცხოვროს **ყველა** საზოგადოებაში, მათ შორის მრავალეთნიკურშიც. საქართველოში მრავალეთნიკური საზოგადოების არსებობა ფაქტია (შევნიშნავთ ფრჩხილებში: საქართველოს ეროვნულ პარტიებს სასურველად მიგვაჩნია ამ ვითარების განგრძობა პრინციპით **„ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე“**) და ეს ფაქტი შობს საკითხთა დიდ სიმრავლეს, მაგალითად, ამ საზოგადოების საურთიერთო ენის ან ენების რომელობისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხს. ციტირებული მიდგომის არარეალისტურობას განაპირობებს ის, რომ რაგინდარა ერთიან მრავალეთნიკურ საზოგადოებაში — ვთქვათ, საქართველოში, — სადაც მრავალეთნიკური საზოგადოება არსებობს, შეუძლებელია მის შიგნით არ არსებობდეს მონოეთნიკური ქვესაზოგადოებები, სოციალურ-ფენობრივი ქვესაზოგადოებები, პროფესიული ქვესაზოგადოებები და ა.შ. (ეს ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ), რომელთა სიმრავლე და სიჭრელე, თავისთავად, არ არის არც ნაყოფიერი პრაქტიკული ერთიანობის დამაბრკოლებელი, არც ღირებულებრივი ორიენტაციების სიახლოვისა მათ შორის. ამგვარად, საზოგადოების „მრავალეთნიკურობის“ დაკავშირება „ყველა ევროპული ერის მიერ გაზიარებულ პრინციპებსა და ღირებულებებთან“, როგორც ამას განსახილველი დოკუმენტი იქმს, გაუგებრობაა.

2. პრეამბულაში (იქვე) ვკითხულობთ: *„საქართველოს მთავრობა ცდილობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობისათვის მისაწვდომი გახადოს ყველა ის* ***სარგებელი,*** *რაც მოაქვს სახელმწიფოში მიმდინარე ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა თუ ინსტიტუტებში. საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ* ***ინსტიტუციებთან*** *ინტეგრაცია, მის* ***მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან*** *საზოგადოებას კეთილდღეობისა და უსაფრთხოების კიდევ უფრო მყარ გარანტიებს შეუქმნის“.* ტექსტის ავტორებს არა აქვთ უფლება გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი“ იხმარონ უბრჭყალებოდ, ვინაიდან ამ სახელის მატარებელი გეოგრაფიული და ადმინისტრაციული ერთეული არის მხოლოდ რუსი დამპყრობლების ფაბრიკაცია, რომელსაც არც ერთი საათი დღემდე არ უარსებია მასში რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე. მ.სააკაშვილს მისი საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის პროცესში მოქალაქეებმა ღია წერილით ჰკითხეს, რაა მის მიერ ამ გამოთქმის ხმარების საფუძველი, და **მან პასუხი ვერ გასცა.** ციტირებული დებულება, რომ არსებული ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს მოსახლეობისთვის სარგებლობა (და არა „სარგებელი“, როგორც ავტორები წერენ) მოაქვთ, ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. მათი დებულება, რომ სარგებლობა მოაქვს ევროკავშირთან, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციას, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალაშია განურჩევლად იმისა, მრავალეთნიკურია საქართველოს საზოგადოება თუ მონოეთნიკური. ამგვარად, **ციტირებული ტექსტი მხოლოდ პროდასავლური და პროდემოკრატიული ფრაზეოლოგიის შემცველია და არა აზრისა.**

3. პრეამბულაში (იქვე) ვკითხულობთ: *„სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყევ გადაწყვეტილებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) სრული დეოკუპაციას, შეაქციოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის პროცესი და მშვიდობიანი გზით მოახდინოს ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფის მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. იგი გამორიცხავს სამხედრო გზით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას. ყველა ეს მცდელობა თანხვედრაშია საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკასთან, რომელიც არ აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობას და მხარს უჭერს საქართველოს ინიციატივას გაატაროს ჩართულობის პოლიტიკა“.* ამ მსჯელობაში პრინციპული ნებსითი ან უნებური შეცდომაა ის, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი მიჩნეულია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში არ მყოფად. სინამდვილეში ეს ტერიტორია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მართვის სივრცეში დღეს არ არის მასში რუსეთის ალმატებული შეიარაღებული ძალების მყოფობის გამო, საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში კი იგი **არის**, რადგან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, როგორც კანონსაწინააღმდეგოდ შექმნილი ერთეულის, გაუქმების კანონი, რომელიც საქართველოს უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო 1990 წლის 11.XII, მას არ გაუუქმებია, ისევე როგორც არც ერთ საამისოდ უფლებამოსილ ორგანოს არ დაუდგენია აფხაზეთის გამოსვლა საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობიდან.

უპასუხისმგებლოა, რამდენადაც მსოფლიო პრაქტიკიდან არ გამომდინარეობს, საქართველოს ტერიტორიის დაცვის საქმეში ძალის გამოყენების აპრიორული გამორიცხვა სერიოზულ დოკუმენტში, როგორიც უნდა იყოს „სახელმწიფოს სტრატეგიად“ წოდებული დოკუმენტი. ასეთ დოკუმენტში დასაშვებია, ეწეროს, და უნდა ეწეროს (აზრი აქვს, რომ ეწეროს) — და კიდეც უნდა შესრულდეს! — ის, რომ საქართველოში ამა თუ იმ მიზეზით ამბოხებული მოქალაქეების წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული შეიარაღებული ძალები (არამედ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებული ძალები იქნებიან მხოლოდ პოლიციური). რაც შეეხება უცხო ოკუპანტის ძალებს და უცხოს სარდლობის ქვეშ მყოფ ძალებს, მათ წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სახელმწიფოს განუშორებელი უფლებაცაა და პირდაპირი მოვალეობაც. **რაც შეეხება ამგვარი უპირობო მშვიდობისმოყვარეობის თითქოსდა დამთხვევას „საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკასთან“, ამ პუნქტში დოკუმენტი ცრუობს: ომი ტერიტორიისათვის საერთაშორისო პრაქტიკის დღეს მომუშავე ელემენტია** (იხ. მაგალითვისთვის ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომი გაერთიანებულ სამეფოსა და არგენტინას შორის).

4. თავი **„სტრატეგიული მიზანი“** ამ უკანასკნელის შესახებ გვეუბნება მხოლოდ იმას, რომ იგი მიმართულია ოკუპაციით გამოწვეული იზოლაციისა და დანაწევრების წინააღმდეგ და მიიღწევა ისეთი ფორმატების შექმნით და წამახალისებელი მექანიზმების შემოტანით, რაც ხელს შეუწყობს ხსენებული რეგიონების ჩართულობას ამის განხორციელების კონკრეტულ გზათა შორის დასახელებულია მხოლოდ **„გამყოფი ხაზების“** აქეთ-იქით მყოფ მოსახლეობათა შორის ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის ყოველდღიური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის საშუალებები, მათ შორის — **„თემთაშორისი პროექტების“** განხორციელება, ანუ პროექტებისა ერთის მხრივ დევნილი და არადევნილი, ანუ კონფლიქტის ზონებს გარეთ მყოფი ქართველი მოსახლეობის, მეორეს მხრივ კი ქართველებისგან ეთნიკურად „გაწმენდილი“ რეგიონების მოსახლეობის მონაწილეობით, რაც, ლოგიკურად, გულისხმობს სრულ განყენებას (აბსტრაჰირებას) იმ ფაქტისაგან, რომ ამ პროექტთა მონაწილე ერთი მხარე დევნილობის მდგომარეობაშია. განყენების ეს ფაქტი სახელმწიფო სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში მკითხველს გარდუვალად უბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ საქართველოს სახელმწიფო **შერიგებულია** თავისი მოსახლეობის დევნილობის ფაქტთან. შემდგომი ფორმულირება — რომ სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურღვევობის, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის გატარებისა და საბოლოოდ, სრული დეოკუპაციის პრინციპებს, პირდაპირ წინააღმდეგობაშია აღნიშნულთან და სხვაგვარად ვერ დახასიათდება, ამ კონტექსტში, თუ არ როგორც ფუჭი რიტორიკა.

5. თავი **„ახლანდელი მდგომარეობის მიმოხილვა“** ახსენებს **„ყველა მხარის შეცდომებს“**, რომლებმაც, მისი აზრით, ხსენებული ორი კონფლიქტი წარმოშვა, თუმცა რას გულისხმობს, კონკრეტულად, ქართული მხარის შეცდომებში, გაუგებარი რჩება. ამგვარად, ეს განცხადება ფუჭი სიტყვაა მანამდე, სანამ ასეთი დაკონკრეტება არ მომხდარა. ეს განცხადება წინააღმდეგობაშია ცოტა ქვემოთ ნათქვამთან, რომ რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხსენებული კონფლიქტების გამწვავებაში, უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში და მუდმივად ხელს უშლიდა კონფლიქტის გადაჭრას. (თუ „არა, მაშინ ავტორები მოვალენი არიან დაამტკიცონ, რომ, თუ არ „მხარეების“, მათ შორის ქართველების „შეცდომები“, რუსეთი ამ თავის მიზანს ვერ მიაღწევდა). 2008 წლის აგვისტოს ომის მოკლე ანალიზი ამ თავში არაადექვატურია, რამდენადაც მასში არაა ნახსენები მისი მიმდინარეობის ერთი ძირითადი ფაქტორი — საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო ინტერესების (მათ შორის, პროპაგანდულის) მიზანმიმართული სამსახური საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. არსებულ კონტექსტში მიუღებელია, თავისი ბუნდოვანების გამო და მის უკან ეჭვით საგულვებელი ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციის გამო, ამ თავის ბოლო სიტყვები: ამგვარ ვითარებაში, *საქართველოს მთავრობა, რომელიც აგრძელებს პოლიტიკური ძალისხმევის მიმართვას საქართველოს სრული დეოკუპაციის მისაღწევად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს გაატაროს ადამიანზე ორიენტირებული (ჰუმანოცენტრული), პროაქტიური პოლიტიკა, რომელიც გამოეხმაურება ომისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებს.* მოყვანილი ფორმულირების ეჭვის აღმძვრელი ელემენტია ის, რომ დაუკონკრეტებელია, **რის ხარჯზე** უნდა განხორციელდეს „ჰუმანოცენტრული“ ანუ „ადამიანზე ორიენტირებული“ მიდგომა საკითხისადმი, რომლის მსგავსი საკითხები მსოფლიო პრაქტიკაში უმისოდაც მუდამ ითვალისწინებს მოსახლეობის კერძო ინტერესებს — საქართველოს ინ-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

მე-7 გვერდიდან

ტერესების ხარჯზე და მისი მომავლის ხარჯზე ხომ არა? (პრინციპიდან გამომდინარე,რომ ამოცანაა მოქალაქის ინტერესის დაცვა მხოლოდ როგორც ინდივიდისა, და არა მისივე ინტერესებზე ზრუნვა, როგორც მოქალაქისა და თავისი ქვეყნისა და ერის შვილისა).

6. შემდგომი თავი „**ძირითადი პრინციპები**" ე.წ. „მორიგე ფრაზებთან" ერთად მოიცავს რამდენსამე განცხადებას, რომლებიც, თუ ტაქტიკურად არა, პრინციპულად მაინც ეწინააღმდეგება საქართველოს თვით სახელმწიფოებრიობის სასიცოცხლო ინტერესებს და ღირსებას. პირველი მათგანი შემდეგია: წარმოდგენილი სტრატეგია ეფუძნება იმ პრინციპს, რომ *უსაფრთხოება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) „უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების, მათ შორის მიუკერძოებელი სადამკვირვებლო, საპოლიციო და/ან სამშვიდობო ძალების მეშვეობით, აგრეთვე ადგილობრივი რესურსების ჩათვლით.*

საკითხავია: გარდა ტაქტიკური აუცილებლობისა, რომ დღეს, როცა საქართველოს მიწაზე ოკუპანტი დგას და კონფლიქტურ რეგიონებში თავის მიერ შეიარაღებული, გაწვრთნილი და მოტივირებული ძალა ჰყავს, ვითარების ნორმალიზაცია მოხდეს უმაღლესი ავტორიტეტის მქონე დიდი დემოკრატიების, მათ შორის ევროკავშირის, შესაძლებლობათა გამოყენებით, რა ქმნის იმის საჭიროებას, მით უმეტეს, გარდუვალობას, რომ საქართველოს ტერიტორიები იმართებოდეს გარე ძალების მიერ და საქართველოს ხელისუფლება აქ ფიგურირებდეს მხოლოდ როგორც ორთაგან ერთი მხარე მსოფლიო არბიტრის წინაშე და არა როგორც ამ მიწის ეჭვშეუვალი სუვერენული ხელისუფალი? ეს გამართლებული იქნებოდა, მეტნაკლებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, საქართველოს დღევანდელი კანონიერი საზღვრები რომ სახაზავით გავლებული, ანუ შემთხვევითი საზღვრები იყოს და არა ისტორიის მიერ თავის ორგანულ განვითარებაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული და ყველა როგორც იურიდიული, ისე მეტაიურიდიული, ანუ მორალური, ზნეობრივი და სხვა ჰუმანიტარული ნორმებით ცალსახად განსაზღვრული საზღვრები. საქართველოს ტერიტორიის დაცვის სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა სხვისა, ამ ვითარების საქვეყნოდ ნათელყოფასა და თანმიმდევრულ დაცვას გულისხმობს.

. მეორე. დოკუმენტში ვკითხულობთ, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) სამომავლო პოლიტიკური სტატუსი განისაზღვრება მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესში, იძულებით ადგილნაცვალი პირებისა და ლტოლვილების დაბრუნებისა და ქვეყნის ტერიტორიების სრული დეოკუპაციის პირობებში. საკითხავია: რა აძლევს ავტორებს უფლებას არსებულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ერთეულად ჩათვალონ „სამხრეთ ოსეთი", რომელიც, როგორც ვთქვით, რუსი დამპყრობლების მიერ შეთხზული და შექმნილია და რომელსაც არც ერთი საათი დღემდე არ უარსებია იქ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე? ასეთი უფლება არ არსებობს. ამგვარად, ამ ყალბი ერთეულის სტატუსის განსაზღვრა, როგორც მიზანი, ავტორთა ჩანაფიქრით, მათ დოკუმენტში უკვე განხორციელებულია თავის ძირითად ნაწილში: „სამხრეთ ოსეთი" აღიარებულია გეოგრაფიულ და იურიდიულ რეალობად.

ამ თავის დანარჩენი ნაწილი უჭირავს მსჯელობას საქართველოს ხელისუფლების სურვილზე, რომ შეძლებისდაგვარად შეამსუბუქოს ოკუპაციის სივრცეში მოხვედრილი მოსახლეობის იზოლაციის ხარისხი, და იმ ურთიერთობებზე ეკონომიკურსა და კულტურულ სფეროში, რომელიც „გამყოფი ხაზების" აქეთ-იქით დარჩენილ მოსახლეობებს შორის უნდა გაებას. ამ მსჯელობას ორი ნაკლი აქვს. ერთი ისაა, რომ არსად არაა მითითებული (და ვერც იქნება მითითებული მისი არარსებობის გამო) ის კონკრეტული მექანიზმი ან მექანიზმები, რომლებითაც ამ ხაზებს აქეთ მყოფი მოსახლეობის ან სახელმწიფოს რაგინდარა ნაყოფიერი მზაობა იქით მყოფთან ამგვარი სახის თანამშრომლობისათვის გარდაიქმნება ამ უკანასკნელის თანხმობის სტიმულად, რომ, წინააღმდეგ ოკუპანტის ნებისა, მოისურვოს საქართველოს ერთიან სივრცეში შემოსვლა. სხვა სიტყვით — ეს მსჯელობა არარეალისტურია ანუ, უბრალოდ, ფუჭსიტყვაობაა. მეორეც, ეს მსჯელობა უგულებელყოფს მოსახლეობის მესამე ნაწილს — ქართველ მოსახლეობას, რომლის ადგილი „გამყოფი ხაზების" იქითაა, მაგრამ იმყოფება მათ აქეთ, დევნილი და დამცირებული. რა პირით აპირებენ დოკუმენტის ავტორები დაუსაბუთონ ამ მოსახლეობას, რომ იქით მყოფი მოსახლეობისთვის გაწეული დახმარება „იზოლაციის" შემსუბუქებაში და მასთან ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების აღდგენა დაეხმარება ამ დევნილ მოსახლეობას — ერთადერთ დაზარალებულს მომხდარი მოვლენებით — დაიბრუნოს თავისი სახლ-კარი და ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა, მით უმეტეს — განკურნოს თავის ფეხქვეშ გათელილი თავმოყვარეობა და ღირსების გრძნობა? თავისი ამ პარამეტრის მიხედვით ხსენებული მსჯელობა არა მხოლოდ ფუჭსიტყვაობაა, არამედ მორალური დანაშაულიც და ცინიზმიც. ფუჭია (თავისი უკონკრეტობის გამო) და ცინიკურია ამ თავის შემდეგი ფრაზაც: *„სახელმწიფო სტრატეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პოლიტიკა თუ საქმიანობა, უნდა მოიცავდეს, როგორც საქართველოს დასახელებულ რეგიონებში მცხოვრებ, ისე ამ რეგიონებიდან დევნილ მოსახლეობას. შესაბამისად, ყველა ეს საქმიანობა უნდა იყოს ერთობლივი და/ან ურთიერთშეთანხმებული, ურთიერთსასარგებლო, პრაგმატული და უნდა მოიცავდეს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას."* ამ სიტყვათა ცინიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მათში გათანაბრებულია მომხდარი ტრაგედიების მსხვერპლი (დევნილი მოსახლეობა) და ის, ვინც მსხვერპლი არ არის, მანკიერი პრინციპით „ნახევარი ბრალი შენია, ნახევარი ჩემი, ნახევარი ნაყოფი შენ, ნახევარი მე".

7. შემდეგი თავი „**მიზნები**" ეხება საყოფაცხოვრებო თემებს, რომლებშიც საქართველოს მთლიანობის აღდგენის მექანიზმი არ დევს და ვერ იქნება ჩადებული, სახელდობრ, ეკონომიკურ ურთიერთობებს, ინფრასტრუქტურას და ტრანსპორტს, განათლებას, ინფორმაციის გავრცელებასა, სამართალდაცვასა და ადმინისტრაციულ ზომებს, სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ ბრძოლას. ავტორები ეყრდნობიან იმ ერთის შეხედვით გულუბრყვილო წანამძღვარს, რომ ადამიანების, მათ შორის — ადამიანთა დიდი მასის ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეუძლია მათ ხელი აალებინოს პოლიტიკურსა და სტრატეგიულ ამბიციებზე, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან დიდი ეკონომიკური დახმარების მიღების პერსპექტივასაც მოიცავს, რომ:

— მოსკოვი ვერ იშოვის ან დაინანებს ათობით მილიარდ დოლარს ან ევროს, რათა „გამყოფი ხაზების" გადაღმა მყოფ ჩვენს მოქალაქეებს, მის მიერ თავის მოქალაქეობაში მიღებულებს, მრავალ ათწლეულით უზრუნველყოფილი ეკონომიკური დოვლათი შეუქმნას მათი რუსეთისადმი ერთგულების ფასად, და

— დაპყრობილ რეგიონთა მოსახლეობის დაინტერესებაში რუსეთი საქართველოსთან მეტოქეობას წააგებს.

ამ თითქოსდა გულუბრყვილო ილუზიას ამძიმებს *„აუცილებელი სამართლებრივი და ლოგისტიკური პირობების შექმნის"* განზრახვაც, რაც ნიშნავს, ჯერ ერთი, არსებული ვითარების სამართლებრივი სტაბილიზაციისკენ, ანუ სტატუს ქვოსკენ გადადგმულ ნაბიჯს ოკუპაციის პირობებში, რაც ემსახურება ოკუპანტის ინტერესებს, მეორეც, დევნილი მოსახლეობის შეურაცხყოფას, რომლის ნასახლარებზედაც ახალი „ეკონომიკური ურთიერთობების" გზებმა უნდა გაიარონ.

თითქმის არაფრის მთქმელ ზოგად ფრაზებს განათლების თემაზე ახლავს უკიდურესად შეურაცხმყოფელი და ამავე დროს ყალბი ტერმინი *„ომით დაზარალებული მოსახლეობა"*, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, დევნილებსაც მოიცავს. ეს მოსახლეობა ომით კი არ არის დაზარალებული მხოლოდ, არამედ პირველ ყოვლისა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ღალატით, რომელმაც გააუქმა ბატალიონი „მონადირე", არ მოხსნა რუსული „სამშვიდობო" მანდატი, არ განაცხადა დროზე ოფიციალურად, რომ რუსეთი აწარმოებს აგრესიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, და ყველა შესაძლებელი საშუალებით შეუწყო ხელი რუსულ პროპაგანდას ომის წინ და ომის დროს (ამ სიტყვებზე, როგორც ცნობილია აქამდელი პუბლიკაციებიდან, პასუხისმგებელი ვართ).

ანეკდოტურია ფაქტია, მაგრამ ფაქტია, რომ ტერიტორიაოკუპირებულ და შეურაცხყოფილი სახელმწიფოს ხელისუფლებას ისეთ „სტრატეგიას" სთავაზობენ, რომელიც ოკუპანტებსა და მათს მორჩილებაში მყოფ „დამოუკიდებელ" მმართველებს მგლის თავზე სახარების კითხვას სთავაზობს და მათი დათანხმება ჰსურს არა „ინფორმაციის" გაცვლაზე „გამყოფი ხაზების" აქეთ-იქით მყოფ მოსახლეობებს შორის, არამედ კონკრეტულად „პლურალისტური" თვალსაზრისების გამტარებლისას (რაც, უბრალოდ, იმბეცილობად თუ დაზასიათდება ან მის სიმულაციად) და „კომუნიკაციისათვის ხელსაყრელი პლატფორმის" ერთობლივ შემუშავებასაც, ანუ ამ კომუნიკაციაზე ერთობლივი ცენზურის განხორციელებასაც, (რომელშიც, ალბათ, არ იქნება შესული იმის არგუმენტაცია, რომ რუსები ბარბაროსი აგრესორები არიან, მათი ადგილობრივი ყმები კი — კოკოითი, ბაღაფში და მათნი მსგავსნი — საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დამნაშავეები და თავისი ხალხებისთვის მახის დამგებნი), რაც მხოლოდ „პირდაპირი სახელმწიფო ღალატის" სახელით თუ დაკვალიფიცირდება.

„**სამართლებრივსა და ადმინისტრაციულ**" სფეროზე მსჯელობაში მარგალიტივით ბრწყინავს გულუხვი წინადადება, რომ ორგანიზებული წესით, მაშასადამე — ადგილობრივ კოლაბორაციონისტულ „ხელისუფლებათა" მონაწილეობით და მათთან ერთობლივად ადგილობრივ მოსახლეობას *„მიეცეს საზღვარგარეთ მოგზაურობის შესაძლებლობა"*, ანუ მოეხსნას ის ერთადერთი დისკომფორტი, რომელსაც მას, დღესდღეობით, არცნობილი „სახელმწიფოების" ქვეშევრდომობა უქმნის,

პოლიტიკურ ასპექტებს ითხოვს თემა „სახალხო დიპლომატია", მაგრამ, მთავრობის დოკუმენტში მოთავსებული, იგი უნდა შეიცავდეს დერეგულირების პრინციპების თუ არა, სასაუბრო თემების და სასურველი მიმართულებების ჩამოთვლას მაინც. წარმოდგენილი დოკუმენტი ამ მხრივ ნულოვან დონეზე დგას (მასში ეს არ არის). მაგრამ მორალური სიბრმავიდან და ეროვნული უთავმოყვარეობიდან გამომდინარე შეცდომებს მაინც შეიცავს. „ომით დაზარალებულ მოსახლეობად" დევნილების ხსენებაც და მათს სახლებში დამკვიდრებულებისაც ცინიზმია. ერთობლივი „პლატფორმის" შექმნას კი ხელისუფლება „სახალხო დიპლომატიისგან" ვერ უნდა მოელოდეს (ამის უფლება არა აქვს): მას პოზიტიური განსაზღვრება, ანუ მოლაპარაკების დასაშვები საზღვრების განსაზღვრა, წინდაწინ უნდა ჰქონდეს და სახელმწიფოსადმი ერთგულმა „სახალხო დიპლომატებმა", ისევე როგორც მათმა „იქითა" პარტნერებმა, ეს უნდა იცოდნენ.

პოლიტიკურ ასპექტებს უნდა მოიცავდეს, ლოგიკურად, თემაც „ადამიანის უფლებები". იგი მათ შეიცავს, მაგრამ არაადექვატური სახით. პირველი აბზაცი ოთხიდან ასე იკითხება: — *„ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და ადამიანის უსაფრთხოების ხელშეწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტებისა და ჯგუფების მხარდაჭერა; აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის, და, აგრეთვე, ამ ტერიტორიებზე ამჟამად მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა."*

აქ არაადექვატურია „მხარდაჭერაზე" ლაპარაკი, რამდენადაც ადამიანის უფლებათა სისტემის მთავარ მოთხოვნას — რომ არ დაეშვა თავის მოქალაქეთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, საქართველოს ხელისუფლებამ „მხარი ვერ დაუჭირა" და ვერც „უჭერს". „გამყოფ ხაზთა" გადაღმაც მყოფი მოსახლეობის „სამოქალაქო" უფლებებზეც ლაპარაკი კომიკურია, რადგან უზურპატორ იქაურ მმართველებთან მიმართებაში ვერავინ ვერ იქნება „მოქალაქე", ხოლო ის, ვისი მოქალაქენიც ის მაცხოვრებელნი კანონით არიან, ანუ საქართველოს ხელისუფლება, მათ ვერ იცავს და არც აცხადებს პრეტენზიას, რომ დაიცვას (და არა, უბრალოდ, „მხარი დაუჭიროს").

ავტორთა გონებრივ იმპოტენციასა და მორალურ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხსენებული თემის განხილვას არ ახლავს მარტივი კონსტატაცია: რომ დარღვეულია ოკუპირებულ რეგიონთა მთელი ქართველი მოსახლეობის ძირითადი უფლება — სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და თავისი ქვეყნის მიწა-წყლის ხელშეუხებლად ქონის უფლება, ხოლო რუსეთის ძალაზე დაყრდნობილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს — სეპარატისტულ რეჟიმს ორსავე ტერიტორიაზე — არა აქვს უფლება საქართველოს ტერიტორიისადმი პრეტენზიისა; ვინაიდან მის მიერ წარმოებული ბრძოლა არის ბრძოლა არა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელიც ადამიანს ღმერთისგანვე ეკუთვნის, როგორც უმაღლესი ნიჭი, არამედ მიწისთვის, რომელიც ხსენებულ სეპარატისტებს არ ეკუთვნით არც ისტორიული, არც იურიდიული, არც მეტაიურიდიული ან სხვა რომელიმე თვალსაზრით.

ამ თემისადმი მიძღვნილი მეორე აბზაცი უტოპიაა, რადგან „**მექანიზმების შექმნის**" ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე „დარღვევების" მონიტორინგისათვის წინასწარ პირობად სჭირდება ოკუპანტის ნების გატეხა, რაც ავტორთა გეგმაში გათვალისწინებული არ არის. დანარჩენი ნაწილი ამ აბზაცისა და დანარჩენი ორი აბზაცი პირწმინდა ფუჭსიტყვაობაა.

ბოლო თავი ამ „სტრატეგიისა" — „**განხორციელება**" — შეუნილბავი კაპიტულანტობისა და ფუჭსიტყვაობის უნიკალური ნაზავია. მის პირველ აბზაცში ვკითხულობთ *„საქართველოს მთავრობა ზემოაღნიშნულ მიზნებს განახორციელებს ქვეყანაში შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუციების შექმნის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაკონტროლებელი ძალაუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის ნეიტრალური სტატუსის მქონე ჩარჩო-მექანიზმის შემუშავების, შესაბამისი საკოორდინაციო მექანიზმების განვითარებისა და მშვიდობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გზით."* სეპარატისტულ" რეჟიმებთან ურთიერთობა" მათ დე ფაქტო აღიარებას, ანუ მათთვის სტატუსის მიცემას ნიშნავს, „**საკოორდინაციო მექანიზმები**" კი არსებულის ქვაზი-დაკანონების ბერკეტებია. „**მშვიდობის ინფრასტრუქტურა**", რა თქმა უნდა, ფუჭსიტყვაობის ელემენტია. შემდგომი აბზაცი უმინარევო კაპიტულაციაა. გამოთქმა *„ქვეყნის ხელისუფლება, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც დაეფუძნება წინამდებარე სტრატეგიას."* მხარედ გულისხმობს რუსეთსაც მისთვის წინასწარ პირობათა დაუთქმელად, ხოლო გამოთქმა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ „თანამშრომლობისათვის" გამარჯვებულ მტერთან შეიმუშავებს საკანონმდებლო ცვლილებებს და მოახდენს მათ ინიცირებას საკანონმდებლო ორგანოში, სხვა არაფერია თუ არ საქართველოს დე ფაქტო ტერიტორიული დანაკარგების დაკანონების დაწყების მცდელობა. „**დაზარალებული მოსახლეობის**" როლი „**კონსულტაციებს**" არ სცილდება. და ამავე დროს ცხადდება წინასწარი მზაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის (ანუ ძირითადად ქართველებგამოკლებული მოსახლეობის) სურვილთა „გათვალისწინებისათვის".

შემდეგი ორი აბზაცი კვლავ ფუჭსიტყვაობაა იმ საქმიანი მინარევით ბოლოში, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა მოახდინოს „**წარსულისა და ისტორიის**" ხედვის რევიზია სეპარატისტული ფსევდოისტორიული ბოდვების სასარგებლოდ (ამ კვალიფიკაციით, რა თქმა, მთელი ჩვენი მეცნიერული სვინდისით პასუხისმგებელი ვართ).

იმბეცილური ან მოღალატური სტრატეგია რუსებთან უპირობო მოლაპარაკებების კვლავაც წარმოებისა, რაც ჟენევაში ხდება, გაცხადებულია შემდგომ პარაგრაფში. დანარჩენი სამი აბზაცის თემა კი არის კონკრეტული საფინანსო იურიდიული და სხვა სახის ორგანიზაციული ინიციატივები ზემოთ დახასიათებული მიზნის — ოკუპირებულ ტერიტორიათა მოსახლეობისათვის, ქართულის გამოკლებით, ცხოვრების შეძლებისდაგვარად ნორმალური გარემოს შექმნისათვის უპირობოდ, ანუ სრული განყენებით (აბსტრაჰირებით) საქართველოს ტერიტორიის ხელყოფილობის ფაქტისაგან.

დასკვნა ნათელია: საქართველოს ხელისუფლების „სტრატეგია", ამ დოკუმენტის თანახმად, მისი რაგინდარა არარეალისტური გაიდეალების შემთხვევაში, არის მარტოოდენ ოკუპირებულ ტერიტორიათა მოსახლეობის (უკვე თითქმის დექართველიზებული მოსახლეობის) და „გამყოფ ხაზთა" მიმდგომი „აქეთა" მოსახლეობის ყოფითი გარემოს შედარებით გაუმჯობესების გეგმა, რასაც საქართველოს ტერიტორიის აღდგენის ამოცანასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუ არ ჩავთვლით „გულუბრყვილო" (მოჩვენებითად გულუბრყვილო!) რწმენას, რომ

— საქართველო ოკუპირებულ რეგიონებს უფრო ადვილად „გააბედნიერებს", ვიდრე რუსეთი

— დახმარებაგაწეული მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების ერთგული გახდება.

ხოლო თუ ამ „სტრატეგიას" შევხედავთ რეალისტურად, მაშინ იგი არის კაპიტულაციისკენ წადგმული ოდნავ შეფარული, მაგრამ ძალიან დიდი ნაბიჯი და ერთერთი ყველაზე მოღალატური დოკუმენტი საქართველოს ღალატის გრძელ ისტორიაში.

**რედკოლეგია**

# მიმართვა თათბირისადმი

I ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანი შემოსაზღვრულია. ჩვენ დღეს ვტრიალებთ მხოლოდ აზრის სფეროში. ამ შეკრების ინიციატორები ფსიქოლოგიურად მზად ვართ აზროვნებისთვისაც და მოქმედებისთვისაც (ისევე, როგორც ალბათ თქვენც), მაგრამ დღეს თქვენგან ვითხოვთ მხოლოდ აზრს, რათა

— ინფორმაცია, რომელიც სჭირდება ამოცანას, გავითვალისწინოთ სრულად

— მდგომარეობა გავაანალიზოთ სწორად

- მდგომარეობიდან გამოსვლის გზები განვსაზღვროთ რეალისტურად (იმდენ სხვადასხვა ვარიანტად, რამდენსაც საქმე მოითხოვს.

II, გვემუქრება ორი სახის სამკვდრო-სასიცოცხლო საშიშროებები: ფაქტობრივი და იურიდიული

ფაქტობრივი საშიშროებებია

1. რუსეთი არ თმობს ჩვენს ტერიტორიას, შემოჰყავს ახალი მოსახლეობა. ითვისებს მიწაწყალს მთლიანად.

2. რაზმავს და აიარაღებს ადგილობრივ ანტიქართულ ძალებს იმ ზომამდე, რომ მათ შეეძლოთ დამოუკიდებელი ომი საქართველოს სახელმწიფოსთან

3. მეზობელი სახელმწიფოები გლეჯენ საქართველოს სხვადასხვა ეროვნულ ანკლავებად და „იცავენ“ ამ უკანასკნელთ თავისი ჯარით

4. რუსეთი იპყრობს საქართველოს მთლიანად

5. უცხო ჩარევით (შეიარაღებულით და პროპაგანდისტულით) ხდება ქართველი ერის ადმინისტრაციული და ფსიქოლოგიური დახლეჩა ისტორიული პროვინციების პრინციპით (ფედერაციის გეგმა)

6. ხდება საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია (ემიგრაციის, იმიგრაციის, ეკონომიკური გალატაკების შედეგად)

7. ხდება ეროვნული სიმდიდრის (მიწის და სხვა) მშვიდობიანი გადასვლა უცხოთა ხელში.

8. ხორციელდება მოზარდი თაობების ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური გადაგვარება.

(ჩამონათვალი ექვემდებარება შევსებას თათბირის მუშაობის პროცესში).

იურიდიული საშიშროებებია

1. ხდება მოგლეჯილი ტერიტორიების ცნობა

2. საქართველოს წარედგინება ყალბი „ბრალდებები“ უფლებადაცვითი პრინციპების თვალსაზრისით („მცირე იმპერია“ და ა.შ) და ამ ბაზაზე ხდება სანქციების („სასჯელების“) დადგენა (კოსოვოს ეპიზოდის ანალოგიით)

3. ხორციელდება საპროპაგანდო შეტევა მსოფლიოს ნაწილის მხრიდან ქართული ეროვნული ცნობიერების დაშლის მიზნით

4. ხდება ანალოგიური შემოტევა ფსიქოლოგიური პარალიზაციის მიზნით (სექტანტობის ხელშეწყობა, „ცისფერი“ რევოლუციები და ა.შ.)

5. ხელი ეწყობა (პროპაგანდით და იდეოლოგიით) დემოგრაფიულ დექართველიზაციას პოტენციურ ახალმოსახლეთა „ადამიანური უფლებების“ სახელით

III. აღნიშნულ საშიშროებათა მოქმედების მუდმივი ფონი - მსოფლიო კონიუნქტურა - სტაბილური არ არის.

მუდამ შესაძლებელია

1. დემოკრატიულ დასავლეთში (პირველ ყოვლისა - აშშ-ში) კურსის რხევა შავი ზღვა-კავკასიის რეგიონისადმი გეოსტრატეგიული ინტერესის ხარისხის მხრივ

2. ახალი ვითარებისდა კვალად ძალთა ახალი დაჯგუფებების გაჩენა (მაგალითად, იკვეთება რუსულ-ირანულ-თურქული თანამშრომლობა დასავლეთის წინააღმდეგ, ე.ი. საქართველოს წინააღმდეგაც) და ცენტრალური ევროპის პრორუსული (და, შესაბამისად, ანტიქართული) კურსისკენ (იხ. გერმანიის საზოგადოებრივი აზრის დღევანდელი განწყობა)

3. რუსეთთან დიპლომატიური წარმატების მიზნით საქართველოს ინტერესთა გაწირვა მსოფლიო ძალების მხრიდან (თუნდაც დროებითი და თუნდაც მხოლოდ ისტორიულმასშტაბიანი, და არა დღევანდელი ინტერესების შეხებით)

IV. თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ სასწრაფოდ გვმართებს

1. **საქართველოს სახელმწიფოს პრინციპთა ჩამოყალიბება** და გაცხადება იმ სახით, რომლითაც ეს სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან (დღევანდელთანაც და მარადიულთანაც) და ამავე დროს მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივსა და უფლებადაცვით ნორმებთან. ამ უკანასკნელებთან მაქსიმალური ალბათობით მოსალოდნელია გარკვეულ (ილუზორულ) წინააღმდეგობაში მოსვლა, ანუ იმ არგუმენტის მოსმენა ძალიან ფართო საზღვარსგარე წრიდან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ისტორილმასშტაბიანი ინტერესებით მოქმედება (ხშირად ან პრინციპში) ვერ ეთანადება ადამიანთა დღევანდელ ინტერესებს. ჩვენი პოზიციაა (და ამ პოზიციას გთავაზობთ): ეს წინააღმდეგობა პირწმინდად მოჩვენებითია. იგი არსებობს მხოლოდ ზედაპირული მიდგომის შედეგად. სიტუაციისა და პრინციპების ოდნავ გაღრმავებული ანალიზი გამოარკვევს, რომ ადამიანის (მათ შორის - ე. წ, „რიგითი ადამიანის“) სასიცოცხლო ინტერესებში შედის მისი ეროვნული ინტერესიც. (ისტორიული მეხსიერების უფლების, ერის გარანტირებული მარადიულყოფის უფლების და ა.შ. ჩათვლით). ასეთი გაღრმავებული ანალიზის პოტენციალი დღეს ყველა საზოგადოებას არა აქვს (ყველა ქვეყანას არა აქვს), მაგრამ ქართველ საზოგადოებას აქვს, და ჩვენ იგი უნდა გამოვიყენოთ. სახელდობრ, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა წარვუდგინოთ ქართველ ხალხს (და, ამგვარად, მსოფლიოსაც) საქართველოს სახელმწიფოებრიობას იდეალურად სამართლიანი, იდეალურად დემოკრატიული და საქართველოს როგორც დღევანდელ, ისე მარადიულ ინტერესებთან იდეალურად შესატყვისი მოდელი, რომელსაც ვერავინ შეეკამათება წარმატებულად. ეს ჩვენი ამჟამინდელი მცდელობის ყველაზე მძიმე პუნქტია, რომელსაც ცალკე შეკრებას მივუძღვნით თქვენთან ერთად. მაგრამ ახლა მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ამ მოდელში ყველაზე მწვავე პუნქტი, რომელსაც ვერ გავექცევით, ბუნებრივად იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსის ვითარების კონკრეტული დარეგულირების კონცეფცია. დღეს, თუ საერთო ნება იქნება, დეტალურად სწორედ ამ ორ თემას განვიხილავთ. თუ ინტერესი იქნება, შეგვიძლია ხსენებულ პრინციპებზეც ძირითადი მაინც ვთქვათ, ოღონდ, რა თქმა უნდა ისე, რომ ყურადღება არ მოვაკლოთ აფხაზეთისა და ცხინვალის თემებს. ეს მით უფრო საჭიროდ გვესახება, რომ ყველაზე უშუალო საშიშროება, რომელიც დღეს გვემუქრება, არის საქართველოს კონფედერირებაზე საქართველოს ხელისუფლების დათანხმების ხიფათი, რაც, რა თქმა უნდა, გვავალებს სიჩქარეს ამ ხიფათის მოგერიების მიმართულებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, ფრჩხილებში, რომ საქართველოს წმიდათაწმიდა უფლებაა თავისი სახელმწიფოს ფორმა განსაზღვროს შემოქმედებითად, ანუ ორიენტაციით თავის კონკრეტულ სიტუაციაზე და პრობლემებზე, და არა დანარჩენი მსფლიოს ცვალებად პრაქტიკაზე. ეს უფლება დამყარებულია არა მხოლოდ მის სუვერენულ უფლებამოსილებაზე თავისი ქვეყნის შიგნით, რაც ყველა ქვეყანას აქვს, არამედ აგრეთვე იმ სპეციფიკურსა და მიზანმიმართულ ზარალზე, რაც საქართველოს შეგნებულად მიაყენა რუსული სოციალიზმის 69 წელმა. ეს თემაც, ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფორმისა და სტრუქტურის თემა, პრინციპულ დონეზე ჩვენ მიახლოებით გააზრებული გვაქვს და ჩვენს წინადადებებს წერილობით მოგართმევთ.

2. **საქართველოს კრიტიკული მდგომარეობიდან გამოყვანის სტრატეგიის (ყველა ვარიანტის) განსაზღვრა,** ანუ ზემოხსენებული იდეოლოგიის შესაბამისი ჩვენი სახელმწიფოებრივი მიზნის რეალიზაციის გზის (გზების) მონახვა. ძირითადი ფაქტები (გარემოებები), რომლებიდანაც უნდა ამოვიდეთ, ჩვენი ხედვით (რომლის კრიტიკულ განხილვასაც გთხოვთ), შემდეგია.

ა) რუსეთის გეგმა საქართველოს მიმართ შეუთავსებადია საქართველოს გადარჩენასთან.

ბ) რუსეთის ეს გეგმა (აქტუალურად ან პოტენციაში) თანხვდება რეგიონის დანარჩენი ორი დიდი ისლამური სახელმწიფოს იმ ინტერესს, რომ რეგიონი მოზღუდოს დასავლეთის გეოსტრატეგიული შემოღწევისაგან. ამგვარად, ჩვენ ქვეყანასთან მიმართებაში ისინი რუსეთის მოკავშირეები არიან.

გ) დასავლეთი არ არის რუსეთის ხსენებული გეგმის მომხრე. მისი ინტერესია მოკავშირე ამიერკავკასიის გზით ინტენსიური კონტაქტი ცენტრალურ აზიასთან და მყარი პოზიციების მოპოვება ამ უკანასკნელში. ამ ინტერესის ხარისხი განიცდის (მომავალში) რხევებს, მაგრამ მისი ზოგადი ტენდენცია იქნება ზრდისკენ.

დ) დასავლეთის გეოსტრატეგიაში საქართველოს განეკუთვნება როლი ან მხოლოდ მეგობრული (და უნებო) ტერიტორიისა (როგორც დღეს ხდება), ან მოკავშირისა (რაც ჩვენთვის სასურველია).

ე) ალიანსი „ჩინეთი-რუსეთი-ისლამური ქვეყნების დიდი ჯგუფი“ გარდუვალად იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფს დასავლეთისადმი ქმედითი დაპირისპირების იმედი აქვს, და ვერ იქმნება, თუ ეს იმედი არა აქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რუსეთი, როგორც ფსევდოევროპული სახელმწიფო, ეძებს ალიანსს დასავლეთთან ჩინეთის წინააღმდეგ თავისთვის კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში „თავისუფალი ხელის უფლების“ პირობით. დასავლეთის თანხმობას ამ პირობაზე პრაქტიკულად ნულოვანი ალბათობა აქვს.

ვ) ჩვენი რეგიონის ანტიდასავლური შეკავშირების და საქართველოს დასავლური ორიენტაციის პირობებში ფართო საპროპაგანდო ასპარეზი ეძლევა საქართველოს ჩათვლას „რეგიონის მოღალატედ“ და მის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ფსიქოლოგიური განწყობის შექმნასა და კულტივაციას..

ზ. დასავლეთის პოტენციური და მობილიზებული ძალაც და ჩვენი რეგიონით მისი დაინტერესების ხარისხიც აღემატება რუსეთისას. რუსეთის მთავარი უპირატესობის - გეოგრაფიული სიახლოვის - ძალა ტექნიკური პროგრესისდაკვალად კლებადია. ამიტომ დასავლეთის მიზნის რეალიზაცია (შუა აზიაში დამკვიდრება) რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ გარდუვალია. ამ ბრძოლის პროცესში საქართველოს გადარჩენა - ანუ დროის ისეთი ხანმოკლე მონაკვეთის არდადგომა, როცა საქართველო დაუცველია და რუსეთს მისი გამოუსწორებადი განადგურების საშუალება ეძლევა — გარდუვალი არ არის. გარანტია, რომ დასავლეთისათვის მიუღებელია საქართველოს განადგურება რუსეთის მიერ მანამდე, სანამ ამ ტერიტორიაზე დასავლეთი შემოვიდოდეს (როგორც რუსეთი შემოვიდა აღა-მაჰმადხანის ლაშქრობით დანგრეულ საქართველოში 1801 წელს და გერმანელების მიერ განადგურებულ აჯანყებულ ვარშავაში 1944 წელს) არ არსებობს.

თ. იმ შემთხვევაში, თუ რუსულ—ისლამური ალიანსი შეძლებს დასავლეთისათვის გზის გადაკეტვას ჩვენი რეგიონისაკენ და საქართველო ამ ალიანსის ხელში დარჩება, საქართველოს გარდუვლად ელის, როგორც მინიმუმი, დემოგრაფიული წალეკვა მეზობლებისაგან, რომელთაც მრავალჯერადად უპირატესი დემოგრაფიული პოტენციალი აქვთ, აგრეთვე ეკონომიკური და კულტურული სტაგნაცია.

გასათვალისწინებელ გარემოებათა ეს ჩამონათვალი ექვემდებარება შევსებას

რეაგირებას, — ანუ საქართველოს ამ კრიტიკული ვითარებიდან გამოყვანის შესაძლო გზის (გზების) სცენარებს — შემოგვთავაზებთ და ერთმანეთს შევთავაზებთ შემდეგ შეკრებაზე და შეკრებებზე, მაგრამ დღესვე უეჭველია, რომ ყველა შესაძლო სცენარის მიუცილებელი ელემენტი იქნება მსოფლიოს თვალწინ იმის არგუმენტაცია, რომ აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც, ყველა დღეს ცნობილი ან მოაზრებადი იურიდიული და მორალური ნორმის მიხედვით, საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. ამიტომ დღეს თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ამ თემას და მასთან დაკავშირებულ კონფედერირების უშუალო ხიფათს. თუ დრო დაგვრჩება, მზად გახლავართ საკითხთა ზემოხსენებულ ფართო სპექტრზე ჩვენი აზრის მოსახსენებლადაც.

საორგანიზაციო ჯგუფი

ჩვენი თემისადმი მიდგომის პრინციპებია:

1. ქართველი ერი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავტოხთონურია, ანუ იგი ის მოსახლეობაა, რომელმაც ეს მიწაწყალი ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან განავითარა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობამდე და აგრძელებს მის განვითარებას. ამ ტერიტორიის არც ერთი ნაწილის შესვლას საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, შემადგენლობაში ისტორიაში თარიღი არა აქვს: იგი ყოველთვის ამ ერთეულის და მისი შემადგენელი რომელიმე კონკრეტული ერთეულის შემადგენლობაში იყო. არც ერთი დაპყრობა, ანუ სამხედრო ძალით მითვისება, საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის მიმართ, მათ შორის არც ერთი დემოგრაფიურლი შემოტევა იარაღის გამოყენებით (ანუ შემოსახლება იარაღის გამოყენებით) მის განმახორციელებელთა მიერ არ მოყვანილა საქართველოსაგან (ან მისი შემადგენელი რომელიმე ნაწილისაგან) ამ ტერიტორიის რომელიმე ნაწილის იურიდიული მოცილების ნიშნულებამდე (ის ტერიტორიები, რომლებიც მოყვანილ იქნენ ამ ნიშნულებამდე, დღეს საქართველოს საზღვრებში არ არიან: მესხეთის დიდი ნაწილი, სოჭის მხარე, დვალეთი, აღმოსავლეთი კახეთი, ლორე, ტერიტორია ბაქოს რკინიგზის დაყოლებით). ამგვარად, არ არსებობს არანაირი საფუძველი შეეჭვებისათვის, რომ საქართველოს მიწაწყლის რომელიმე ნაწილი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს არ ეკუთვნის (აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ჩათვლით).

2. საქართველოში დღეს მოსახლე ყველა ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფი გარდა აფხაზებისა, მათ შორის ოსებიც, არის დიასპორა, ანუ თავის დღეს არსებული და მოქმედი ისტორიული სამშობლოდან გამოსული და საქართველოში დასახლებული მოსახლეობა, რომელსაც თავისი ეთნიკური დასახელების ქვეყანა საქართველოს გარეთ აქვთ („ოსეთი-ალანია“, „აზერბაიჯანი“, „სომხეთი“, „საბერძნეთი“, „რუსეთი“, „უკრაინა“). ამ ჯგუფების ტერიტორიული პოლიტიკური თვითგანსაზღვრის (ანუ ტერიტორიული ავტონომიის, მით უფრო — დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით — საქართველოდან გამოყოფის) უფლებას არ გულისხმობს არც საერთაშორისო სამართალი (რომელიც, ამგვარად, არ ცნობს არც სხვა სახელმწიფოს უფლებას, რომ სახელმწიფოს შიგნით ასეთ შემთხვევაში სეპარაციის მოთხოვნებს მხარი დაუჭიროს), არც ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის დღესდღეობით კოდიფიცირებული და საერთაშორისო კონვენციებში და სხვა დოკუმენტებში დაფიქსირებული ნორმები. ეს უკანასკნელნი ტერიტორიული ავტონომიის უფლებას აღიარებენ მხოლოდ ადგილობრივი (და არა დიასპორის სახით არსებული) ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფებისათვის, და არა დიასპორებისათვის (ასეთნი არიან, მაგ. ქურთები თურქეთში, ერაყში და ირანში). ამგვარად, საქართველოს ტერიტორიის „სამხრეთ ოსეთად“ წოდება და მისი ავტონომიად ყოფნა ეწინააღმდეგება ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის ნორმებს (ამ კონტექსტში სახსენებელია, რომ „ადამიანური უფლებები“, მათ შორის ეროვნულიც აქვთ ქართველებსაც, როგორც ერს, მათ შორის - იმავე „სამხრეთ ოსეთად“ მონათლული რეგიონის ქართველებსაც, რომელნიც იქ ერთადერთი ავტოხთონური მოსახლეობა არიან და დღეს, ეთნოწმენდის და გენოციდის შედეგად, დევნილობაში იმყოფებიან).

3. დღეს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა ჩამოყალიბებულია დანაშაულებრივი (მათ შორის — ანტიკონსტიტუციური და მასობრივი მკვლელობების გამომყენებელი და სახელმწიფო ღალატის, ანუ უცხო ძალის გამომყენებელი) ქმედებების გზით. შესაბამისად, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს რაგინდარა ღრმა დაინტერესებისა ვითარების მშვიდობიან მოგვარებაში, მისი შეუვალი უფლებაა ძალის გამოყენება წესრიგის აღსადგენად და დამნაშავეთა დასასჯელად. პოლიციური ძალით, ხოლო ოკუპანტის განდევნა — სამხედრო ძალითაც.

4. (დამატებითი არგუმენტი 1), საქართველოში ოსი მოსახლეობა უმნიშვნელო რაოდენობით და გაფანტული მცირე დასახელების სახით, ქართველების ფონზე, არსებობდა 1801 წლამდეც, ყოველგვარი ორგანიზაციული, მით უმეტეს — ტერიტორიულად ორგანიზაციული ფორმის გარეშე. სახელი „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიისათვის და ზედსართი „ოსური“ ცალკე პატარ-პატარა ადმინისტრაციული ერთეულებისათვის („осетинская дистанция“, „осетинский участок“ და ა.შ) რუსებმა მოიგონეს საქართველოში შემოსვლისთანავე გასაგები მიზნით. „Осетия“-ს უწოდებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ტერიტორიას, ერთხანს მთელ აღმ. საქართველოს მთას. ოსური მოძრაობა მთლიანად მათი შექმნილია და შეიარაღებულია 1919 წლის შეიარაღებული ამბოხებიდან და 1921 წლის აქეთ ჩატარებული ქართველების გენოციდიდან დაწყებული და ამჟამინდელი ვითარებით დამთავრებული. რუსული მონარქიული და რუსული საბჭოთა ადმინ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

*მე-9 გვერდიდან*

ისტრაციის ორგანიზებულია ოსების შემოსახლება და მათი უმრავლესობად ქცევა ცხინვალისა და ზნაურის რაიონებში. ჯავის რაიონში ისინი მცირე უმცირესობად ჩამოყალიბდნენ 1864 წლის (ბატონყმობის გაუქმების) შემდეგ, ახალგორის რაიონში კი უმცირესობად დარჩნენ საბჭოთა ეპოქის მანძილზე. ამგვარად, მათი რიცხობრივი უპირატესობა ყოფ „სო ავტ. ოლქში" (60 ათასი 30 ათას ქართველთან) 1989 წლის აღწერით უცხო მტრული ძალის ნამოქმედარია და არა ბუნებრივი პროცესის ადგილობრივ ძალთა რეალური შეფარდების შედეგი.

5. (დამატებითი არგუმენტი 2). თუ დემოგრაფიული დინამიკა მოცემულ ტერიტორიაზე (ანუ ვინ გამრავლდა და ვინ ჩამორჩა რიცხობრივად) განსაზღვრავს ამ ტერიტორიის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს და იგი დაკანონდება როგორც პრეცენდენტი, ეს გარდუვალად გამოიწვევს ყველა ეთნიკური ჯგუფის შიშს ყველა სხვა ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე – ეთნიკური წმენდისა და გენოციდისათვის ცდუნებას მთელ მსოფლიოში ევროპის ჩათვლით. ამგვარად, რეკომენდაცია „მიეცით ტერიტორიული ავტონომია ოსებს და სხვა ადგილობრივ უმრავლესობებს საქართველოში", რომელიც ჰაერში კიდია და ზოგჯერ ხმამაღლა გამოითქმის კიდევაც, არა მხოლოდ დივერსიულია საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, არამედ უპასუხისმგებლოა (ფეთქებადსაშიშია) დანარჩენი მსოფლიოს მიმართაც (1922 წელს, როცა რუსებმა საქართველოში „სამხრეთ ოსეთი" არა მხოლოდ გამოიგონეს (როგორც XIX ს-ში), არამედ შექმნეს კიდეც, მათი „არგუმენტი" იყო მხოლოდ ოსური უმრავლესობის არსებობა ამ ხელოვნურად შეკოწიწებულ, ანუ არც გეოგრაფიით, არც ეკონომიკით, არც ისტორიით განსხვავებული შიდაკავშირის არმქონე რეგიონში. დღეს ისინი თხზავენ ანტიმეცნიერულ ყალბ არგუმენტს თითქოსდა აქ ოსების ძველთაგანვე ავტოხთონობის შესახებ. ეს ეხება ყაზბეგის რაიონზე დარტყმის რუსული გეგმის კონტექსტში თრუსოს ხეობასაც).

6. სიტყვა „აბასკი" ლინგვისტურად დაკავშირებულია „აფხაზთან", მაგრამ არ არის დაკავშირებად დღევანდელ აფხაზთა თვითდასახელებასთან „აფსუა" (Т. Гамкрелидзе) ეს უკანასკნელი დაკავშირებულია შავი ზღვის სანაპიროს ერთერთ მოსახლესთან ანტიკურ ხანაში „აფსილებთან", მაგრამ არაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ „აფხაზეთის" სამეფოს შექმნის დროისათვის (VIII ს) აფსილებს თავისი ეროვნული (ეთნიკური) იდენტობა და ენა შენარჩუნებული ჰქონდათ. არც იმაზე მიგვითითებს რაიმე, რომ ხსენებულ სამეფო არა ქართულენოვანი (არაქართველურენოვანი) იყო, ხოლო იმისა, რომ იგი ქართულენოვანი იყო და ამიტომ, ბერძნული გავლენის საპირისპიროდ, დაინტერესებული იყო ქართული ღვთისმსახურების შემოღებაში, არაპირდაპირი საბუთი არსებობს. XVI და ძირითადად XVII ს-ში კავკასიონის ჩრდილოეთიდან ადიღეური მოდგმის აფსუა მოსახლეობის მასობრივი შემოსვლა და დასახელება ისტორიულად და ლინგვისტურად დადასტურებული ფაქტია. ბუნებრივ კითხვას „დაჰხვდა თუ არა მას აქ, ადგილზე, ამავე ენით, ან ამავე ადიღეური ჯგუფის ენით მოლაპარაკე მოსახლეობა?" რაიმე არგუნმენტით დასაბუთებადი დადებითი პასუხი არა აქვს. ხელისგულზე დებული ფაქტია, რომ ხალხს, რომელიც თავისთავს „აფსუას" უწოდებს, ქართულად და აქედან სხვა ენებზეც „აფხაზი" ჰქვია იმიტომ, რომ ამ სახელით წოდებულ ქართულ პროვინციაში დასახლდა („აფხაზეთი" ამ ტერიტორიას მანამდე საუკუნეებით ადრეც ეწოდებოდა) და არა პირიქით (ანუ აფხაზეთს „აფხაზეთი" იმიტომ არ ჰქვია, რომ აქ ქართველებისა და, ქართველების მიყოლით სხვათა მიერ „აფხაზებად" წოდებული აფსუა ხალხი ცხოვრობს). აფხაზი სეპარატისტების ხმამაღლა არგამოთქმული ლოგიკა „ეს მიწაწყალი დავიპყარით,მაშასადამე იგი ჩვენია" („დავიპყარით" მაშინ, როცა ციხეებში თურქები იდგნენ და სახელმწიფო განსაცდელში იმყოფებოდა), როგორც ზემოთ ითქვა, მართებული არ არის, ვინაიდან თავისი სამხედრო წარმატებები დღევანდელ აფხაზთა წინაპრებს არასდროს მიუყვანიათ საქართველოსაგან ამ ტერიტორიის იურიდიულად მოწყვეტის ნიშნულამდე. აფხაზეთის სამთავრო თავისი მთელი ისტორიის მანძილზე იყო ან სამეგრელოს მთავრის დადიანის ვასალობაში, რომელიც თავის მხრივ იმერეთის ბაგრატიონთა ვასალი იყო, ან უშუალოდ ამ უკანასკნელთა ვასალობაში. როცა აფხაზეთი შეუერთდა (რუსების თქმით – „ნებაყოფლობით") რუსეთს, შერვაშიძეებმა ერთგულების ფიცი მიიღეს რუსეთის წინაშეც და ბაგრატიონთა წინაშეც.

ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტია აფხაზთა სასარგებლოდ, რომ საქართველოში შემოსახლების შემდეგ მათ შეიმუშავეს საკუთარი ეროვნული თვითცნობიერება მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ანუ დასავლეთ ჩრდილო კავკასიაში დარჩა მათი უახლოესად მონათესავე აბაზი მოსახლეობა, რომლის ენა თითქმის იდენტურია თანამედროვე აფხაზურისა. ეს ნიშნავს, რომ ისინი არიან ცალკე ერი და საქართველოს სახელმწიფოც ვალდებულია მათ ამ არჩევანს პატივი სცეს. სახელდობრ, უნდა არსებობდეს იურიდიული და ობიექტური პირობები იმისათვის, რომ ამ ერმა იქ, სადაც სახლობს (მაგრამ არა აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, სადაც არ სახლობს) აშენოს საკუთარი საზოგადოება თავისი ბუნებრივი თვისებების, გემოვნების, ტრადიციის და ა.შ. მიხედვით, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ვეტოს უფლება ჰქონდეს აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განკარგვაში. გასათვალისწინებელია, რომ მისი ეს უფლება ძალაშია იმდენად და მანამდე, სანამ იგი თავს ცალკე ერად რაცხს. თუ მან თავი გაიიგივა ადიღეურ მოდგმასთან საერთოდ და ამ საფუძველზე გადაწყვიტა აფხაზეთში სხვა ადიღეველების შემოსახლება, როგორც თავისი იდენტური მოსახლეობისა, მაშინ იგი ხდება არა ცალკე ერი, არამედ ადიღეური დიასპორა, აქედან გამომდინარე ყველა იურიდიული და მეტაიურიდიული შედეგებით.

მნიშვნელოვანია და აფხაზებისათვის სასახელოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში შემოსახლების შემდეგ (რაც ზოგჯერ მშვიდობიანად და ზოგჯერ არამშვიდობიანად ხდებოდა) მათ შეიქმნეს პრესტიჟი, რამაც, უდავოა, ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის მიერ თავისი თვითიდენტიფიკაციის შეცვლას (ამ მოსახლეობის გააფხაზებას). ამ პროცესის გაგებში უსათუოდ უნდა ანგარიში გაეწიოს იმ ფაქტორსაც, რომ გააფხაზება ყმებს უქმნიდა შეღავათიან პირობებს ფეოდალებთან ურთიერთობაში, ანუ მათ ათანაბრებდა შემოსულთა თავისუფალ თემებთან. ამ ფაქტორმა განაპირობა ქართველი გლეხების დიდი მასის გალეკება ალმ. კახეთში (საინგილოში). იხ. ნ.ბერძენიშვილი, ი. დათუნაშვილი.

7. არჩევანი „ჯერ დავიბრუნოთ მოსახლეობა და ტერიტორია თუ პირიქით?" პოპულარულია დემაგოგიური მიმართულების არაკომპეტენტურ „პოლიტიკოსთა" შორის, მაგრამ ყალბია. პირველი ვარიანტი პრაქტიკულად აბსურდულია, მეორეს ის დეფექტი აქვს, რომ მხედველობის გარეთ რჩება ჩვენს თანამემამულეებთან საერთო ენის ძებნის აუცილებლობა. სწორი ფორმულირებაა „განვდევნოთ ოკუპანტები და გამოვიხსნათ მათი ხელიდან ჩვენი თანამემამულეები". მუშაობის ყველაზე რაციონალური ალგორიტმია:

– დავაფორმულოთ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და ცხინვალის რეგიონის მდგომარეობის იდეალურად სამართლიანი და რელისტური განსაზღვრება. წარვუდგინოთ იგი მსოფლიოს კომპეტენტურ (მეცნიერულსა და პოლიტიკურ) წრეებს საკონსულტაციოდ (და არა ნებართვის მისაღებად) და სათანადო მუხლები შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში.

– (პარალელურად) ვაწარმოოთ მოლაპარაკება იქითა საზოგადოების ავტორიტეტულსა და ერთგულ წევრებთან. მათთან ერთად მონახული ფორმულირებები წარმოვადგინოთ, როგორც მოლაპარაკების შედეგი და მეცნიერული გააზრების შედეგი

– (პარალელურად) მყარად და პაექრობის დაურიდებლად ვაწარმოოთ განხილვა ყველა საჭირო ინსტანციასთან მსოფლიოში და კომპეტენტურ მოაზროვნე ჯგუფებთან (think-tanks)

– (პარალელურად) ვამზადოთ ქმედითი ძალა, როგორც ფონი,

– (პარალელურად) საერთაშორისო ტრიბუნიდან ინტენსიურად შევუტიოთ რუსეთს, როგორც კავკასიის მახრჩობელ იმპერიას. გავუწიოთ ლობირება ჩრდ. კავკასიის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

– დავიწყოთ სასამართლო პროცესი საქართველოში რუსეთის მიერ ჩატარებული გენოციდის გამო.

8. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს საქართველოს ტერიტორიის დაბრუნების არც გეგმა და, როგორც ჩანს, არც სურვილი (ამაზე მეტყველებს მისი გამოქვეყნებული ანეკდოტური „სტრატეგია"). შესაბამისად, არა აქვს არც სახალემწიფო მოწყობის რაიმე პროექტი ( ან: აქვს და ეს პროექტია კონფედერაციის რუსული გეგმა). ჩვენ ასეთი გეგმა გვაქვს და თქვენ გთხოვთ მის გააზრებაში მონაწილეობას. მისი პრინციპი საქართველოს არაქართველ მოქალაქეებთან მიმართებაში არის „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე". ეს ეხება ყველა ეროვნულ (ეთნიკურ) ჯგუფს. ეროვნული კომფორტი (ანუ განათლება დედაენაზე, კულტურული სივრცე და ა.შ,), ზოგადად – ეროვნული თავისთავადობის სამარადისო დაცვის იურიდიული მექანიზმების ქონა- ეკუთვნის ყველას. გარდა ამისა, ეროვნულ დიასპორას ეკუთვნის უფლება, ერთგული იყოს არა მხოლოდ საქართველოსი, რომლის მოქალაქეც არის, არამედ იმ ქვეყნისაც, რომელიც მისი ერის თვითრეალიზაციის ასპარეზია, როგორც ერისა (მაგ, არგენტინელი იყოს ჩვენი მოქალაქე და არგენტინის დაწინაურებაზე ღელავდეს). ამ მაღალი (არაკომფორტისმიერი) ინტერესის დაკმაყოფილების მექანიზმი ის არის, რომ საქართველო შეძლებისდაგვარად (და თავის სახელმწიფოებრივი ინტერესების შეულახავად) ერიდება კონფლიქტს იმ ქვეყნებთან, რომლის თანამოეროვნე დიასპორაც ჰყავს (და არ გაჰყავს ფრონტზე ის დიაპორა, თუ იმ ქვეყნებთან შეიარაღებული კონფლიქტიც აქვს). აფხაზი ერი, რომელსაც საქართველოს გარეთ სამშობლო არა აქვს, სხვაა. მასზე ზემოთ გვქონდა საუბარი).

**კომენტარი.** **წინამდებარე მიმართვა არის საორიენტაციო (შავი) მონახაზი საინიციატივო ჯგუფის მიმართვისა პოლიტიკურად დაინტერესებული სამიოდე ათეული კომპეტენტური ადამიანისადმი, რომელთა თავშეყრა დაგეგმილია უახლოეს ხანებში საქართველოს გადარჩენის ამოცანასთან დაკავშირებული პრობლემების ობიექტური გააზრებისა და შესაძლო გზების შეძლებისდაგვარად რეალისტური მოხაზვის მიზნით. პირველ შეხვედრაზე განსაზღვრულია მხოლოდ იმათი მოწვევა, ვინც თავისი ნების მიმართულებით თანამოზარედ ან დაახლოებით თანამოზრედ არის ნაგულისხმები. შემდეგ შეხვედრაზე კი განზრახულია იმ კომპეტენტურ პირთა მოწვევაც, რომლებიც ოპონენტებად იგულისხმებიან. ამ შეხვედრების ინიციატორსა და ორგანიზატორს – ეროვნულ ძალთა ალიანსს – განზრახული აქვს საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის ფართო მობილიზება და იმედოვნებს, რომ ამ მიზანს მიაღწევს.**

# ფაქტები-სკეტჩები

## შეაგროვა დავით არაბიძემ

**გამოფხიზლება?**

კრემლმა „დამოუკიდებელ" აფხაზეთს მორიგი გაკვეთილი ჩაუტარა. აფხაზური „არმიიდან" სასწრაფო წესით დათხოვნილ იქნა ხუთი „გენერალი" და ექვსი „პოლკოვნიკი", მათ შორის ისეთი ცნობილი „სარდლები", როგორიც იყვნენ „გენერალ-მაიორები" ალექსანდრე მელნიკი, სლავა ანქვაბი, გარი კუპალბა, ზაკან ნანბა. მეტიც. კრემლმა „დამოუკიდებელი" აფხაზების კიდევ უფრო დასამცირებლად 90-იანი წლების შემდეგ პირველად სოხუმში სამხედრო პარადი ფსბ-ს გენერალმა იური ზვირიკმა მესაზღვრეთა ზეიმად შენიღბა, მაგრამ გამგებმა და დამნახავმა კარგადაც დაინახა და გაიგო, რომ „დამოუკიდებელი რესპუბლიკა" შირმაა, რომლის უკან ოკუპირებული ტერიტორია და ეთნიკურ-პოლიტიკური წმენდა იმალება. რუსი გენერლები არც მალავენ, რომ მათი მიზანი იმპერიული ამბიციების შესრულებაა. ფსბ-ს სამხრეთი ფედერალური ოლქის სასაზღრო რეგიონალური სამმართველოს უფროსმა, გენერალმა ნიკოლაი ლისინსკიმ განაცხადა: „აქ ყოფნით ჩვენ ვიცავთ არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ რუსეთის სამხრეთისა და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოებას".

რა რჩებათ ასეთ პირობებში, მათ, ვინც თავს იტყუებდა „დამოუკიდებელი" აფხაზეთის ფიქციით? მხოლოდ ის, რომ ქ. სოხუმის სკოლის ქუჩას მესაზღთრეების ქუჩა უწოდოს. ეს ასეც უნდა იყოს: კრემლმა, რაც ხიშტებით მოიპოვა, მას ხიშტებითვე ინანრჩუნებს, „დამოუკიდებელ". აფხაზებს კი ერთი გზა რჩებათ – ტოტალური რუსიფიკაცია და ორი თაობაში მათი მხოლოდ მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე ეთნოგრაფების ნაშრომებში მოხსენიება, როგორც ერთ დროს შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ეთნოსისა.

ეს რომ გამონაკლისი კი არა, არამედ კანონზომიერებაა არა მხოლოდ აფხაზეთის თავგადასავლით დასტურდება. იგივე პროცესები ცხინვალის რეგიგონშიც ვითარდება. მას შემდეგ, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" „არმია" სრულად დაშალეს და მას ზედ ყველა სხვა ბრძოლისუნარიანი და ძარცვისუნარიანი ფორმირებაც მიაყოლეს, კრემლის სატრაპმა ვლადიკავკაზში თეიმურაზ მანსუვორმა ყოველგვარი რევერანსების გარეშე განაცხადა, რომ „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი" არაა და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო და ამის საუკეთესო დასტურად ის მოიყვანა, რომ ცხინვალისგან განსხვავებით ვლადიკავკაზში „ტრამვაი მაინცი დადის", ოღონდ არ დაამატა რომ ეს „ტრამვაი" არა ოსური, არამედ რუსულია. თქმა არ უნდა სეპარატიზმი ესაა გზა ეროვნული თვითმკვლელობისკენ.

**ბჟუტური**

„ნაციონალურ" რეჟიმსა და მის საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კომპლექსს არც თუ ბევრი ფავორიტი რუსი ჟურნალისტი ჰყავთ. ათ რიგებში გამორჩეული იულია ლატინინაა. არიტვი-ის არხზე მისი ჟღალი თმა და წრიპინა ხმა ხშირი სტუმარია. მისი აზრები და განსჯა ყველასა და ყველაფერს სწვდება. თუმც კი მთელი მისი საქმიანობა „ხელი გავიქნიე ფეხის" იქით არ მიდის. „ნაციონალების" ამ ფავორიტკამ, იგრძნო რა კრემლის სიხარბე და სიჯიუტის ზრდა, გადაწყვიტა არც თვითონ ჩამორჩენოდა იმპერიულ კაპრიზებს და ქართული ჟურნალიდან „თბილისელები" დიდად „ბრძნული" რჩევა შემოგვთავაზა: „ჩეი რჩევაა, დაივიწყეთ დაკარგული ტერიტორიები, ისევე, როგორც ფინეთმა დაივიწყა". ფინელებმა არც არაფერი დაივიწყეს და თითქმის ყველა მათგანი ისტორიულ პერსპექტივაში შესაძლებლად მიიჩნევს 1940 წელს ძალით წართმეულის დაბრუნებას. მეორე: რაც უნდა დავივიწყოთ, თუ ამ ჟღალი ფურიასთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მხოლოდ პლიაჟი და მთაა, ქართველი ერისთვის მისი სულის ნაწილია და სულის ნაწილის დავიწყება ჯერ ვერავინ მოახერხა. ამას ვერც იულიას „რჩევა" შეძლებს. ჰრცხვენოდეს „ნაციონალებსა" და მათ პროპაგანდისტ-აგიტატორებს ლატინინას მსგავსთა „გავარსკვლავება", ასეთი პრიტიმიული და ვულგარული ქაჯის „ინტელექტუალად" გასაღება მათი დანაშაულია.

**გაყოფილის გაერთიანება?**

1974 წელს თურქეთის არმიის ინტერვენციის შედეგად კვიპროსი გაიხლიჩა. მისი 36% დღესაც თურქეთის არმიას უკავია, სადაც 1983 წლიდან ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული „რესპუბლიკა" ფუნქციონირებს, რომლის „დამოუკიდებლობა" მხოლოდ ანკარამ სცნო. სურათი ჩვენთვის აბსოლუტურად ნაცნობი და ნათელია.

2004 წელს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის გეგმის საფუძველზე კუნძულის ორივე ნაწილში რეფერენდუმი გაიმართა. შედეგი იყო ის, რომ თურქული თემის (მოსახლეობის 20%) 65%-მა მხარი დაუჭირა, ხოლო ბერძნული თემის (მოსახლეობის 80%) 76%-მა უარყო ეს გეგმა. ეს არცაა

*გაგრძელება მე-11 გვერდზე*

მე-10 გვერდიდან

გასაკვირი, რადგან კოფი ანანის გეგმა სხვა არაფერი იყო თუ არა ამორფული კონფედერაცია, რომელიც პირველივე სერიოზული პოლიტიკური ან თუნდაც ეკონომიკური კრიზისის ჟამს მარტივ თანამამრავლებად გაყოფდა კვიპროსს. პროცესის შემდგომი ეტაპი გახდა ის, რომ კვიპროსის რესპუბლიკა (ბერძნული) გახდა ევროკავშირის წევრი და დღეს უკვე მის ხელშია თურქეთის დაბლოკვა ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ამითაა გამოწვეული, რომ სეპარატისტული წარმონაქმნი აღარ ლაპარაკობს „ერთიან სუვერენიტეტზე" და უპირატესობას „ორი სუვერენული ხალხის გამიჯნულ ტერიტორიაზე ცხოვრებას" ანიჭებს. ეს დიდი გაკვეთილია ჩვენთვის.

### კრიზისი

საბერძნეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი იზრდება. ევროპის კავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით საბერძნეთის ხელისუფლება პირობას იძლევა, რომ ბიუჯეტის დეფიციტს 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 8,1 პროცენტიდან 2011 წელს 7,6 პროცენტამდე, ხოლო 2012 წელს 6,5 პროცენტამდე შეამცირებს. ათენი პირობას დებს, რომ 2014 წელს საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტი იქნება. ეს დაპირებები პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის დაპირებებთან, რომ საბერძნეთის დასახმარებლად 110 მილიარდ ევროზე მეტი იქნება გამოყოფილი. საბერძნეთის ხელისუფლების განცხადებით, თუ საჯარო სექტორში ხელფასები, ხოლო პენსიონერთათვის პენსიები არ შემცირდა, ტოტალური კრახი გარდაუვალია. საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა იორგოს პაპაკონსტანტინუმ განაცხადა: „ახლანდელი მსხვერპლი მძიმეა, მაგრამ აუცილებელი. ჩვენ თუ მსხვერპლს არ გავიღებთ, საბერძნეთი მთლიანად გაკოტრდება". ეს ვითარება მთელი დრამატიზმით იმეორებს 30 წლის წინანდელი პოლონეთის მდგომარეობას, როცა ედვარდ გერეკის სტრატეგიამ ქვეყანა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კატაკლიზმების წინაშე დააყენა.

შედეგმაც არ დააყოვნა. საბერძნეთის საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულთა საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. საბერძნეთის პროფკავშირების ეგიდით დაწყებულ ამ გაფიცვებს სულ უფრო და უფრო მეტი დარგების მუშაკები შეუერთდნენ, სახელმწიფო ტელევიზიის არხი გაფიცულმა პედაგოგებმა დაიკავეს, ქუჩებში პოლიციასთან დემონსტრანტების ხელჩართული ბრძოლები დაიწყო. შეწყდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ სარკინიგზო და საჰაერო კავშირი. ბერძენმა პროფკავშირულმა ლიდერმა სპიროს პაპასპიროსმა მოსწრებულად განაცხადა, რომ „სანამ პენსიონერებს პენსიებს შეუმცირებდნენ, რომლებიც ისედაც წელიწადში მხოლოდ 500 ევრომდე იღებენ, ჯერ ბევრი რამ უნდა მოეგვარებინათ". ნათელია, რომ ხელისუფლებამ თავი აარიდა ფართო სოციალური დიალოგის დაწყებას ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო სექტორთან, განსაკუთრებით კი პროფკავშირებთან, მაშინ როცა სოციალური პარტნიორობის პრინციპზე დაყრდნობით გაცილებით უმტკივნეულოდ მოხდებოდა საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევა. 110 მილიარდი ევროს სესხი საბერძნეთისთვის შესაძლებელი გახდება, თუ ევროს ზონის ყველა ქვეყნის პარლამენტი დასთანხმდება. დღეს კი საკითხი ათენში დგას ასე: ვინ ვის?

### დასაწყისი?

სეკულარული ევროპა და ისლამი დღეს სულ უფრო და უფრო უპირისპირდებიან ურთიერთს. დიახ, ევროპა, სადაც რელიგიური დოგმატის კრიტიკა ფუნდამენტური პრინციპია, არ და ვერ შეურიგდება იმას, რომ ევროპული სამართლის მაღლა ყურანის პრინციპები და შარიათის ნორმები დადგეს.

ამ, პირდაპირ უნდა ითქვას, იდეოლოგიურ დაპირისპირებაში ბელგია და საფრანგეთი, როგორც დიდი მუსულმანური თემების მყოლი სახელმწიფოები, ისევ პირდაპირ უნდა ითქვას, „ფრონტის" წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. დაპირისპირების პირველი წერტილი ჩადრი აღმოჩნდა. მონარქიული ბელგია და რესპუბლიკური საფრანგეთი პირდაპირ აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ მათი სახელმწიფოებრიობის საყრდენ პრინციპებზე გარედან მოსული ნორმებისა და ვალდებულებების გაბატონებას. შესაბამისად, ბელგიის სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანოებმა კანონით აკრძალეს საკუთარ ქვეყნებში თჩადრი. დიახ, ეს გამოიწვევს მათ დაპირისპირებას ისლამურ ფუნდამენტალიზმთან, ადგილობრივი რადიკალი მუსულმანების ფართო პროტესტს, მაგრამ — პირდაპირ უნდა ითქვას, — სხვა შემთხვევაში ეს მონარქიაც და რესპუბლიკაც მხოლოდ ბუტაფორიები გახდებოდნენ, რომელსაც იოლად წალეკავდა მოსული ძალა.

### „ბრძოლები" უკრაინაში

კრემლი უკრაინაში დაძაბულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლებს აწარმოებს. მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის თანხმობით უმაღლესმა რადამ კვერცხების წვიმაში 25 წლით, 2042 წლამდე გაუგრძელა ბაზირების ვადა რუსეთის შავი ზღვის ფლოტს სევასტოპოლში, პუტინ-მედვედევის რეჟიმმა ძალების მოზღვავება იგრძნო და სამხედრო-პოლიტიკური „ფრონტის" გარდა ეკონომიკურ „ფრონტზეც" წამოიწყო შეტევა. ქ. სოჭში გამართულ შეხვედრაზე ვლადიმირ პუტინმა უკრაინის პრემიერმინისტრ ნიკოლაი აზაროვის „ცდუნება" სცადა და შესთავაზა მას რუსული „გაზპრომისა" და უკრაინული „ნაფტოგაზის" გაერთიანება. ეს, პირდაპირ უნდა ითქვას, სპილოსა და კოზაკის გაერთიანება სხვა არაფერი იქნება თუ არა „გაზპრომის" მიერ „ნაფტოგოგაზირის" ჩაყლაპვა, თუნდაც იმის გამო, რომ განსხვავება ამ ორი კომპანიის აქტივებს შორის არის 20-ჯერადი. ნათელია, რომ ამ იმპერიული პროექტის მიზანია უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის კრემლის ხელში გადასვლა, რასაც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური და ისტორიულ ასპექტში დიდი სტრატეგიული შედეგი ექნება.

რუსული „ვი-თი-ბი" ბანკის მხრიდან უკრაინისთვის 500 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტის დაპირება ხომ პირდაპირ კავშირშია უკრაინული და რუსული ატომური საწარმოების გაერთიანებასთან, ასე რომ კრემლს მადა გაეზარდა და მადის დარად სულ უფრო და უფრო მეტ დარგებში ითხოვს (ან ეგებ მოითხოვს) გაერთიანებას (უფრო მიიერთებას), რათა სიტყვიდან საქმედ აქციოს ერთიანი და განუყოფელი იმპერიის აღდგენის ლოზუნგი, რაც ყოველთვის ერთი და იგივე იყო სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობის „დერჟავნიკებისთვის". კიევს კი მოსკოვი იმით აშანტაჟებს, რომ, თუ უკრაინა არ დასთანხმდება პუტინის წინადადებას, მაშინ ცნობილი „სამხრეთ ნაკადის" ამუშავებისთანავე რუსეთი შეწყვეტს გაზის ტრანზიტს უკრაინის ტერიტორიის გავლით. ევროპაში ილუზიები არავის აწუხებს, ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა" ზუსტად აღნიშნა: „უკრაინა, რომელიც ეკონომიკურმა კრიზისმა დააჩოქა, ფინანსურ დახმარებას საჭიროებს, რუსებს კი მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, საკუთარი უპირატესობა გამოიყენონ". შემთხვევითი არაა, რომ „ხარკოვის პაქტისა" და „სოჭის ინიციატივის" შემდეგ უკრაინის ვიცეპრემიერმა ვიქტორ ტიხონოვმა ქვეყნის ფედერალიზაციის აუცილებლობა იქადაგა. კრემლის დღეს დაფარული ეს მიზანი უკრაინის არა მხოლოდ სტრატეგიულ აქტივებს, არამედ თავად სუვერენიტეტს ემუქრება.

### ძველი ცოდვები

არგენტინაში 1976 წელს მორიგი სამხედრო გადატრიალება მოხდა. მმართველ ხუნტას სათავეში გენერალი ხორხე რაფაელ ვიდალა ჩაუდგა. 1976-1981 წლებში მისი მეთაურობით მოქმედმა ხუნტამ სასტიკი პოლიტიკური რეპრესიები განახორციელა ოპონენტების მიმართ — ხდებოდა ადამიანების გატაცებები, წამება, მკვლელობა. ხორხე რაფაელ ვიდალას ასეთი 49 ფაქტი დაუმტკიცდა უშუალოდ, რის გამოც სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მაგრამ ამ ვაი-გენერალს სხვა კიდევ უფრო მძიმე ცოდვებიც აღმოაჩნდა. მისი ბრძანებით ხდებოდა ოპოზიციონერთა შვილების გატაცებები და ასეთი 33 ფაქტი აღმოჩნდა. ამ გულქვა ტირანს წინ ახალი სასამართლო ელოდება და განაჩენიც მკაცრი ექნება, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ, თუ დედამიწის მეორე ნახევარსფეროში სამართალი ზეიმობს, რატომ ჩვენთანაც იგივე არ ხდება? საქართველოსა პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს დადგენილებით დაგმო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ დღესაც კი ამ გადატრიალებით შობილი უზურპატორული და რეპრესიული ორგანოს მოთავეები ე. შევარდნაძე, თ. სიგუა და თ. კიტოვანი სასამართლოს წინაშე არ წარმდგარან. ეს უსამართლობაა და მას პასუხი უნდა გაეცეს.

### ბაიდენის პრინციპები

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტ დ. მედვედევის პირით ევროპას ახალი კონცეფცია შესთავაზა უსაფრთხოების საკითხებში რაც რეალურად იყო ევროპაში ცარიზმის დროს, განსაკუთრებით XIX საუკუნის შუა პერიოდში (ცნობილი თეზისი „რუსეთი — ევროპის ჟანდარმი"), იმის ნოსტალგიამ სრულიად აუცილებელი გახადა მისი სადღეისო ალტერნატივის მომზადება. მთავარი ინსტიტუტები, რაც კრემლს აღიზიანებს არის ნატო და ეუთო. პირველი მართლაც ის ალიკაპია, რომელიც არ აძლევს რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიულ მმართველ ეშელონს ტანკებით საშუალებას, ჩაერიოს ევროპის შიდა პროცესებში, მეორე კი თანასწორობის პრინციპის გამო აღიზიანებს „ველიკოდერჟავული" ამბიციებით გაჯერებულ კრემლს. ასეთ ვითარებაში საქართველოსათვის, როგორც ევროპული სახელმწიფოსთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია თუ რა კონცეფციით იხელმძღვანელებს მსოფლიოს ერთადერთი ჰიპერ სახელმწიფო — აშშ.

ევროპაში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას წამოაყენა აშშ-ს ახალი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია. მთავარი აქ არის ორგანიზაციების ნატო-სა და ეუთო-ს არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ მათი გარდაქმნა ახალი გამოწვევებისადმი ადექვატური პასუხის გასაცემად. ვიცე-პრეზიდენტის მიერ წამოყენებული კონცეფცია 5 პუნქტისგან შედგება:

1. ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღების მეტი გამჭირვალეობა და ამ პროცესში რუსეთის სრული ჩართულობა.

2. საყოველთაო შეიარაღების განლაგებისა და რაოდენობის ზღვრის დადგენა.

3. ევროპის დაცვა გარე საფრთხეებისგან, როგორიცაა ტერორისტული ორგანიზაციები, კიბერთავდასხმები, ენერგეტიკული უსაფრთხოება.

4. ევროპაში კონფლიქტების პრევენციის, კონფლიქტის მართვის და კრიზისის დაძლევის ეფექტური მექანიზმის შექმნა (აქ ჯ. ბაიდენმა მოიყვანა მაგალითად 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი). აშშ-ს აზრით, ეს მექანიზმი უნდა ჰქონდეს ეუთო-ს და, თუ კრიზისი მაინც წარმოიქმნება, ეუთო-მ უნდა უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებების დაწყება, მიღწევა და ზედამხედველობა მასზე (და არა ეუვროპის რომელიმა ცალკეულმა სახელმწიფომ) ცეცხლის შეწყვეტის გარდა ეუთო-ს მიერ უნდა განხორციელდეს სწრაფი ჰუმანიტარული დახმარებაც.

5. ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევროპის ყველა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო დაცვის საფუძველზე. ევროპის ყველა ქვეყნისადმი იმ უფლების უპირობოდ ცნობა, რომ თითოეული მათგანი თავისუფლად ირჩევს მოკავშირეებსა და ალიანსებს.

რა შეიძლება დაუპირისპიროს კრემლმა ამ კონცეფციას? არც არაფერი. რამდენიც არ უნდა იძახოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ქალანთაროვ-ლავროვმა, რომ „ნატო-მ შეწყვიტოს არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკა", დღესავით ნათელია, რომ მოსკოვს არავინ მისცემს XIX საუკუნის სანკტ-პეტერბურგის უპირატესობას — ევროპის ჟანდარმის სტატუსს. „გადატვირთვის" პოლიტიკა ესაა ვაშინგტონისა და მოსკოვის ორმხრივი საქმე, კონფრონტაციიდან პარტნიორობისკენ მიმავალი ზიგზაგისებური გზა და არავითარ შემთხვევაში მსოფლიოს გაყოფა გავლენის სფეროებად ან ევროპაში დაპირისპირების ხაზის აღდგენა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ზუსტად აღნიშნა, რომ მდგრადი უსაფრთხოება ევროპაში ეყრდნობა დემოკრატიულ და არა იმპერიალისტურ სტანდარტებს, თანასწორობას და არა მორჩილებას, მშვიდობას და არა დაშინებას და ეს სტაბილურობა ეყრდნობა ნატო-სა და ეუთო-ს.

### ახალი სტრატეგია

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა დაადასტურა, რომ დასავლური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ლისაბონის სამიტზე, რომელიც ამა წლის შემოდგომით იგეგმება, ახალ სტრატეგიას მიიღებს. მთავარი ელემენტი ამ სტრატეგიისა გახდება ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის გაშლა. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის წინაშე არ იკეტება კარები ამ სისტემის წინ. დიახ, რუსულმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მიაღწია და გაუსწრო საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ რეკორდს შეიარაღების გაყიდვაში, მაგრამ მის მიერ რეალიზებული იარაღი და საბრძოლო ტექნიკა არაა მაღალტექნოლოგიური და რეალიზაციის ნახევარზე მეტი აზიის ქვეყნებზე (ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) მოდის. ეს ინიციატივა [illegible] მევს მის მთავარ პროპაგანდისტულ კლიშეს „თავდასხმას მიპირებს დასავლეთი".

ახალი სტრატეგია არ გულისხმობს ნატო-ში ახალი ქვეყნების ინტეგრაციის შეწყვეტას, პირიქით ნატო-ს მინისტერიალმა გაწევრიანებისთვის საჭირო მაპ-ი გადასცა ბოსნიასა და ჰერცოგოვინას. მთავარი გაკვეთილი ამ პროცესებიდან საქართველოსთვის არის მისი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, რეალური და ბრძოლისუნარიანი არმიის ფორმირება და ეკონომიკის მოდერნიზაცია.

### ვალები

„ნაციონალურმა" რეჟიმმა საქართველო ვალების ბადეში გაება. ქვეყნის საგარეო ვალი 6236204000 ლარს შეადგენს და ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. გასათვალისწინებელი ფაქტია ის, რომ წლის დასაწყისისგან განსხვავებით, როცა მიღებულ იქნა ბიუჯეტი, ჩვენი ლარი დოლართან მიმართებაში დაეცა და დღეს ვალების დასაფარად გაცილებით მეტია საჭირო. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი 1 მილიარდით გაიზარდა. ეს „შესაძლებელი" გახდა იმის გამო, რომ „ნაციონალურმა" რეჟიმმა ვერ შესძლო არსებული რესურსების სრულად მობილიზება და განვითარების ოპტიმალური გზის მოძებნა. ძალზედ ნიშანდობლივია, რომ ვალების ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილი — 800 მილიონ დოლარზე მეტი — 2013 წელს იქნება გასასტუმრებელი. თუ 2010 წელს ვალების მომსახურებაზე ბიუჯეტის თითქმის 5% უნდა დაიხარჯოს, 2013 წელს იგი 15%-ს მიაღწევს. „ნაციონალური" რეჟიმი არანაირ კონცეფციას და სტრატეგიას არ სთავაზობს ქვეყანას, რათა ექსპორტი გაიზარდოს, მოძიებულ იქნას ახალი ბაზრები, ინვესტიციები ჩაიდოს მაღალრენტაბელურ ტექნოლოგიებში. შედეგი კი იქნება იგივე, რაც ხდება საბერძნეთში, უფრო უარესი და კატასტროფიული შედეგებით.

### არჩევანი

2009 წლის გაზაფხულ-ზაფხულის საპროტესტო აქციებმა საკონსტიტუციო რეფორმას მისცეს ბიძგი. შეიქმნა საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებელი კომისია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. 11 მაისს კომისიამ კენჭისყრით მიიღო საბაზისო დოკუმენტი, რომელსაც თავად კომისიის თავმჯდომარე ლობირებდა. ამ პროექტის მიხედვით ქვეყნის პრეზიდენტი დისტანცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან; არის მთავრობა და მისი მეთაური პრემიერ-მინისტრი, რომელნიც ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი აღარ მონაწილეობს ბიუჯეტის ფორმირებაში. მთავრობასა და პარლამენტს შორის კონფლიქტის წარმოშობისას პრეზიდენტი არბიტრის როლს ასრულებს. ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტს ირჩევს ხალხი. პრეზიდენტის გამოცემული სამართლებრივი აქტები ძალაში შედის პრემიერ-მინისტრის ხელმოწერის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტმა კომისიის წევრთა 3/4-ზე მეტი ხმა მიიღო, იგი არ იქნება მიღებული „ნაციონალური" უმრავლესობით დაკომპლექტებული პარლამენტის მიერ. მთავარი აქ არაა არა ის, რომ რომელიღაც ინსტიტუტს რაღაც დააკლდა, მთავარია ერისმიერი პოლიტიკური და სოციალური კონტროლის გაზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიწვევთ ღია დისკუსიაში

## საქართველო ღრმა ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა

საქართველო ღრმა ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა. 326 წლიდან ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიაა, ხოლო 465 წლიდან საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია. საქართველოს ისტორიის თოთხმეტმა საუკუნემ (V-XVIII) ჩაიარა თითქმის უწყვეტ ბრძოლაში სხვა რელიგიათა მატარებელი, საქართველოზე მრავალჯერადად დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც, ყველანი უკლებლივ, თავის შემოტევებში საქართველოზე ისეთივე ძალისხმევით ცდილობდნენ ქართველი ერის მიქცევას უცხო რელიგიისაკენ, როგორითაც საქართველოს მიწის დაპყრობას. საქართველო ზემოხსენებული საუკუნეების მანძილზე იყო ქრისტიანობის ფორპოსტი აღმოსავლეთში. XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში, თავისი ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი აყვავების ხანაში საქართველოს სახელმწიფოს იდეოლოგიის არსებითი პუნქტი იყო საქართველოს ერთერთ უმთავრეს ფუნქციად აღიარება ქრისტიანებისა და ქრისტიანობის დაცვისა კავკასიაში და მის მიმდგომ რეგიონში. ქართველმა ერმა შეგნებულად გაიღო უდიდესი მსხვერპლი ქრისტიანული რელიგიისათვის ბრძოლაში. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას წმიდა მოწამეთა ძალიან მრავალრიცხოვანი კრებული ჰყავს. საკმარისია ითქვას, რომ 1227 წელს მუსლიმანი მტრების მიერ ქ. თბილისის აღების შემდეგ ქ. თბილისის, პრაქტიკულად, მთელმა მოსახლეობამ მოწამებრივი სიკვდილი არჩია ქრისტეს გმობას, რასაც მისგან მტერი ითხოვდა (მოწამეთა ეს ჯგუფი იხსენიება „ასი ათასი მოწამის“ სახელით). ღრმა ქრისტიანულმა კულტურამ განუზომელი წვლილი შეიტანა ქართველი ერის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში. ეს სისტემა დამყარებულია იმავე აბსოლუტურ, ანუ შეუვალსა და არც ერთ ვითარებაში არ დასათმობ ღირებულებებზე, რაც თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე ნაწილის (ზოგადად: თანამედროვე მოწინავე ადამიანის) იდეოლოგია და მორალი: თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობაზე, ადამიანთა პრინციპულ თანასწორობაზე,სამართლიანობაზე, შემბრალებლობაზე, შემწყნარებლობაზე და სხვაზე. ეს ღირებულებები საქართველოში იმპორტირებული არ არის: ეს ქართველი ერის მიერ საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივი ძალით საკუთარ ქვეყანაში შემუშავებულ ღირებულებათა სისტემის ელემენტებია.

ამავე დროს საქართველო არის ტრადიციულად დემოკრატიული ქვეყანა. საქართველოს დიდ ნაწილს, სახელდობრ, ბარს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დიდი ნაწილი გატარებული აქვს ფეოდალური წყობის პირობებში,რაც პრინციპულად განსხვავდება საქართველოს მეზობელი დიდი ქვეყნების დესპოტიებისაგან, ხოლო საქართველოს მცირე ნაეწილს - მთას - სამხედრო დემოკრატიის, სახელდობრ, თემობის პირობებში. საქართველოსა და ქართველ ერში არსებობს, მიუხედავად რუსეთის ორსაუკუნოვანი იმპერიული ბატონობისა, ღირსეულ რიგით ადამიანად ყოფნის და ამით ამაყობის კულტურა (პრინციპით „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“) და საზოგადოების ყველა წევრისათვის პირადი თავისუფლების მოუცილებლობის ცნობიერება (პრინციპით „არც არავის ყმად ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო წლიდან წლამდე გამყოლია“), რაც სამოქალაქო საზოგადოებისათვის მკვიდრი მორალური საფუძველია.

ქართველმა ერმა 1921-1990 წლებში განიცადა უმძიმესი რეპრესია რუსული იმპერიის მხრიდან, რომელიც, თუ მას მივუყენებთ თანამედროვე ტერმინოლოგიას, დახასიათდება, როგორც ქართველი ერის გენოციდი. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ 1921-1941 წლებში დაიხვრიტა (მიახლოებითი დაანგარიშებით) 72000 კაცი, ანუ მთელი ქართველი ერის 3%. გასახლებულ იქნა და აღარ დაბრუნებულა რამდენჯერმე მეტი. შესაბამისად, იდევნებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მღვდელმსახურთა ფიზიკური განადგურების ჩათვლით. ცნობილია სტალინის ინსტრუქცია **„вспахать и перепахать дворянскую Грузию“** და კომუნისტური რეპრესიის ერთერთი მსხვერპლის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსის (ხელაია) სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა მისი კომუნისტური „გასამართლების“ დროს „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული სამშობლოს და ლეში ჯალათებს“.

საქართველოსა და მის ერს დღევანდელ პირობებში (და, სავარაუდოა, მომავალშიც) ესაჭიროება კონსულტაცია თანამედროვე დემოკრატიულ მსოფლიო საზოგადოებასთან დემოკრატიის მექანიზმთა სრულყოფის თაობაზე. დემოკრატიის პრინციპების თაობაზე და დემოკრატიული სულისკვეთების აღზრდის თაობაზე მას სჭირდება ამ საზოგადოებასთან აზრისა და გამოცდილების თავისუფალი ურთიერთგაცვლაც, მაგრამ არა ცალმხრივი კონსულტაცია, მით უმეტეს — არა ინსტრუქტირება.

ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართველ ერში ტრადიციულად და დღესაც ეროვნული სულისკვეთება და დემოკრატიული სულისკვეთება ერთია და მას, სხვა მრავალ ცოცხალ წყაროსთან ერთად და პირველ ყოვლისა, მისი მშობლიური სარწმუნოება ასაზრდოებს. ქართველ ერს უფლება აქვს, დაიცვას თავისი სარწმუნოება, თავისი ეკლესია — საქართველოს სამოციქულო ეკლესია — და ამავე დროს თავისი ყველა მოქალაქის უფლება სვინდისის თავისუფლებისა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მმართველი ხელისუფლება 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან დღემდე ატარებს საქართველოს მიზანმიმართული და ყოველმხრივი ნგრევის, ამ რიცხვში - აგრეთვე ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკას რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების“ სახელით. ამ პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მითის გავრცელება (ტელეეკრანის სრული მონოპოლიზაციის პირობებში), თითქოს

ა) ქართული შეგნებული სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი წინააღმდეგობაშია თანამედროვე დემოკრატიის პრინციპებთან და

ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლი თავის მოქმედებაში ჰლალატობს რელიგიური შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) პრინციპებს.

აღნიშნულის კონტექსტში, ჩვენ გვინდა ტელეარხი „კავკასიის“ წინ მომხდარი სამწუხარო ინციდენტის შესახებ განვაცხადოთ შემდეგი.

1. რამდენადაც ჩვენ ვიცით, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მოთხოვნა ტელეარხ „კავკასიის“ მიმართ იყო თავისუფალი ეთერის მიცემა (ანუ ტელეეთერის მონოპოლიზაციის ერთჯერადი გამონაკლისით დარღვევა) და არა უხამსი შოუს შეწყვეტა.

2. რამდენადაც ვიცით, დაიჭრა ამ მოთხოვნის წამომყენებელი მხარის წევრი, და არა პირიქით

3. რამდენადაც ვიცით, რელიგიური რწმენის ობიექტის (ამ შემთხვევაში - ქვეყნის უმრავლესობის რელიგიური რწმენის ობიექტის) მიზანმიმართული შეურაცხყოფა უცენზური სიტყვების გამოყენებით დასჯადია ყველა დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობით. ამავე კანონმდებლობით, მასობრივი ინფორმაციის ორგანო ვალდებულია შეურაცხყოფილ სუბიექტს დაუთმოს ტოლი ადგილი პასუხისათვის თავის საინფორმაციო სივრცეში (რის გამოც „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ზემოხსენებული მოთხოვნა ეთერის მიცემისა სამართლიანია).

4. ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის მსოფლიო სისტემას, რომელმაც კაცობრიობის დემოკრატიულ განვითარებას უდიდესი ღვაწლი დასდო და, უეჭველია, მომავალშიც დასდებს, თავის თეორიაშიც და პრაქტიკაშიც აქვს ის ხარვეზი, რომ იგი ცალმხრივად კონცენტრირებულია ადამიანისათვის მის ე.წ. „ძლიერ“ ღირებულებათა რეალიზაციის უზრუნველყოფაზე (ანუ სასიცოცხლოდ აუცილებელზე: საკვები, უსაფრთხოება, სამართლიანი სასამართლო პროცესი და ა.შ), მაგრამ მნიშვნელოვანწილად უგულვებელყოფილი აქვს მისივე ე.წ. „მაღალი“ ღირებულებები, ანუ ის ღირებულებები, რომლებიც განუყრელია მისი, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებისაგან (ანუ ხდება იმის უგულებელყოფა, რომ მაღალი ღირებულებების ძალიან დიდი ნაწილი ამავე დროს ძლიერი, ანუ ადამიანისთვის სასიცოცხლო ღირებულებებია). ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის მის მიერ თავისი გარესამყაროსათვის (პირველ ყოვლისა - თავისი საზოგადოებისათვის) იმ სახის მიცემისათვის ბრძოლის უფლება, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია ამ გარესამყაროსათვის (ამ საზოგადოებისათვის) თავისი პირადი სასიცოცხლო ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, ანუ უფლებადაცვითი სისტემა ვერ ითვალისწინებს ადამიანის მოთხოვნილებას და, შესაბამისად, მის ადამიანურ უფლებას, რომ ერთერთი თანამმართველი იყოს (პრინციპში) და მონაწილე მსოფლიო და ისტორიული პროცესისა (იყოს, ჭეშმარიტად, „სახედ და ხატად ღმრთისა“), რაც სხვა მრავალ მხარესთან ერთად ნიშნავს იმასაც, რომ თავისი ერისა და თავისი ეროვნული სახელმწიფოს წინ წაწევისათვის იშრომოს და იბრძოლოს. ეს ხარვეზი გაათკეცებული ძალით რეალიზდება ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომელსაც არაკვალიფიციური პირები „ურჩევენ“ ხელი აიღოს მაღალ მოთხოვნილებებზე (მაგალითად, მოწინავე განათლებასა და მეცნიერების ქონაზე) და დასჯერდეს მომსახურე ერის ფუნქციას, ამასთან ერთად თავისი ქალაქების ქუჩებში განუკითხავი ბატონობა დაუთმოს ყველანაირი „გადახვევების“ მქადაგებლებს და ბნელ სექტებს (მათი სახელი ლეგეონია), რომელნიც სულებს **ფულით** ყიდულობენ და თავისი პროპაგანდის შინაარსით სახელმწიფოს საფუძველბს არყევენ. საქართველოსათვის ამ ყალბი გზის შემოთავაზებაში, ანუ მისთვის ე.წ. „მარგინალური ცივილიზაციის“ სამარცხვინო და უპერსპექტივო როლის შემოთავაზებაში განსაკუთრებით აქტიურნი არიან სოროსის ფონდი, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ილია ჭავჭავაძის სახელობის სრულებით არაკომპეტენტური „უნივერსიტეტი“. პრაქტიკულად, მათი იდეების რეალიზაციისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, აქტიურია რუსეთის სამსახურების რესურსი. ამ უკანასკნელმა, ჩვენი შთაბეჭდილებით, აქტიური როლი ითამაშა „კავკასიასთან“ მომხდარი სკანდალის ორგანიზებაშიც.

5. ისეთ პირობებშიც კი, როდესაც კანონი არ კრძალავს რელიგიური კრებულის სიწმიდეთა შეურაცხყოფას საჯაროდ, მასობრივი ტირაჟით და უცენზური სიტყვების გამოყენებით, დემოკრატიის ანბანურ წესებს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოების აღმსარებელთ მთლიანად (მხედველობაშია არა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლი, რომელიც მართლმადიდებელია, არამედ კათოლიკეებიც, გრიგორიანელებიც და პროტესტანტებიც) არა აქვთ საშუალება შეურაცმხყოფელთ პასუხი გასცენ მასობრივი ინფორმაციის ამავე საშუალებებით ამ უკანასკნელთა მონოპოლიზაციის გამო, ხოლო სახელმწიფო დაწესებულება — ილია ჭავჭავაძის „უნივერსიტეტი“ - აწყობს დისკუსიას უწმაწური სახელწოდების მატარებელ ანტიქრისტიანულ წიგნზე ისე, რომ აზრად არ მოსდის დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება მისცეს ერთ კომპეტენტურ პირს მაინც, რომელიც წარმოადგენს ადექვატურ შეფასებას: რომ წიგნი დამყარებულია უმეცრებაზე, ლიტერატურული ნიჭის არარსებობაზე და, უკეთეს შემთხვევაში, ჰეროსტრატეს კომპლექსზე, ანუ გამორჩეული საჯარო ყურადღების მოპოვების სურვილზე გამორჩეული პოზიტიური პირადი მახასიათებლების უქონლობის პირობებში.

6. სამწუხაროა, რომ ქრისტიანული რელიგიისა და ქართველი ერის ძირეულ ღირებულებათა დაცვის წმინდა საქმეს, გულწრფელად აღშფოთებულ ადამიანთა გარდა, გვერდით უდგებიან შემთხვევითი ადამიანები, რომელნიც საქართველოში დიდი ხანია ცნობილნი არიან, როგორც რუსეთის იმპერიული ინტერესების ღია ან „ფარული“ გამტარებელნი.

7. ვითხოვთ საქართველოს ყველა იმ ტელეარხისაგან, რომელმაც „კავკასიასთან“ მომხდარი ინციდენტი გააშუქა, ორსაათიანი ღია დისკუსიის მოწყობას თემაზე „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიის სფეროში“, რომელშიც ჩვენ მოგვეცემა საეთერო დროის ნახევარი. კამათში ვიწვევთ საპარლამენტო უმრავლესობას, პრეზიდენტსა და მის აპარატს, „თავისუფლების ინსტიტუტს“, ილია ჭავჭავაძის „უნივერსიტეტს“, „ქართულ-ამერიკულ დემოკრატიის ინსტიტუტს“, სოროსის ფონდს „ღია საზოგადოებას“, „კავკასიის სახლს“ და ყველა სხვა პირს და დაწესებულებას, ვინც მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.

ჩვენი თეზისებია

1. დღეს მიმდინარე ლაშქრობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის და ქართველი ერის ტრადიციული და თანამედროვე ღირებულებების წინააღმდეგ თავისი სულისკვეთებით, პრინციპებით, იდეოლოგიითა და ზოგადი მიზნებით ეწინააღმდეგება ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ჭეშმარიტ სიღრმისეულ ბუნებას.

2. იგი ამავე პარამეტრებში, აგრეთვე თავისი პრაქტიკით ეწინაღმდეგება საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

3. იგი თავისი პრაქტიკით ეწინაალმდეგება ადამიანის ბუნებრივ ადამიანურ უფლებათა იმ ნაწილს, რომელიც უკვე კოდიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილსა და საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტებში.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის სახელით

**ბერიანიძე ტ., გიორგაძე მ., გუჯაბიძე დ., დუნდუა რ., პახაძე პ., პოლუაშვილი პ., მგალობლიშვილი ზ., ნათაძე ნ., სორდია გ., შავთვალაძე თ., ჩხაიძე შ., ჩხეიძე თ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სჭირდება თუ არა საქართველოს „ფრანკენშტეინის სურსათი"?!

**გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნებლობაზე მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ. ზოგიერთის აზრით, სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მიღებულ საკვებს უნდა დავაბრალოთ მსოფლიოში ალერგიული და ონკოლოგიური დაავადებების რიცხვის მატება, სიმსუქნე, იმუნიტეტის დაქვეითება და სხვა მრავალი უსიამოვნება. მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ამგვარი პროდუქტი უვნებელია ადამიანისათვის. თუ რა გავლენას ახდენს გენმოდიფიცირებული პროდუქცია ჯანმრთელობაზე, დაახლოებით 50 წლის შემდეგ დადგინდება, როცა ტრანსგენური პროდუქტით გამოკვებილ ადამიანთა ერთი თაობა მაინც შეიცვლება.**

**გენური ინჟინერიის დახმარებით, ერთი ორგანიზმის გენი შეჰყავთ მეორის უჯრედში და ღებულობენ პროდუქტს, რომლის გარჩევაც ნატურალურისაგან თითქმის შეუძლებელია. ასე მაგალითად, იმისათვის, რომ მარწყვი და პომიდორი ყინვაგამძლე გახდეს, მათ უნერგავენ თევზის გენს, სიმინდს შეიძლება „მიაშველონ" გველის, ან მორიელის შხამისაგან მიღებული გენი, რომელიც მას მავნე მწერებისაგან დაიცავს. ამგვარ პროდუქტს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში შეხვდებით. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. სწორედ ამ მტკივნეული საკითხის შესახებ გვესაუბრება პროფესორი პაატა კოლუაშვილი:**

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე მილიარდზე მეტი ადამიანი შიმშილობს, გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან დაკავშირებით სერიოზული მსჯელობა 1990-იანი წლებიდან დაიწყო, რადგან მსოფლიოში კვების პროდუქტების ხარისხი მკვეთრად გაუარესდა. თანამედროვე მეცნიერება საშუალებას იძლევა სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის გენების გადანერგვის გზით შეიქმნას მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, რომელთა დამახასიათებელი თვისებები უხვმოსავლიანობა და მაღალპროდუქტიულობაა. დღეისათვის ამ მეთოდით გამოყვანილია ხორბლის, სიმინდის, სოიოს, ბრინჯის, პომიდვრის, მარწყვის, კარტოფილისა და სხვა კულტურათა ახალი ჯიშები. მიღებული შედეგები მართლაც რომ შთამბეჭდავია: მარწყვში, ვაშლსა და პომიდორში ატლანტიკის ოკეანის ცივ წყლებში მობინადრე ქამბალას გენი „ბინადრობს", ახალი ჯიშის ყავა არ შეიცავს კოფეინს, ხორბალში გაზრდილია წებოგვარასა და პროტეინის შემცველობა, ბრინჯში მომატებულია E ვიტამინის შემცველობა (ავტორთა აზრით, ეს ხელს უწყობს ე.წ. „ქათმის სიბრმავის" დაავადების კლებას), ხოლო ბამბისა და კარტოფილის ახალ ჯიშებს შხამქიმიკატებით დამუშავება საერთოდ არ სჭირდება, ისინი თვითონ გამოყოფენ ჰერბიციდს. ამ მეთოდის წყალობით აღმოცენებული მცენარის მოსავალი საკვებად ვარგისია (თუმცა გამრავლების უნარი არ გააჩნია) და, რაც მთავარია, შეუძლია უხვი მოსავალი მოგვცეს მწირ ნიადაგზეც კი, რაც შიმშილისაგან ხსნის მნიშვნელოვანი რეზერვია. ძირითადად გენმოდიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ-ი, კანადა, არგენტინა, ბირმა, ურუგვაი, ავსტრალია. აშშ-ში წარმოებული ხორბლის 50%, სიმინდისა და კარტოფილის 35%, სოიოს 52% გენეტიკურად სახეცვლილ, იგივე გენმოდიფიცირებულ პროდუქციას წარმოადგენს.

**— ბატონო პაატა, რით არის გამოწვეული ერთგვარი შიში ამგვარი პროდუქციის მიმართ?**

— მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში ძალზე უარყოფითი დამოკიდებულებაა გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქციის მიმართ. ევროპაში ასეთ სურსათს „ფრანკენშტეინის სურსათსაც" უწოდებენ, რომელსაც შეუძლია სავალალო შედეგი მოგვიტანოს. კერძოდ, ასეთი გზით მიღებული კულტურების მოშენება ხელს შეუწყობს მავნებელი მწერებისა და სარეველების ახალი სუპერჯიშების წარმოშობას. ვინაიდან გენური ინჟინერიის გზით მიღებულ ჯიშებს არა აქვთ გამრავლების უნარი, ფერმერები მთლიანად დამოკიდებულნი გახდებიან მათ მწარმოებელ კომპანიებზე. გენური ინჟინერიით მოყვანილი პროდუქტი საფრთხეს უქმნის ეკოსისტემასაც და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობასაც. მიმდინარეობს მუშაობა გენური ინჟინერიის გზით ისეთი ახალი ჯიშების მიღებაზე, რომლებიც სპეციალური „ბრძანების" მიღებით შეწყვეტენ ზრდა-განვითარებას, ანუ თვითგანადგურების უნარი აქვთ. ე.ი. იქმნება მოსავლის ხელოვნური მართვის სისტემა. ახალი ჯიშების დამახასიათებელი თვისებები შეუსწავლელია, მაგრამ მეცნიერები არ გამორიცხავენ ადამიანსა და გარემოზე მავნე ზემოქმედების საშიშროებას. ევროპაში ასეთი სახის ნებისმიერ პროდუქციას აქვს სპეციალური ნიშანდება, რომლითაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა განასხვავოს გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქცია ჩვეულებრივისაგან. ამის მიუხედავად, სუპერმაკეტების უმრავლესობამ იქ საბოლოოდ თქვა უარი გენმოდიფიცირებული პროდუქტების რეალიზაციაზე. ასეთი ფრთხილი მიდგომა გამოწვეულია საკვები პროდუქტების მავნე ზემოქმედების ისეთი ფაქტებით, როგორიცაა ცოფიანი ძროხის დაავადება, დიოქსინის კრიზისი, კოკა-კოლით მოწამვლა და ა.შ

სხვათა შორის, აშშ-ში შეშფოთებით უყურებენ ევროკავშირის ქვეყნების ამგვარ დამოკიდებულებას გენური ინჟინერიის მიმართ, რადგან ამ შეზღუდვების გამო ამერიკა ყოველწლიურად კარგავს სულ მცირე 200 მილიონ დოლარს მაინც. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს შორის დღესაც არაა გადაწყვეტილი დავა ჰორმონებით გამოკვებილი საქონლისა და ფრინველის ხორცის გამო. ევროკავშირი უკვე რამდენი წელია კრძალავს ამგვარი ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშს. ე.წ. ფრანკენშტეინის სურსათის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იზრდება იაპონიაში, მექსიკასა და თვით ამერიკაშიც. მოკლედ, თანამედროვე მსოფლიოში უარს ამბობენ გენეტიკურად სახეცვლილ საკვებსა და მარცვლეულზე. ასე მაგალითად, მექსიკელი სიმინდის „ჩიფსების" მწარმოებლები ამჯობინებენ ჩვეულებრივი, ნატურალური სიმინდის გამოყენებას. ბოლო მონაცემებით, ამერიკამ შემოიღო გენეტიკურად სახეცვლილი მარცვლეულისა და საკვები პროდუქტის ნიშანდება, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს გაარჩიოს ისინი ერთმანეთისაგან.

**— ბატონო პაატა, ცნობილია ისიც, რომ მეცნიერულად ჯერჯერობით არ დაუდგენიათ გენმოდიფიცირებული პროდუქციის მავნებლობა.**

— მართალია, არ დადგენილა, მაგრამ რატომ უნდა გავრისკოთ, როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება? ამ საკითხის აქტუალურობის გამო, ქალაქ მონრეალში 2001 წლის იანვარში გაიმართა გაეროს კონფერენცია, რომელმაც მიიღო კომპრომისული შეთანხმება. ამ კონფერენციის შემდეგ ყველა ქვეყანას რომელიც შეუერთდა მის გადაწყვეტილებას მიეცა უფლება გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე შემოიღოს საკუთარი რეგულირების სისტემა და კანონმდებლობა, აკრძალოს გენეტიკურად სახეცვლილი პროდუქტის იმპორტი მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დასაბუთებული მტკიცებულება მისი საშიშროების შესახებ, ექსპორტიორმა ქვეყნებმა გააკეთონ ამ ტვირთებზე (პროდუქციაზე) სპეციალური ნიშანდება. პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის განსაზღვრისთვის დაევალება, სპეციალურად შექმნილ საერთაშორისო სტრუქტურას. ამ გადაწყვეტილებას მსოფლიოს 135 ქვეყანა შეუერთდა. მათ შორის არ იყო საქართველო.

უფრო მეტიც, 2005 წლის დეკემბერში ჩვენთან მიიღეს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ". სამწუხაროდ, ეს კანონი სრულად დღესაც არ მოქმედებს. ჯერ გადაავადეს 2010 წლის იანვრამდე, ახლა კი მისი ამოქმედება 2015 წლამდე გადაიდო. ამ გადაწყვეტილების შედეგს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოვიმკით. სხვათა შორის, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მკაცრად შეამოწმებენ ექსპორტიორ ფირმებს, რომლებიც მუშაობენ ევროპის ბაზარზე. არ მესმის, რას ნიშნავს ეს? — ე.ი. საექსპორტო პროდუქცია უვნებელი და მაღალი ხარისხისა უნდა იყოს, ადგილობრივ ბაზარზე არსებული პროდუქტი კი მავნებელი და უხარისხო?

**— სამწუხაროდ, გენმოდიფიცირებული პროდუქტის მარკირების ვადაც 6 თვით გადაიდო!**

— სამწუხაროდ, მართლაც ასეა. უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობით საერთოდ აკრძალეს ქიმიური დანამატებით გადატვირთული ხორბლის ფქვილის შეტანა თავის ბაზარზე. ამას მთავრობები აკეთებენ საკუთარი ღირსების, ერის პატივისცემისა და სიყვარულის გამო. ჩვენთან კი რა ხდება? — სამაჩაბლოდან დევნილებს დაურიგდათ ფქვილი, რომელიც იმდენად უხარისხოა და იმდენადაა გაჯერებული ქიმიური დანამატებით, რომ მისგან პური კარგად არ ცხვება. ამგვარი პროდუქცია ძალიან იაფი და უხვმოსავლიანია, თუმცა საქართველოში ასე არ არის. იმპორტიორები ხშირად გვატყუებენ და იმის გამო, რომ პროდუქტზე არ არის მითითებული მისი შედგენილობა, გენეტიკურად სახეცვლილ პროდუქციასაც საკმაოდ მაღალ ფასში ჰყიდიან.

**— ბატონო პაატა, თქვენ ხშირად ამბობთ, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება აქვე წარმოებული პროდუქტით...**

— სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია საერთოდ არა აქვს და ამ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგს პრიორიტეტულად არ აღიარებს. ამის შედეგად, ჩვენი ქვეყნის ბაზარზე იმპორტული პროდუქციის რაოდენობა (რომლის უდიდესი ნაწილი ფალსიფიცირებულია. გენმოდიფიცირებულია: ჩიფსები, იოგურტები და ა.შ.) ოთხჯერ აჭარბებს ადგილობრივს. ბიუჯეტის ფორმირებაც მთლიანად დამოკიდებულია იმპორტიდან ამოღებულ გადასახადებზე, რის გამოც ადგილობრივი წარმოება თითქმის ჩამკვდარია.

ამ მწვავე კრიზისის ფონზე, როცა მსოფლიოში დასრულდა „იაფი საკვების" ეპოქა, სურსათზე ფასები პრაქტიკულად გაორმაგდა და ზოგიერთი ქვეყანა შიმშილის ზღვარზეა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მრავალდარგოვანი აგროწარმოების განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ამ პროცესს აჯანჯლებს, თორემ საქართველოში პრაქტიკულად ყველა სახის პროდუქტის წარმოებაა შესაძლებელი. როგორ შეიძლება აქ სურსათი არ აწარმოო და ვინმე მშიერი იყოს?! ეს არის ქვეყანა, რომელსაც მიწათმოქმედების უდიდესი ტრადიციები აქვს. საქართველო ხორბლისა და ვაზის სამშობლოა. მსოფლიოში არსებული ხორბლის საუკეთესო ჯიშების დედა სწორედ ქართული ხორბალია. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ხორბალი ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს სულ მცირე, 70 პროცენტით, ხოლო ყველა სახის მარცვლეულის მოყვანა შეგვიძლია 1,5–1,6 ტონის ფარგლებში (რაც მეცხოველეობის სათანადო დონეზე განვითარებასაც ნიშნავს). ეს დათვლილი და გაანგარიშებულია ქართველი მეცნიერების მიერ. ტრაგედიაა ის, რომ ჩვენ შემოგვქონდა და შემოგვაქვს გენმოდიფიცირებული პროდუქტი, თუნდაც ახლო წარსულში, სათესლე — კარტოფილი, პომიდორი, სიმინდი, რომელიც ჩვენს ჯიშებს ანადგურებს, როცა აქ საუკეთესო, ნატურალური საკვები პროდუქტის მოყვანა შეიძლება. საქართველოს ბიოპოტენციალი სრულიად საკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად.

**— ამ საკითხის გამო მწვავე კამათი გაიმართა საქართველოს პარლამენტშიც, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.**

— სხვათა შორის, მე ვუსმენდი ამ კამათს და გული მწყდებოდა. ვხედავდი, რა გულანთებული ლაპარაკობდა გიორგი ახვლედიანი, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის ცინიკური დამოკიდებულება იყო, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრმა და სხვებმა გამოავლინეს ამ პრობლემის მიმართ. მთელი უბედურება ის არის, რომ ისინი არასპეციალისტები არიან და საერთოდ ვერ ერკვევიან ამ სფეროში. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ბაზარი გადატვირთულია ყალბი პროდუქციით, რომლის უდიდესი ნაწილიც სწორედ გენმოდიფიცირებულია. ამიტომ, ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ შემოტანილ, იმპორტულ პროდუქციაზე მითითებული იყოს, შეიცავს თუ არა ის გენმოდიფიცირებულ მასალას. მოსახლეობას ხომ უნდა ჰქონდეს უფლება გაარჩიოს, რომელი პროდუქტია ნატურალური და რომელი არა?

**— ბატონო პაატა, სად ხედავთ გამოსავალს?**

*კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აზრით: „საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს... ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით... თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, — მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები... მით უმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთკენ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფიციტი, პირველ რიგში, ალბათ, კვების პროდუქტებს შეეხება."*

ჩვენმა მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის, როგორც მოხმარებაზე, ასევე მის წარმოებაზე.

საქართველოს ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. რადგან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, რაც ამავე დროს ეკონომიკურად რენტაბელურია და უფრო დაგვაახლოვებს ევროკავშირის მოთხოვნებთან საკვები პროდუქტების უვნებლობასთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი — ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შეფარდებით უპირატესობას. ეს უპირატესობა საქართველოს მთიანეთს აქვს.

*შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ერთადერთია — ქართული სოფელი უნდა აღორძინდეს!* დღეს ის ახალგაზრდებისაგან დაცლილი და მოხუცების ამარად არის მიტოვებული. ბოლო 4 წლის განმავლობაში სოფლად მცხოვრები 16 წლამდე ასაკის მოზარდთა რიცხვი შემცირდა 3 პროცენტული მუხლით, ხოლო 60 წელს გადაცილებულთა რიცხვი გაიზარდა 1 პროცენტული მუხლით. შეიძლება ითქვას, ჩვენ დღეს კატასტროფის წინაშე ვდგავართ. *თუ მოვახერხებთ და ქართულ სოფელს ავაღორძინებთ, ამით თავად ქვეყანა და ქალაქიც გადარჩება. მე ღრმად მჯერა, რომ ქართველი კაცი დაუბრუნდება, აღორძინებს სოფელს და შიმშილით არ მოკვდება.* ხელისუფლებასაც და ჩვენც მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი ხალხური თქმულება — „სოფლად ნუ ჩაკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგვიხდებაო!"

ესაუბრა **ხათუნა ჩიგოგიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშაგი

ქართველი საზოგადოებისათვის „შემოსაცურებელ“ რუსულ პოზიციას საქართველოში თავისი მესიტყვე ჰყავს პრესა-რადიო-ტელევიზიის საშუალებათა სახითაც და ინდივიდუალურ ავტორთა სახითაც. ეს „შემოსაცურებელი“ პოზიცია ემთხვევა თუ არა რუსეთის რეალურ პოზიციას, ეს რა თქმა უნდა, გათვლილ უნდა იქნას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. მაგრამ ის, რომ მეორის შესახებ პირველი რაღაცა ინფორმაციას იძლევა, მაინც უდავოა. ამიტომ (და მხოლოდ ამიტომ) ხსენებულ მესიტყვეთა პროდუქციის თვალის მიდევნება მაინც შრომად ღირს. ჩვენი გაზეთის ყურადღებაც ამ უკანასკნელებისადმი ამითაა გამოწვეული. ბ-ნი კლიმიაშვილი ამ ჯგუფში ერთი უპროდუქტიულესთაგანია. ხელთ მისი მხოლოდ ერთი წლის მანძილზე შექმნილი თხზულებების ნახევარ ასეულზე მეტი ნიმუში გვაქვს.

1. 2008 წელი. ერთი ძირითადი თემაა „ამერიკელები აქედან წავლენ“. ამ ფორმულირებასთან მისასვლელად ბ-ნი კლიმიაშვილი და მისი უხშირესი ინტერვიუერი, „ალიის“ ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი ერთად მუშაობენ. კვლევისა და პროგნოზირების მეთოდია პრესისგან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება (და არა ფაქტების, სტატისტიკის, კონკრეტული გათვლების ენით მსჯელობა), დუეტის ტონალობა სასაუბრო-საჭორაოა, რუსულ-ტრიუმფალური უფროა, ვიდრე ქართულ-სამგლოვიარო, ქართულ-შურისმგებელი ან დასავლურ-რევანშული. აი, ნიმუში:

23-23.10.2008 წ. „ალია“

„– თქვენ რომ ამერიკული პრესა ნახოთ, ძალიან გაგიკვირდებათ, რადგან ბოლო დღეებში საქართველოსადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა, ამერიკელები ძალიან კრიტიკულები გახდნენ. ერთადერთი გაზეთი, რომელიც ცოტა ლოიალური დარჩა, ეს „ვაშინგტონ პოსტია“, რომელიც ტრადიციულად ბუშისა და რესპუბლიკელების მხარდამჭერად ითვლება. გუშინ ისეთი სისულელე წავიკითხე, პირდაპირ გავოგნდი. მაგაზე ლაპარაკიც არ ღირს.

– რაო, ქართველებმა რუსები დაამარცხესო?

– მაგათაც ვერაფერი გაიგეს, სიტუაციაში ვერ გაერკვნენ. დარწმუნებული ვარ, „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატია თბილისშია დაწერილი, უფრო გიგა ბოკერიას სტილსა ჰგავს. ესენი ფულს გადაიხდიდნენ, ამაში ასეულ ათასობით დოლარს ხარჯავენ, რომელიმე წამყვანი ჟურნალისტის გვარს მიაწერენ და მორჩა. თუმცა, სხვა გაზეთებში, თუნდაც „ნიუ იორკ ტაიმსში“ ასეთ რაღაცეებს ველარ აკეთებენ და სიმართლე გამოჩნდა კიდეც.

– ერთი პერიოდი სააკაშვილი ტრაბახობდა, საინფორმციო ომი მოვიგეთო. ახლა რა გამოდის, რუსებმა სიტუაცია შეატრიალეს?

– რუსეთი რა შუაშია? უბრალოდ, სიმართლე გვიან, მაგრამ მაინც ყველამ გაიგო, თითქოს ამერიკელებსაც რაჭული სიდინჯე გადაედოთ.

– ისე, ჩვენი ოპოზიციაც ძალიან გვიან ალაპარაკდა, შეიძლება ასეთი გაუგებრობა ამანაც გამოიწვია.

– ასეა... მაგალითად, აგვისტოში თითქმის ყველა ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ როგორც კი სექტემბერში ევროკავშირის სამიტი ჩატარდა, ამის შემდეგ შემოტრიალება დაიწყო და, სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს ეს თემა მობეზრდათ კიდეც.

– ბატონო რამაზ, გუშინწინ ამერიკელი და რუსი გენერლები ერთმანეთს ფინეთში ჩაეხუტნენ, არ გეჩვენებათ, რომ ბოლო დღეებში ყველა გვაბითურებს?

– დიახ, ორივე ქვეყნის გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელები ერთმანეთს ჰელსინკში შეხვდნენ. ამის შესახებ წინასწარ თითქმის არავინ არაფერი იცოდა, ძალიან თბილად ილაპარაკეს და ეს შერიგებას უფრო ჰგავდა. თუმცა, ამერიკელმა გენერალმა განაცხადა, ჩვენი ურთიერთობა ისეთი ველარ იქნებაო. პრინციპში, სიმართლე თქვა, ბოლო-ბოლო რუსებმა ამერიკის კლიენტი გალახეს“.

ამ ციტატის ბოლო ფრაზა – ამერიკელმა მაინც განაცხადა, „ჩვენი ურთიერთობა ისეთი ველარ იქნებაო“, – იმის ილუსტრაციაა, რომ „ჩახუტების“ მეტაფორა შეხვედრილთა განწყობილების დასახატავად აქ უადგილოა. მთავარი სიცრუე ამ დიალოგისა კი ისაა, პრიმატიულ მკითხველზე გათვლილი, რომ მოსაუბრენი არ ეხებიან (ვერ ეხებიან) ვითარების გადამწყვეტ ორ მხარეს. პირველი: იმას, რომ რუსეთის სამხედრო გამარჯვებამ მტერზე, რომლის მთავარსარდალი მისი ყურმოჭრილი აგენტია და რომელმაც ომი კი არ წააგო მხოლოდ, არამედ, რუსული პროპაგანდის ინტერესებში, მისი დაწყების სიმულაციაც მოახდინა, როცა იგი უკვე წაგებული იყო მანევრის საშუალებით, რუსეთს სტრატეგიული გამარჯვება ვერ მოუტანა. პირიქით: რუსეთის მიერ ცნობილ ვითომ-ერთეულთა არცნობამ მსოფლიოს მიერ რუსეთს აუნაზღაურებადი სტრატეგიული ზიანი მოუტანა, რის შედეგადაც რუსეთის შოვინისტური წრეებისთვის პუტინი დიდწილად დასაწუნი ფიგურა გახდა. მეორე: „ექსპერტი“ ვერ ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს (იმავე ჩაუხედავი მკითხველის თვალში) გლობალური პოლიტიკის ფაქტორს, რომელიც რეალურად გადამწყვეტია რუსულ-ამერიკული ურთიერთობების მომავალი მიმართულებისთვის და ამავე დროს ცალსახად პროგნოზირებადი უახლესი შედეგები აქვს. კავკასიის ყელისათვის ბრძოლა არც რომელიმე ამერიკელი გენერლის კერძო ნების საკითხია, არც რუსის გენერლისა. ეს ისტორიული და გეოპოლიტიკური გარდუვალობაა, რომლის გაშლასაც დღეს ვხედავთ. პროგნოზი ცალსახაა დასავლეთის სასარგებლოდ და იგი იკითხება რუკიდან, ეკონომიკური პროცესების სტატისტიკიდან, ტექნოლოგიური განვითარების დინამიკიდან, სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო-სამრეწველო და სამხედრო-ორგანიზაციული განვითარების მიმართულებებიდან. მსოფლიომ ეს იცის. ჩაუხედავმა ქართველმა მკითხველმა არ იცის. აქედან გასაგებია რუსული დავალება: შეუქმენით ჩაუხედავ ქართველ მკითხველს შთაბეჭდილება, რომ რუსეთი კავკასიაში იმარჯვებს, მას არა აქედან წასვლა, არამედ, პირიქით, აქ თავისი გავლენის გაზრდა და დამკვიდრება ელის.

2. იგივე 2008 წელი. 20.VIII. იგივე დუეტი, ზედელაშვილ-კლიმიაშვილი. ამავე რუსული დაკვეთით ამავე მკითხველს ენერგება აზრი, რომ რუსეთი ნატოს არ ეპუება და არ შეეპუება. აი, დიალოგის ტექსტი:

„– ბატონო რამაზ, გარდა იმისა, რომ ჩვენ გადაგვიარეს, აქ დგას ევროპისა და ამერიკის პრესტიჟის საკითხი, დავიჯერო, რუსეთს ამ ყველაფერს ასე იოლად აპატიებენ?

– რუსეთმა ყველას უთხრა: დავბრუნდი, ყველაზე ძლიერი ვარ, ამიერიდან მსოფლიო ისევ ორპოლუსიანი იქნება და უნდა მიმიღოთ ისეთი, როგორიც ვარ! აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ევროპა და ამერიკა ასეთ რუსეთს მიიღებენ. საქართველოში ისე დაგრუხუნებენ, თითქოს არაფერი, ამით ამერიკელებს აჩვენებენ, რომ კავკასიაში ცხვირი არ უნდა ჩაყონ. ის, რომ ბუში ყოველდღე გამოდის და ილანძღება, ეს სისუსტის მაჩვენებელია. მითხარით, დღეს ბუშს რა შეუძლია? აბსოლუტურად არაფერი! ამერიკამ ეს ყველაფერი ჩაყლაპა, ახლა ცოტა ხანს უნდა ილაპარაკონ, რომ მოგვიმადლიერონ. სამწუხარო რეალობა ასეთია, მაგრამ ჩვენთან ამდენს ვერ ხვდებიან.

– პირდაპირ გეკითხებით: ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ კავკასიაში რუსეთი ნატოს არასოდეს შემოუშვებს?

– რუსეთი ნატოს ამ ტერიტორიაზე არ შემოუშვებს!

– რატომ, რუსეთს აქვს საიმისო ძალა, რომ მთელი მსოფლიო დააშინოს?

– რუსეთმა თავისი ძალა უკვე გვიჩვენა.

– შეიძლება ვცდები, მაგრამ სამაგიეროდ ნატომ გვიჩვენა, რომ საკუთარი წევრების დაცვაც კი არ შეუძლია. მაგალითად, რუსეთმა რომ პოლონეთს პრობლემები გაუჩინოს, დარწმუნებული ვარ, განცხადებების იქით ვერ წავლენ.

– პოლონეთს ნატოდან საერთოდ გააძევებენ, ისედაც ყელში ჰყავთ გაჩხერილი ეს პატარა პრეზიდენტი. საფრანგეთისა და გერმანიის პრეზიდენტებმა არაერთხელ თქვეს, ნაადრევად მივიღეთო. პოლონელ ხალხს არაფერს ვერჩი, მაგრამ პრეზიდენტი ჰყავთ ნამეტანი... თუმცა არ ვიტყვი, პოლონეთის საელჩოს არ ვაწყენინებ“.

ამ „ექსპერტული“ დიაგნოზისა და პროგნოზის შემდეგ მოხდა ის, რაც ცალსახად პროგნოზირებადი იყო იმ დღესვე: იმის პასუხად, რომ ამერიკული ფლოტი აიძულეს საქართველოს ნაპირებს მოსპილებოდა (რისთვისაც რუსეთმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი ქნა; ამერიკელებს დაემუქრა საავიაციო დარტყმით ამ უკანასკნელთათვის წამგებიან პირობებში), ერთი წლის თავზე დაიწყო ამერიკული რაკეტების განლაგება რუმინეთსა და ბულგარეთში. დაიწყო შავ ზღვაზე რუსული (და რუსულ-თურქული) ძალის მონოპოლიის გაუქმების ოპერაცია. დღეს, თუმცა პოლონეთის პრეზიდენტი ცოცხალი არაა, ლაგდება ამერიკული რაკეტები პოლონეთში. ვისაც რუკის კითხვა შეუძლია და უნდა, იმისთვის მსოფლიო პროცესის მიმართულება ნათელია. მაგრამ ზედელაშვილ-კლიმიაშვირლის დუეტი, ეტყობა, ამათ რიცხვს არ ეკუთვნის.

3. რუსეთის დავალებული კიდევ ერთი თემაა „საქართველოს ნატოში არასოდეს მიიღებენ“. ბ-ნი კლიმიაშვილის აზრი ამ თემაზე ასეთია: („ალია“, 16-17.09.2008)

„– მოდით, ამ საკითხს სხვა კუთხიდან შევხედოთ და გავარკვიოთ, რა ხდება: ყველასთვის უკვე ნათელია, რომ ჩვენ რუსეთმა ნატოსკენ ლტოლვის გამო დაგვსაჯა – ორი რეგიონი, როგორც ჩანს, სამუდამოდ დავკარგეთ. ასეთ დროს კიდევ იმაზე ლაპარაკი, თითქოს მაინც ნატოში უნდა შევცვივდეთ, მხოლოდ სისულელეა და მეტი არაფერი. არადა, ამას რუსები რატომღაც იჯერებენ. მე ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: რუსებს სანერვიულო არაფერი აქვთ, უკვე გამოვიდნენ ევროპის უდიდესი ქვეყნების, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და ბრიტანეთის ლიდერები და გასაგებად თქვეს, საქართველოს ნატოში ვერ მივიღებთ, მაპს ვერ მივცემთო“.

ამ სიტყვებში მართალიც ურევია და ტყუილიც. მართალი ის არის, რომ ნატოს, როგორც დასავლეთის მთავარ სათავდაცვო ნაგებობას, როგორც მის სტრატეგიულ სახლსა და ციხე-სიმაგრეს, მართლაც აქვს გარკვეული შიშები მასში საქართველოს შეშვების თემაზე: მან უნდა იკისროს სამხედრო პასუხისმგებლობა,. ანუ ომის პასუხისმგებლობა, ქვეყანაზე, რომელიც მისთვის დღეს ძნელი დასაცავია მტრის მასირებული დარტყმისაგან, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ნატოს, მით უმეტეს – მის ცალკეულ წევრებს არა აქვთ საშუალება ან სურვილი ეს ქვეყანა რუსეთისგან დაიცვან შეზღუდული ოპერაციებით, სამხედროს ჩათვლით. ასეც ხდება რეალურად. მაგალითად, შავ ზღვაზე რუსული ჰეგემონიის მოხსნის ოპერაცია ხორციელდება ადგილობრივი მოქმედების წესით, მსოფლიო ომის გარეშე. უფრო მეტიც, რუსულ დამუქრებას ამერიკელების მიმართ 2008 წლის აგვისტოში (დამუქრებას საქმით და არა სიტყვით). „დიდ ომს ვერ მოვიგებთ, მაგრამ ადგილობრივ, ანუ მცირე ომში დაგამარცხებთ და თქვენ დიდ ომს ვერ დაიწყებთ იმიტომ, რომ თქვენი ამომრჩევლის გეშინიათო“, ამერიკელებმა უპასუხეს (ისევ საქმით) „დიდ ომს ხომ მოვიგებთ და მოვიგებთ, მაგრამ ადგილობრივ, ანუ მცირე ომსაც მოვიგებთო“. ამ მცირე ომის ნაწილია ის, რომ ზემოხსენებული შავი ზღვის დაუფლების ოპერაცია დაიწყო. პროგნოზირებადია (ცალსახად), რომ ეს ოპერაცია განვითარდება და მისი შემდგომი ნაბიჯი იქნება დასავლეთის მყარად დამკვიდრება ეგეოსის ზღვაში ორი სახით. ერთი ისაა, რომ ეგეოსის ზღვის ბერძნულ კუნძულებზე განლაგდება ნატოს სამხედრო ძალები, მეორე ისაა, რომ ხელი შეეწყობა თვით საბერძნეთის მიყვანას ანგარიშგასაწევი საზღვაო-სამხედრო სახელმწიფოს დონემდე. რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტი, რომელიც დაკარგავს ხმელთაშუა ზღვასა და მსოფლიო ოკეანეში გასვლის პრაქტიკულ საშუალებას, დაჭკნება უმოქმედობითა და (შედეგად) დაუფინანსებლობით და ამგვარად (უკეთეს შემთხვევაში – გასროლის გარეშე) გამოაკლდება მსოფლიო სასწორის აღმოსავლურ (რუსულ-ჩინურ-ისლამურ) პინას. უეჭველია, რომ შუა აზიისთვის, რომელიც დღეს გაფაციცებით შესცქერის ძალთა ჭიდილს შავ ზღვაზე, ეს იქნება მძლავრი სტიმული, რათა დასავლური ორიენტაცია ერთხელ და სამუდამოდ აირჩიოს და ამით მეტ-ნაკლებად ცივ ჭიდილს III მსოფლიო ომის ამ ფრონტზე გადამწყვეტი წერტილი დაუსვას დასავლეთის სასარგებლოდ.

ასეთი გახლავთ რეალური რაობა იმ სიმართლის ელემენტისა, რომელიც ფიგურირებს ზედელაშვილი-კლიმიაშვილის დუეტის ტექსტებში ნატოში საქართველოს არმიღების თემაზე. დანარჩენი, ანუ ტყუილი ამ თემაზე სამი პუნქტისაგან შედგება.

პირველი. რესპონდენტი მალავს (ან არ იცის), რომ წამყვანი ფაქტორი საქართველოსთვის მაპის არმიცემის ამ ეტაპზე არის გერმანიის (და ცენტრალური ევროპის კიდევ სხვა ნაწილის) ნება, რომელსაც უნდა თავისი ინტელექტუალური და სამრეწველო რესურსის და რუსეთის ბუნებრივი რესურსის გაერთიანება ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) გაძლიერების მიზნით.

მეორე. იგი მალავს იმ ფაქტს, რომ დასავლეთთან სათავდაცვო კავშირზე ხელის აღება (რასაც იგი გულისხმობს ნატოს თემაზე მსჯელობაში) ნიშნავს საქართველოს დაუცველობას რუსეთის წინაშე, რომლის თავდასხმა საქართველოზე ასეთ შემთხვევაში გარდუვალია.

მესამე. იგი უმალავს მკითხველს, რომ დასავლეთთან სათავდაცვო კავშირი საქართველოს შეუძლია ორმხრივი ხელშეკრულების სახითაც ნატოს ერთ ან რამდენსამე ძირითად წევრთან (პირველ ყოვლისა – აშშ-თან), რასაც დიდად აადვილებს ის შესაძლებლობა, რომ განისაზღვრება ერთობლივი პასუხისმგებლობის ზონები და პირობები, ანუ ის, თუ რა და რა შემთხვევაში არის აშშ ვალდებული საქართველოს ინტერესი დაიცვას სამხედრო ძალით და პირუკუ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტუალური არქივი

## საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსისაგან

**ვცდილობთ, სისტემატურად გამოვაქვეყნოთ „საქართველოს" ნომრიდან ნომრამდე სხვაგან გამოქვეყნებული განცხადებები საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსის ხელმოწერით, რათა საზოგადოებისა და ისტორიისათვის ნათელი იყოს ამ პარტიათა თანმიმდევრული და პრინციპული პოლიტიკური აზროვნების ზოგადი სურათი მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ (რედ.)**

ნოღაიდელისა და ბურჯანაძის მიერ ურთიერთობის დამყარება პუტინთან და რუსეთის სხვა ხელისუფალთან, აგრეთვე საქართველოს ზოგი სხვა „ოპოზიციური" „პოლიტიკოსების" მიერ გაცხადებული მზაობა ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისათვის (ძიძიგური) და თავის შეკავება ნოღაიდელისა და ბურჯანაძის მოქმედების შეფასებისაგან (ალასანია) არა მხოლოდ მორალური და მოქალაქეობრივი დანაშაულია ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, არამედ შეიცავს პირდაპირი სახელმწიფო ღალატის აშკარა ნიშნებსაც. სახელდობრ

— აღნიშნული ქმედებით მსოფლიოს თვალწინ იქმნება ყალბი სურათი, თითქოს საქართველოში არსებობენ რეალური ძალები, მათ შორის პოლიტიკურიც, რომელნიც მზად არიან და განწყობილნი არიან, რომ დღევანდელ პირობებში, ანუ მაშინ, როცა რუსეთის პირდაპირი შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულია და გრძელდება, რუსეთთან ურთიერთობის „აღდგენასა" და „ნორმალიზაციაზე" აიღონ ორიენტაცია. ამ მოქმედებით ხდება იმ ერთადერთი ფაქტორის შესუსტება, რომელიც დღეს საქართველოს ქმედითი დამცველია რუსეთის მიერ სამხედრო ოპერაციების განახლებისაგან და საქართველოსაგან ტერიტორიების მოწყვეტისაგან.

— აღნიშნული ქმედებით ხდება (შეძლებისდაგვარად) პუტინისა და მისი გუნდის რეაბილიტაცია მსოფლიოს თვალში, როგორც ისეთი პოლიტიკოსისა, რომელიც, თითქოს, არ არის რუსეთის ტრადიციული მტაცებლური იმპერიალისტური პოლიტიკის გამგრძელებელი, არამედ ცდილობს არსებულ სამართლებრივ ნორმებში ჩაეტიოს.

— აღნიშნული ქმედებით ხდება პუტინის რეაბილიტაცია რუსულივე პოლიტიკური ელიტის თვალში, რომელიც შეუძლებელია უკიდურესი უკმაყოფილო არ იყოს პუტინისა და მედვედევისა იმის გამო, რომ მათ რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკურ ჩიხში მოაქციეს, აგრეთვე რუსეთის მოსახლეობის უფართოესი მასის თვალში, რადგან ამ აგრესიულად განწყობილ მასას ექმნება ილუზია, რომ პუტინმა საქართველოში ფართო დასაყრდენი იშოვა და ამით თავისი აგრესიული განზრახვის ბოლომდე მიყვანას შეძლებს.

— აღნიშნული ქმედება თავის იმ ნაწილში, რომელიც ეხება „თანამშრომლობას" რუსეთის ხელისუფლებასთან და სახელისუფლებო პარტიასთან, არის მზაობა რუსეთის მონაწილეობის დაშვებისათვის საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებში (რამდენადაც იგულისხმება, რომ „თანამშრომლობა" უნდა განხორციელდეს რუსული ფაქტორის ჩარევის სახით ამ შიდაქართულ პროცესებში, და არა, პირიქით, საქართველოს ფაქტორის მონაწილეობის სახით შიდარუსულ პროცესებში).

არაფერი მიგვანიშნებს ხსენებული პირების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი არაკვალიფიციურობის მიუხედავად, არც ერთი მათგანის მხრიდან საზოგადოებას არ უნახავს არც გონივრული სახელმწიფოებრივი ნაბიჯი, არც გონივრული წინადადება ან აზრი), იმაზე, რომ მათი აღნიშნული ქმედება არის უნებური შეცდომების შედეგი და არა წინასწარგანზრახული, მაშასადამე, დანაშაულებრივი ნაბიჯი, რომელიც პირდაპირსა და შეგნებულ წინააღმდეგობაშია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან რუსეთის აგრესიული ინტერესების სასარგებლოდ.

ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად აღნიშნულ პირთა მოქმედებაში სახელმწიფო ღალატის ნიშანთა აშკარა არსებობისა, არ დგამს ნაბიჯს ამ ქმედებათა აღსაკვეთად, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა, იძლევა საფუძველს კიდევ ერთხელ იმ ვარაუდისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლება არის, რეალურად, რუსული ადმინისტრაცია საქართველოში და მართულია რუსეთის მიერ.

აღნიშნული უმძიმესი საშიშროება, რომელიც საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად ჰქონია, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია თავის სათავეში ეროვნულად ერთგული ანუ ეროვნული ხელისუფლების ყოლა, რისი მიღწევის ერთადერთი გონივრული გზა არის რეალური საარჩევნო კანონმდებლობის მიღება, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა და არჩევნების რეალურად, ანუ გაუყალბებლად ჩატარება. ეროვნულად ჩაითვლება მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელსაც ეროვნული, ანუ საქართველოს დღევანდელი და სამომავლო გადარჩენისა და ცხოვრების ნორმალიზაციისაკენ მიმართული პოზიცია აქვს. ამ პოზიციის საგარეო-პოლიტიკური მხარე დღეს შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ (ძალიან მოკლედ) ასე:

I. რუსეთი, როგორც საქართველოს დღეს ყველაზე აქტიური (თუმცა არა ერთადერთი) მტერი, უნდა განიდევნოს საქართველოს მთელი ტერიტორიიდან. არავითარი „ნორმალიზაცია" მასთან ურთიერთობისა არაა შესაძლებელი მანამდე, სანამ იგი არ გაიყვანს თავის უკანასკნელ ჯარისკაცს საქართველოდან და არ გააუქმებს თავის მიერ საქართველოს ნაწილთა „დამოუკიდებლობის" ცნობის აქტს. დღეს, რუსეთის ღიად აგრესიული პოლიტიკის პირობებში, საქართველოს გადარჩენის გზა რუსეთის დამარცხებაზე გადის. ჩვენი საზოგადოება უკვე მოწმეა იმისა, რომ ეს დამარცხება გლობალური პოლიტიკირ მასშტაბით გარდაუვალია. დავიმოწმებთ იმ ფაქტს, რომ შავ ზღვაზე რუსეთის ბატონობის ეპოქა — ჩვენი დროის ერთერთი ყველაზე თვალში საცემი ანაქრონიზმისა — მთავრდება ამ ზღვაზე ნატოს აქტიური შემოსვლის შედეგად (რუმინეთსა და ბულგარეთში დასავლური სათავდაცვო კავშირი, რომელსაც ჩვენი წინაპრები მიესწრაფოდნენ საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ვერ მიაღწიეს იმ დროს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებათა განუვითარებლობის გამო, ამჟამად, ამა თუ იმ ფორმით უკვე დღის წესრიგში დგას). ჩვენი ურთიერთობისათვის განვითარებულ დემოკრატიულ დასავლეთთან ჩვენი ქვეყნისათვის მისაღებია შემდეგი ოთხად-ოთხი პრინციპი:

ა) დასავლეთთან ჩვენ გვაქვს სტრატეგიულ ინტერესთა თანხვედრა და, ამდენად, ორივე მხარისათვის სასარგებლოა ურთიერთერთგული თანამშრომლობა.

ბ) დასავლეთის ორგანიზაციულსა და პოლიტიკურ მიღწევებში (მისი ქვეყნის სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებაში, განათლებაში, სამართალდაცვაში და ა.შ) რეალიზებულია კაცობრიობის პოლიტიკური, ფილოსოფიური, სოციალური, მეცნიერული და მორალური აზრის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვრები., რომელთა მემკვიდრენი ჩვენც ვართ. ჩვენ ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანა ვართ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარე, დასავლეთის ძირითადი ღირებულებები (თავისუფლება, თანასწორობა და ა.შ) ჩვენთან იმპორტირებული არ არის, არამედ საკუთარია.

გ) დასავლეთის უახლესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა ადამიანის ადამიანურ უფლებათა გაცნობიერება, კოდიფიკაცია და დაცვა — ჩვენი ტრადიციული სულისკვეთების შესაბამისია და მასში მონაწილეობა ჩვენთვის ყოველმხრივ სასურველია

დ) დასავლეთის პრაქტიკა მძიმე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სახის პრობლემებთან ჭიდილისა სახელმწიფოს გაძღოლისა და მოქალაქეობრივი ცხოვრების რეგულირებისა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც შემოქმედებითი სტიმული ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი და სოციალური მოდელების, ანუ ჩვენს ამოცანებსა და საშიშროებებზე იდეალურად მორგებული საკუთარი მოდელების შესაქმნელად.

მოვუწოდებთ ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის უკიდურესი (და ხელოვნურად შექმნილი) ეკონომიკური სიდუხჭირისა, არ აჰყვნენ საქართველოს ზემოხსენებული მოღალატეების ყალბსა და პრიმიტიულ შეპირებებს! უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის, როგორც დღეს უკვე თავის საგარეო პოლიტიკაში არაკონკურენტუნარიანი ძალის, გეგმა საქართველოს მიმართ სხვა არა არის და ვერა იქნება რა თუ არა საქართველოს ყოველმხრივი განადგურება, როგორც ერთიანი ეროვნული სახელმწიფოსი, — ქართველი ერის დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გენოციდისა. დღეს ქართველ საშუალო მოქალაქეს არჩევანი აქვს არა სახელოვან სიკვდილსა და ნაძრახ სიცოცხლეს შორის., არამედ თავისი შთამომავლობის სახელოვან სიცოცხლესა და ნაძრახ ანუ უთავმოყვარეო და შვილთა შვილების წინაშე უპასუხისმგებლო, სიკვდილს შორის.

## საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი ახალი პოლიტიკური ინიციატივებისგან პასუხს ითხოვს

რუსეთის შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ დღეს წარმოებს სამი მიმართულებით. **პირველია** საქართველოში პირდაპირ და დაუფარავად პრორუსული ძალების მომზადება, რომელთა ამოცანაა საქართველოში რეალური ან სიმულირებული ფიზიკური „სამოქალაქო კონფლიქტის" ორგანიზება, რათა საქართველო იყოს „ძმათა მკვლელი ომის" ასპარეზი ან ასეთად გამოიყურებოდეს. (ნოღაიდელის მრავალრიცხოვანი დაჯგუფება და სხვანი). **მეორეა** „ლამაზი", ანუ მეტ–ნაკლებად გაუსვრელი ცნობადი სახეებისაგან შემდგარი „საზოგადოებრივი ჯგუფების" („საზოგადოებრივი ჯგუფები". პუტინის გამოთქმა გახლავთ პრიმაკოვის დაბადების დღეზე უთავმოყვარეო ქართველებთან შეხვედრის დროს) ორგანიზება, რათა საჭირო მომენტში მათგან რუსეთმა მიიღოს „მოპატიჟება", მსგავსად „შულავერის მთავრობისა" (ორჯონიკიძე, მახარაძე და სხვანი) 1921 წელს, "მოდით და გაგვაშველე ო". **მესამეა** თვით რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალის მომზადება ახალი ინტერვენციისათვის „ელვისებური ომის" სახით. დღეს ჩვენ ვხედავთ საქართველოში არაერთი საზოგადოებრივი ინიციატივის, სახელდობრ, ძალიან კარგი სახელწოდებების მქონე პატრიოტული ან „პატრიოტული" ორგანიზაციების გაჩენას. მათი უმრავლესობა, ჩვენი ღრმა რწმენითა და დაკვირვებით, მართლაც საქართველოს გადარჩენის კეთილშობილურ მიზანს ემსახურება, მაგრამ არა ყველა. ამიტომ საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი თავის მოვალეობად და უფლებად რაცხს, ღიად მიჰმართოს ამგვარ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე შექმნილია, იქმნება ან უახლოეს ხანში შეიქმნება, წინასწარი კითხვით მათი პოზიციის შესახებ სამ საკვანძო საკითხზე იმ საკითხთა რიცხვიდან, რომლებზეც დღეს საზოგადოებაში აზრის განსხვავება არსებობს ან შეიძლება არსებობდეს.

ეს სამი საკითხი და მათი ჩვენებური ფორმულირება, რომლითაც მივმართავთ ამ ჯგუფებს, შემდეგია:

**პირველი.** რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი. ჩვენი პოზიცია ფორმულირდება შემდეგნაირად.

რუსეთს დაკავებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და აღიარებული ჰყავს ამ ტერიტორიებზე მისი შეიარაღებული ძალების იქ მყოფობის პირობებში შექმნილი კანონსაწინააღმდეგო „სახელმწიფოები" — „აფხაზეთი" და „სამხრეთ ოსეთი". არავითარი „ნორმალიზაცია" საქართველოს ურთიერთობისა რუსეთთან, არავითარი „დათბობა", „დაძაბულობის შენელება" და „საერთო ენის გამონახვა" ამ ორ ქვეყანას — საქართველოსა და რუსეთს — შორის არ არის არც შესაძლებელი, არც დასაშვები მანამდე, სანამ არაა შესრულებული ორი პირობა:

— რუსეთის შეიარაღებული ძალების სრული გაყვანა საქართველოს მთელი ტერიტორიიდან;

— რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის" „დამოუკიდებლობის" ცნობის აქტის გაუქმება.

— **მეორე.** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხი. ჩვენი პოზიციის ფორმულირება შემდეგნაირია:

სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლება საქართველოში თავისი პოლიტიკის მიმართულებით არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული: მისი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალმხრივი ნგრევა რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულების" სახელით (რათა მოხდეს ამ უკანასკნელთა დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში, ასეთი ღირებულებებია საყოველთაო თავისუფლება, თანასწორობა, პიროვნების ღირსება, ხელისუფლების წარმომადგენლობითობა, ძალაუფლებათა დაყოფილობა, უდანაშაულობის პრეზუმციის აუცილებლობა და ა.შ., და არა მარგინალური ფსევდოღირებულებები, რომლებიც ამ სახელით დღეს პროპაგანდირდება საქართველოში). ინგრევა ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება, დამყარებულია ტერორისტული დიქტატურა, დარღვეულია სამართლებრიობის პრინციპი, გაბატონებულია განუკითხავი მკვლელობა, ხდება ემიგრაციის სტიმულირება და იმიგრაციის მიზანმიმართული ხელშეწყობა. ეს ხელისუფლება, პრაქტიკულად მხილებულია, როგორც რუსეთის მიერ მართული საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ, და იგი დღეს ძალაუფლებას ფლობს მხოლოდ ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად. ამდენად, იგი არალეგიტიმურია თავის მიმართებაში საქართველოს მოსახლეობისადმი და მსოფლიოსადმი, მაგრამ ამ უკანასკნელისადმი **მხოლოდ თავის იმ აქტებში, რომლებიც გულისხმობს მის უფლებამოსილებას, საქართველოს სახელით მოახდინოს სხვადასხვა სახის კაპიტულაციები უცხო ქვეყნებისა და სხვა სამართალსუბიექტების მიმართ, ანუ დათმოს საქართველოს ეროვნული ინტერესები სხვათა სასარგებლოდ.** ამ ხელისუფლების დაუყონებლივ შეცვლა აუცილებელია. ამისათვის არსებული — დღეს, პრაქტიკულად, ერთადერთი — მეთოდია:

– რეალური საარჩევნო კანონის მიღება;

– ვადამდელი არჩევნების დანიშვნა;

– არჩევნების პრაქტიკულად ობიექტური ჩატარება.

**მესამე.** დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ. ჩვენი პოზიცია ფორმულირდება შემდეგნაირად.

1. დასავლეთის განვითარებული დემოკრატიები არიან ერთადერთი ძალა, რომელიც ჩვენ გვიცავს და, ჩვენის აზრით, დაგვიცავს რუსეთის იმპერიის დაპყრობისაგან, რაც, ჩვენი აზრით, ჩვენი არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის, არამედ აგრეთვე თვით ჩვენი ერის განადგურებას უდრის. ამიტომ ქმედითი სათავდაცვო ალიანსი /კავშირი/ დასავლეთთან ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ღერძია.

2. დასავლური განვითარებული

*გაგრძელება მე-16 გვერდზე*

# ქართული აბრეშუმის გადარჩენისათვის



რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა კახეთში ზეთისხილის პლანტაციები ჩვეული ზარ-ზეიმით გახსნა და იქაური გლეხებიც შეაგულიანა: „ამას მიხედეთ, ვაზი არ გეგონოთ, გაცილებით ნაკლები ჯაფა სჭირდებაო ...” არადა, საქართველოს ხელისუფლება პირველ რიგში ტრადიციული დარგების შენარჩუნება-აღორძინებას უნდა უწყობდეს ხელს. ცნობილია, რომ ამერიკის მთავრობა ხორბლის მოსაყვანად საკმაოდ სოლიდურად აფინანსებს ფერმერებს. იგივეს აკეთებენ საბერძნეთსა და თურქეთში, ხოლო ჩვენი „ნაციონალი” მაღალჩინოსნები, შთაბეჭდილება მრჩება, ცდილობენ ქართველ კაცს ვაზი, თუთა გააჩეხინონ, მიწა გააყიდინონ და საერთოდ აუკრან გუდა-ნადაბი საკუთარი სამშობლოდან.

ოდესმე, თუ ვეღირსეთ, სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლებაში ჭეშმარიტად ეროვნული ძალების მოსვლას, მართლაც ძალიან ბევრის გაკეთება მოუწევთ, უფრო სწორად კი – „ვარდების რევოლუციის” გზით ხელისუფლებაში მოკალათებული დილეტანტების „ერთი გუნდის” მიერ მტრულად და უგულოდ გაკეთებულის გადაკეთება, დანგრეულის აღდგენა...

სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა, ქართული ვაზის გადარჩენასთან ერთად, მეაბრეშუმეობის დარგის პრიორიტეტულობის აღიარებითაც უნდა დაიწყოს.

**სამწუხაროა**, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაქრობის ზღვარზე აღმოჩნდა მრავალმიზნობრივი გამოყენების და მოსახლეობის სტაბილურად დასაქმების უნიკალური დარგი, როგორიც მეაბრეშუმეობაა. „გასული საუკუნის 60-იან წლებში, ყოველწლიურად 4,0–4,4 ათასი ტონა აბრეშუმხვევია ჭიის პარკი მზადდებოდა; ბიუჯეტი 15,5-16,0 მილიონი მანეთით ივსებოდა; სოფლად 100-120 ათასი კომლი იყო დასაქმებული (მ.შ. დიასახლისები, მოზარდები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები); აბრეშუმის წარმოებაში კი 5,0-6,0 ათასი კაცი“... („თუთის სარგავი მასალის გამოზრდა, გაშენება, მოვლა“. „მეაბრაშუმეობის ცნობარი“. გამ. 2009წ. გვ. 3) და მეაბრეშუმეობა 1900 წელს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში 14%-ს შეადგენდა.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში მიწის პრივატიზაციის საქმეში დაშვებულმა შეცდომებმა მეაბრეშუმეობაში მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. არამიზნობრივად გასხვისდა და გაიჩეხა თუთის პლანტაციები, ისევე, როგორც გასხვისდა და გაიძარცვა საწარმოო ობიექტები, ჯართად დაიჭრა და ჩაბარდა მანქანა-დანადგარები, „კატასტროფულად შემცირდა აბრეშუმხვევია ჭიის პარკის წარმოებაც, ხოლო 2002 წლიდან ფაქტობრივად, თითქმის მთლიანად შეწყდა“ („მეაბრეშუმეობის ცნობარი“. გამოც. 2008 წ. გვ. 3).

**სრულიად აღმაშფოთებელია**, რომ მე ბრეშუმეობის განადგურება მოხდა სოფლის მეურნეობის აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის, ე.წ. „საქაბრეშუმის“ და ვინ მოთვლის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხზე მომუშავე კიდევ რამდენ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესიონალი კადრების თვალწინ, თანაც იმ პერიოდში, როდესაც მავანთა უგუნური პოლიტიკის წყალობით უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. სოფლები იცლება, ქართველთა მარჩენალი მიწა დაუმუშავებელიც არის და დაუცველიც, ქვეყანა კი ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა.

იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის გამო ქართულ მიწაზე უკვე ვაზი იჩეხება და მეაბრეშუმეობაც გაჩანაგებულია, რომ აღარაფერი ვთქვათ სოფლის მეურნეობის და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სხვა ტრადიციული დარგების შესახებ, წინასაარჩევნოდ ზეთისხილის პლანტაციების გაშენების „გაპიარება” ხელისუფლების მორიგ უზნეო და უგუნურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, მეაბრეშუმეობის გადარჩენა და უახლოეს ორ-სამ წელიწადში აღორძინება ჯერ კიდევ შესაძლებელია. მიგვაჩნია, რომ ამისათვის ყველაზე რეალური გზაა მეაბრეშუმეობის გადარჩენა-განვითარებაზე მეურვეობა იკისროს საქართველოს მართლმადიდებელმა ავტოკეფალურმა სამოციქულო ეკლესიამ, საპატრიარქომ. ხოლო ხელისუფლებამ ამჯერად მაინც გამოიჩინოს კეთილი ნება და გაჩეხვას და ჯართად დაჭრას გადარჩენილი მეაბრეშუმეობის დარგისაგან შემორჩენილი უძრავ-მოძრავი ქონება გადასცეს ეკლესიას, რათა ისევ ქართველმა გლეხმა, ეპარქიების მიხედვით, საკუთარ მეურნეობაში მეაბრეშუმეობა აღიდგინოს და გამოიყვანოს ქვეყანა ამ სამარცხვინო სიღატაკისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეობა ფაქტობრივად საქართველოში 2008 წლისათვის აღარ ფუნქციონირებდა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის, ეპისკოპოსი სტეფანეს (კალაიჯიშვილი), ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზი ბიძინას (გუნია), საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის (თავმჯდომარე ელენე კახნიაშვილი) ერთობლივი პროექტის საფუძველზე ჭიათურა-საჩხერის ეპარქიაში, ეპარქიის მეუფის მიტროპოლიტი დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით და აქტიური მხარდაჭერით 2009 წელს ეპარქიაში ამოქმედდა ეროვნული პროგრამის ქვეპროგრამა, ჩატარდა გამოკვლევები, რომელიც მიზნად ისახავდა ეპარქიაში მეაბრეშუმეობის გადარჩენა-განვითარების გზებისა და თუთის ნარგავების გაშენების საკითხის შესწავლას, რომელმაც გვიჩვენა, რომ როგორც საფუძველი, ასევე სურვილი მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარებისა მოსახლეობაში განუზომელია. პროექტის ფარგლებში გარკვეული სამუშაოც ჩატარდა: აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის (დირექტორი ემზარ ჭოლაძე) და თბილისის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი ნოდარ სტეფანიშვილი) დახმარებით მოხერხდა ჭიათურა-საჩხერის ეპარქიაში 2009 წლის ნოემბერში 2200 ძირი, ხოლო 2010 წლის აპრილში 200 ძირი თუთის ნერგების დარიგება და დარგვა; მიმდინარე წლის მაისში კი დაინტერესებულ ოჯახებს უსასყიდლოდ გადაეცათ 125 გრამი აბრეშუმხვევია ჭია საგაზაფხულო გამოკვებისათვის; ჩატარებულია სემინარები (ბ.საკანდელიძე, ზ.ჭიტაძე); გადაცემულია მეთოდური მასალები როგორც თუთის ნარგაობის გაშენების, ასევე აბრეშუმხვევია ჭიის გამოზრდის შესახებ....

მეაბრეშუმეობის გადარჩენისათვის მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა რომ დიდია იქიდანაც ჩანს, რომ აბრეშუმხვევია ჭიაზე სადღეისო მოთხოვნამ მხოლოდ ჭიათურა-საჩხერის ეპარქიაში 1 კგ შეადგინა.

მეაბრეშუმეობის გადარჩენისათვის ჭიათურა-საჩხერის ეპარქიაში გაწეული სამუშაოები, რაც პროგრამის ავტორთა, ეპარქიის მღვდელთმთავართა და მეცნიერთა მხარდაჭერით განხორციელდა, მნიშვნელოვანი ეროვნული ღონისძიებაა, ორიენტირებული ტრადიციული დარგების აღდგენის და განვითარებისაკენ, რომლის ერთდროულად ამოქმედება სრულიად საქართველოს ეპარქიებში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც მეაბრეშუმეობის გადარჩენაში, ასევე სოფლად ოჯახების დამაგრებასა და მათი ეკონომიკურად გაძლიერებაში, მიგრაციული პროცესების შეჩერებაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის საფუძველთა საფუძველია საკვები ბაზა (თუთის ნარგაობა-თუთის ფოთოლი), უკვე 2009 წლის შემოდგომიდან ერთობლივი პროექტის ფარგლებში ვაწარმოებთ თუთის ნარგაობის გაშენებას და მასთან ერთად ოთხი ახალი სანერგე მეურნეობის მოწყობის მცდელობას მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობით და ხელშეწყობით, ამჟამად – მხოლოდ საჩხერის რაიონში, ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის თუთის სხვადასხვა (ქართული) ჯიშის ნამყენი ნერგებით უზრუნველსაყოფად.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სანამ სახელმწიფო ჯეროვან ყურადღებას დაუთმობს მეაბრეშუმეობის დარგის განვითარებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას, გამოჩდებიან ეროვნული სულიკვეთების მეწარმეები, რომლებიც იკისრებენ ცალკეული ეპარქიების მიხედვით ფინანსურ ხელშეწყობას ან მეცენატობის გზით თავად იკისრებენ ამ ტრადიციული და საკმაოდ შემოსავლიანი დარგის აღდგენაზე ზრუნვას.

მიგვაჩია, რომ ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლის შემთხვევაში, მეაბრეშუმეობის დარგი აღორძინდება, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსახლეობის დასაქმებასა და სიღატაკის დაძლევაში. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაში. ამდენად, **დროა გონს მოვეგოთ და არჩევნებში პიროვნული თვისებებით გამორჩეულ და ეროვნული შეგნების მქონე იმ კანდიდატებს დავუჭიროთ ხოლმე მხარი, რომლებისთვისაც მთავარი ქვეყნის ინტერესები იქნება და არა პირადი მოგება და „უცხოელ მეგობართა“ სიამოვნებაზე გათვლილი „პიარ-აქციები“.**

**საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდის თავმჯდომარე ელენე კახნიაშვილი**
28.05.2010

---

*მე-3 გვერდიდან*

დემოკრატიების როლი ჩვენს საშინაო პოლიტიკაში, მათ შორის ჩვენი კონსტიტუციური პრინციპების შემუშავებსა და განსაზღვრაში, მოიცავს სამ მხარეს.

ა. დასავლური დემოკრატიების პრაქტიკა ჩვენი ქვეყნისთვის არის **ორიენტირი** იმდენად, რამდენადაც მასში განხორციელებულია ფილოსოფიური, პოლიტიკური, სოციალური აზრის და მორალური განვითარების ის ფუნდამეტური შედეგები, რომლებიც დღეს ადამიანისა და კაცობრიობის მსოფლმხედველობის საფუძველს შეადგენენ. საქართველოსათვის ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები იმპორტირებული არაა, არამედ, არსებითად, საკუთარი ტრადიციული ღირებულებების იდენტურია. ზნეობრივი პრინციპები ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობისა, პოლიტიკური პრინციპები ძალაუფლებათა დანაწილებისა და ხელისუფლების წარმომადგენლობითობისა, სოციალური პრინციპები უდანაშაულობის პრეზუმციისა და სასამართლო პროცესების გამჭირვალეობისა და ა.შ. უნდა იყოს და არ შეიძლება არ იყოს საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ძირითადი ქვაკუთხედი.

ბ. დასავლური დემოკრატიების პრაქტიკა საქართველოსათვის **სავალდებულოდ სახელმძღვანელოა**, როგორც სისტემა ინდივიდის ადამიანურ უფლებათა დაცვისა, ანუ როგორც ინდივიდზე სახელმწიფოს ზემოქმედების შესაძლებლობათა რეგლამენტაციისა.

გ. დასავლეთის დემოკრატიათა პრაქტიკა საქართველოსთვის არის და შეუძლებელია არ იყოს **შემოქმედებითი სტიმული** საქართველოსთვის მაქსიმალურად მორგებული, ანუ მისი საკუთარი პრობლემებისათვის ოპტიმალური სახელმწიფოებრივი და ზოგადორგანიზაციული მოდელების ძებნაში

აღნიშნული სამი პუნქტის ჩვენეული ფორმულირება არის **მინიმალური** გამოხატულება იმისა, რომ მათი გამზიარებელი პოლიტიკური სუბიექტი დღეს, 2010 წლის თებერვალში, საქართველოს ერთგულების პოზიციაზე დგას. ამიტომ საქარველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსს თავის უფლებად და მოვალეობად მიგვაჩნია, წინამდებარე ტექსტი ვაახლოთ უკვე შექმნილ, შექმნის პროცესებში მყოფ ან ახლო მომავალში წარმოშობილ სხვა პოლიტიკურ, მათ შორის – ზეპარტიულ სანიციატივო ჯგუფებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს გადარჩენას, რათა მათ თავისი პასუხით დაადასტურონ თავისი ერთგულება აღნიშნული პრინციპებისადმი.

**ალიანსის სახელით,
ზ. ბარბაქაძე, მ. გიორგაძე, ნ. ნათაძე, დ. ხომასურიძე, თ. ჩხეიძე**

---

## საქართველოს საპარლამენტო ასამბლეის სანიციატივო ჯგუფისაგან

საქართველოში ბუნებრივად ჩნდება პალიტიკური კერძო ინიციატივები დღევანდელი უმძიმესი კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის მიზნით. ჩვენ მივესალმებით ამ ინიციატივებს. ამავე დროს აღვნიშნავთ **სიფხიზლის** აუცილებლობას, რათა ამ ინიციატივებში არ გამოერიოს

– რუსული სამსახურების ფარული მონაწილეობის საფთხე /ნუ დაგვავიწყდება, რომ პუტინის ერთ-ერთი მოწოდება მის კარზე შეკრებილი ქართველი სტუმრებისადმი იყო 'იმუშაონ საზოგადოებრივმა ჯგუფებმა“/

– კვალიფიცირებულობის დეფიციტის საფრთხე

– პოპულისტური ცდუნების საფრთხე

თქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხვადასხვა დროს ნამუშევარ ადამიანთაგან (დეპუტატთაგან) ერთობლივი სათათბირო სარეკომენდაციო ორგანოს – 'საქართველოს საპარლამენტო ასამბლეის“ – შექმნა, რომელიც

– ანალიტიკურად განიხილავს /საჭიროების შემთხვევაში დარგობრივ სპეციალისტთა მოწვევით/ საქართველოსათვის დღეს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს და შეიმუშავებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს, საზოგადოებისათვის, არსებული ხელისუფლებისთვის და პატიოსანი ოპოზიციისთვის

– შეიმუშავებს და მიიღებს სათანადო მიმართვებს მსოფლიოს სახელმწიფოებისადმი, სახელმწიფოთა ორგანიზაციებისადმი და საზოგადოებრიობისადმი, რათა მსოფლიომ იცოდეს საკმარისად ავტორიტეტული წყაროდან საქართველოს ჭეშმარიტი, და არა მავანთა მიერ ფალსიფიცირებული და სიმულირებული, პოზიცია ამა თუ იმ მსოფლიოსათვის საინტერესო საკითხებზე.

ასამბლეაში მსჯელობა იქნება ღია /ანუ გამჭირვალე/ და ობიექტური, რამდენადაც ასამბლეის ფუნქციები არ სცილდება რეკომენდაციის საზღვრებს.

ვთხოვთ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში /უზენაეს საბჭოსა და პარლამენტში/ ნამუშევარ ბატონებს და ქალბატონებს, თავის მზაობა ასამბლეაში მონაწილეობისათვის შეგვატყობინონ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ლაღიძის ქ. №4, ტ. 951238; პუშკინის ქ. №4/7, სახალხო ფრონტი, საპარლამენტო ასამბლეის საინიციატივო ჯგუფისთვის. ტ. 931710; 931993;

ჯგუფის სახელით: დ. ბახტაძე, დ. არევაძე, ა. არაბული, თ. დიხამინჯია, ნ. დევდარიანი, ნ. გონაშვილი, ლ. ფრუიძე, ზ. მურვანიძე, ა. იოსელიანი, გ. ზუმბაძე, დ. გოქაძე, ნ. ვეფხვაძე, რ. კონცელიძე, მ. ურიდია, მ, კვანჭილაშვილი, მ. გიორგაძე, ნ. ნათაძე, ა. სიჭინავა, პ. კოლუაშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ფ. დიაკონიძე, გ. ჩორგოლაშვილი, შ. ჩხაიძე, თ. შავთვალაძე, ნ. შავთვალაძე, ა. მარშანია, მ. მაჩაიძე, გ. გაჩეჩილაძე, დ. ქადაგიძე

**გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში**

| სარედაქციო კოლეგია | რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 ტელ: 93-15-89, 93-17-10 | შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 გაზეთის ინდექსი 66447 | გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს. |
| --- | --- | --- | --- |